პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეათე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის (ბ)
ცენტრ. კომიტეტის
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპ.
№ 16, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
დღის 11 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6 საათიდან 11 საათამდე.
ტელეფ. რედაქტორის . . . 14-76
რედაქტორის მოადგ. 23—17
მდივნის . . . . . 10—58
მახსური განყოფილ. 22—44

მთავარი კანტორა თბილისი, რუსთაველის პრ., № 34
ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
1 თვით 1 მანეთი
1 წლით—12 მან.
უცხოეთში
1 თვით—3 მანეთი

გაზეთის მიუღებლობის შემთხვევაში დარეკეთ ტელ. № 17—55

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—1 მ., ტექსტის შიგნით—2 მ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს, თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. სამგლოვიარო განცხადებები—20 და 25 მ. „კომუნისტი"-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43.

სამშაბათი, 10 თებერვალი 1931 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 34 (2989)

დღიური

- 33.115.000 უმუშევარი კაპიტალისტურ ქვეყნებში.
- რევოლიუციონური ბრძოლა ინდოეთში ძლიერდება.
- ჩინეთის წითელმა არმიამ ხენანის პროვინციაში მთელი რიგი ქალაქები დაიპყრო.
- ცნობილი ამერიკელი იურისტი მური აკრიტიკებს ამერიკის მთავრობის პოლიტიკას საბჭოთა კავშირის მიმართ.

ბოლშევიკურად ჩავატაროთ ქვედა პარტიულ ორგანოების გადარჩევები

ამიერ-კავკასიის ნაც. კომ. პარტიების ც. კ-ებს, საოლქო კომიტეტებს, რაიპარტკომებს, უჯრედებს და კომუნისტური ორგანიზაციის ყველა წევრებს

ქვედა პარტიულ ორგანოების გადარჩევის შესახებ

ხუთწლედის განვლილი ორი წელიწადი იყო კაპიტალისტურ ელემენტებზე გაშლილი სოციალისტური შეტევის წლები, სოციალისტური მშენებლობის მაღალი ტემპების წლები. პარტიის და მისი ც. კ-ის სწორმა ლენინურმა პოლიტიკამ უზრუნველჰყო საბჭოთა კავშირის სოციალისტური ინდუსტრიის მძლავრი ზრდა. ამ ზრდამ თავის მხრივ უზრუნველჰყო ძირითადი გარდატეხა სოფლის მეურნეობის სოციალისტური განვითარების მიმართულებით. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის დარგში მიღწეული უდიდესი წარმატებებისა და მთლიანი კოლექტივიზაციის ბაზაზე კულაკობის, როგორც კლასის, განუხრელად ჩატარებული ლიკვიდაციის საფუძველზე ძირითადად, გადაიჭრა მარცვლეულის პრობლემა და მოხდა უდიდესი გარდატეხა სოციალისტური მეცხოველეობის ორგანიზაციის საქმეში.

გუმბერაზულ წარმატებებს მრეწველობის და სოფლის მეურნეობის სოციალისტური მშენებლობის საქმეში თან სდევდა მუშათა კლასის რიცხობრივი ზრდა, უმუშევრობის ძირითადად ლიკვიდაცია, მშრომელთა ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის შემდგომი ამაღლება, მუშათა რეალური ხელფასის გადიდება. საბჭოთა კავშირის სამეურნეო და კულტურული ამაღლების საქმეში გადამწყვეტი როლი ითამაშა მუშათა კლასის და კოლმეურნეების მილიონიანი მასების აქტივობისა და შრომითი ენტუზიაზმის უდიდესმა ზრდამ.

პარტიამ ამ უაღრესად დიდ წარმატებებს, რომელთაც განსაზღვრეს საბჭოთა კავშირის შესვლა სოციალიზმის პერიოდში, მიაღწია გენერალური ხაზის მტკიცე გატარებით და დაუნდობელი ბრძოლით ორ ფრონტზე მემარჯვენე გადახრის, როგორც ამ ეტაპზე მთავარი საფრთხის, ტროცკიზმის, ამ გადახრებთან შემარიგებლობის და თვალთმაქცური მემარჯვენე - „მემარცხენე" ბლოკის წინააღმდეგ.

ამ შედეგებმა ბრწყინვალედ დაადასტურეს ობიექტური შესაძლებლობანი გეგმის შესასრულებლად, სოციალისტური მშენებლობის გაშლის აღებული ტემპების სრული რეალობა და საშუალება მოგვცეს მიგვეღო 1931 წლისათვის — „ხუთწლედი ოთხ წელიწადში" ლოზუნგის განხორციელების საქმეში გადამწყვეტი წლისათვის — უფრო მაღალი გეგმები, რომელთა შესრულებაც ხუთწლედის მესამე წელიწადს დაამთავრებს საბჭოთა კავშირში სოციალისტური ეკონომიკის საძირკვლის აგებას.

საბჭოთა კავშირის უდიდესმა მიღწევებმა სოციალისტური მშენებლობის საქმეში უზრუნველჰყვეს ამიერ-კავკასიის ფედერაციის სამეურნეო ხაზის გაძლიერება, პროლეტარიატის დიქტატურის გამაგრება ნაციონალური მშვიდობიანობის განმტკიცება და მოამზადეს შემდეგი წინასწარი პირობები სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის, ა.-კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ტეხნიკური სოციალური გარდაქმნის ტემპების დასაჩქარებლად. ნავთის ამოღება ხუთწლედის მეორე წელს გაიზარდა 19,5 პროცენტით და მან 40 პროცენტით გადააჭარბა 1913 წლის ამოღებას, ა-კ. ს.მ.უ. საბჭოს მიერ დაგეგმილი მრეწველობის საერთო პროდუქცია 1929-30 წელს, ხუთწლედის პირველ წელთან შედარებით, გაიზარდა 58 პროცენტით, კაპიტალური დაბანდებები ა.-კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის მთელ მრეწველობაში გაიზარდა 60 პროცენტით, სახელმწიფო ბიუჯეტი 54 პროცენტით, ტეხნიკური კულტურების ნათესის ფართობი 30 პროცენტით კოლექტივებში გაერთიანებულ მეურნეობათა პროცენტმა 1928-30 წლის 1,4 პროცენტიდან ხუთწლედის მეორე წელს აიწია 17,6 პროცენტით.

ამიერ - კავკასიის კომუნისტური ორგანიზაციები ქვედა პარტიული ორგანოების გადარჩევას იწყებენ ისე, რომ მათ ხუთწლედის მეორე წელიწადში ვერ მიაღწიეს 1930 წლის შესრულებას ნავთის, ბამბის, ჩაის და ა.-კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში. პარტიულმა ორგანიზაციებმა, მიუხედავად იმისა, რომ მათ მოეპოებოდათ ყველა რეალური შესაძლებლობანი ამ გეგმის შესასრულებლად, ვერ უზრუნველჰყვეს იმიტომ, რომ მათ „არ აღმოაჩნდათ უნარი სწორი ხელმძღვანელობა გაეწიათ" (სტალინი) მეურნეობისათვის — იმ რიგად, რომ ეს რეალური შესაძლებლობანი განეხორციელებიათ, არ ეყოთ უნარი ბოლშევიკურათ ებრძოლათ ტემპებისათვის, არ ეყოთ უნარი სათანადოთ დაერაზმათ მასების აქტივობა და სათავეში მოქცეოდენ მას.

ა.-კ. ს.ფ.ს.რ. სახალხომეურნეობის 1931 წლის გეგმა საგრძნობლად აღემატება წინა წლების გეგმებს.

15.327.000 ტონა ნავთი;

ა.-კ. ს.მ.უ.ს. მიერ დაგეგმილ მრეწველობის პროდუქციის ზრდა 63 პროცენტით;

ა.კ. რკინის გზის ტვირთბრუნვა — 12.000.000 ტონა;

ბიუჯეტის ზრდა 50 პროც.-თ.

1.506.000 ჰექტარი საგაზაფხულო ნათესი;

400.000 ჰექტარი ტეხნიკური კულტურები;

250.00 ჰექტარი ბამბა;

მებამბეობის რაიონების მეურნეობათა 50 პროც. კოლექტივიზაცია;

ა.-კ. ს.ფ.ს.რ. ყველა გლეხურ მეურნეობათა 20-25 პროც.-ის კოლექტივიზაცია;

— ასეთია ამიერ-კავკასიის ფედერაციის 100 ათასი ბოლშევიკისაგან შემდგარ ორგანიზაციის და მუშების და გლეხების მილიონების ძირითადი ვალდებულებანი საქ. კ. პ. (ბ) და საბჭოთა კავშირის მთელი პროლეტარიატის წინაშე.

იმისათვის, რომ ეს სავსებით რეალური გეგმები განხორციელდეს, საჭიროა ამიერ-კავკასიის მთელი პარტიული ორგანიზაციის ძალთა უდიდესი დაჭიმვა, მაქსიმალური შეკავშირება და მთლიანი ნებისყოფა, საჭიროა, რომ ბოლშევიკები აღმოჩნდენ შესაფერ სიმაღლეზე, როგორც მუშების, კოლმეურნეების, ღარიბ და საშუალო გლეხების მილიონიანი მასების აქტივობის და ენტუზიაზმის ახალი აზვირთების ორგანიზატორები.

იანვრის — ხუთწლედის მესამე წლის პირველი თვის მაჩვენებლები, ამიერ-კავკასიაში არ არის დამაკმაყოფილებელი. ნავთის ამოღების გეგმა შესრულებულია მხოლოდ 95,8 პროც.-ით, ნავთის გადამუშავების გეგმა — 92,5 პროც.-ით, ფულადი სახსრების მობილიზაციის — 59,9 პროც.-ით, მსხვილი ოთხფეხი პირუტყვის დამზადების — 60 პროც., პურის დამზადების წლიური გეგმა პირველი თებერვლისათვის შესრულებულია 88,5 პროც., ზამთრის არატი შესრულებულია 25,7 პროც., სოფლების, კოლმეურნეობების, საბჭ. მეურნეობების და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მზადება თესვისათვის სუსტად სწარმოებს. უმთავრეს სამეურნეო - პოლიტიკურ ამოცანების შესრულების ეს მაჩვენებლები, იმ ამოცანების, რომლებიც სახალხო მეურნეობის 1931 წ. გეგმის უმნიშვნელოვანეს ნაწილს შეადგენენ, მოწმობენ იმას, რომ მთელ რიგ პარტიულ ორგანიზაციებში ადგილი აქვს მემარჯვენე ოპორტუნისტულ იმედის დამყარებას „თვითმიმდინარეობაზე", რომ ისინი ვერ ახერხებენ შეკავშირებას, მასების ძალების, ყურადღების და ენერგიის მობილიზაციას სახალხო მეურნეობის გეგმის უაღრესად საპასუხისმგებლო ამოცანების შესრულებისათვის საბრძოლველად.

არც ერთი სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანა არ შეიძლება გადაიჭრას „სტიქიურად", „თვითმიმდინარეობით", 1931 წლის საბრძოლო დავალებანი ყველა პარტიულ ორგანიზაციებისაგან მოითხოვენ ბოლშევიკურ შეუპოვრობას, მუშაობის ტემპების გაძლიერებას ყველა ხაზით. ბრძოლა გეგმების მთლიანად შესრულებისათვის ნავთის, მრეწველობის, ტრანსპორტის, გაზაფხულის თესვის, ბამბის, ჩაის, კოლექტივიზაციის, პურის და პირუტყვის დამზადების და ფულადი სახსრების მობილიზაციის საქმეში, **ბრძოლა ყველა გეგმების შესრულებისათვის სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგებში, არის ბრძოლა პარტიის გენერალური ხაზისათვის.**

ამიერ-კავკასიის ყველა პარტიულ ორგანიზაციების მობრუნება პირით 1931 წლის ამოცანებისაკენ — ამ ნიშნის ქვეშ უნდა ჩატარდეს ქვედა საფეხურის პარტორგანოების გადარჩევა.

„პარტია — კლასის შეგნებული მოწინავე ფენა, მისი ავანგარდია. ამ ავანგარდის ძალა ათჯერ, ასჯერ და კიდევ უფრო დიდია, ვიდრე მისი რიცხვი, შესაძლებელია თუ არა ეს? შეიძლება თუ არა რომ ასის ძალამ გადააჭარბოს ათასის ძალას? შეიძლება და აღემატება კიდეც, **როცა ასი შეკავშირებულია.** შეკავშირება აათკეცებს ძალას. მოწინავე რაზმის შეგნება, სხვათა შორის იმაში მდგომარეობს, და იმაში გამოიხატება, რომ მას შეუძლია შეკავშირდეს და ამ შეკავშირებით იგი ღებულობს **მთლიან ნებისყოფას,** და მოწინავე ათასის, ასეულის ათასის, მილიონის ეს მთლიანი ნებისყოფა **ხდება** კლასის ნებისყოფად" (ლენინი).

პარტიულმა ორგანიზაციებმა გადარჩევის მიმდინარეობის დროს უნდა ეცადონ, რომ ყოველმა თავიანთმა რგოლმა გამოიჩინოს ისეთი ბრძოლის უნარი, შეკავშირება და დისციპლინა, რომ სამეურნეო ფრონტის ყოველ ცალკე დარგში (საწარმო, ქარხანა, დეპო, საამქრო, სოფელი, საბჭოთა მეურნეობა, სამანქანო-სატრაქტორო სადგური კოლმეურნეობა), უზრუნველყოფილ იქნას ყოველი უჯრედის, ყოველი სამეურნეო და პროფესიონალური ორგანოს ყველა კომუნისტების, მუშების, კოლმეურნეების და ღარიბ და საშუალო გლეხობის მთელი მასის მომზადება მედგარი მუშაობისათვის სახალხო მეურნეობის 1931 წლის გეგმის შესასრულებლად.

ხუთწლედის მესამე წლის ამოცანების გადაჭრის გზაზე ამიერ-კავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების წინაშე ჯერ კიდევ ბევრი სიძნელეა რომელთაც უწინარეს ყოვლისა, საფუძვლად უდევს კლასობრივი მტრის წინააღმდეგობის გაძლიერება ჩვენი ქვეყნის შიგნით და მის გარეთ. შემდგომი გაშლილი შეტევის ორგანიზაცია სოციალისტური მშენებლობის მთელ ფრონტზე გამწვავებული კლასობრივი ბრძოლის პირობებში პირველ ყოვლისა მოითხოვს თვით პარტიის მობილიზაციას. „ბოლშევიკური შეტევის შინაარსი მდგომარეობს იმაში, რომ მობილიზაცია ვუყოთ თვით პარტიას შეტევის მთელი საქმის ორგანიზაციისათვის, განვამტკიცოთ და გავსწმინდოთ პარტიული ორგანიზაციები, განვდევნოთ იქიდან ბიუროკრატიზმსა და გადაგვარების ელემენტები, გავრიყოთ და განვდევნოთ ლენინური ხაზიდან მემარჯვეთ და „მემარცხენე" გადახრების გამომხატველნი და პირველ ადგილზე წამოვაყენოთ ნამდვილი მედგარი ლენინელები". (ი. სტალინი).

პარტიამ გაანადგურა კონტ-რევოლიუციონური ტროცკიზმი, სავსებით ამხილა კულაკური აგენტურა პარტიაში — მემარჯვენე ოპორტუნიზმი, დაამარცხა სირცოვ-ლომინაძის „მემარცხენე"-მემარჯვენე ბლოკის პლატფორმა, რომელიც გამოწვეული იყო პანიკით სიძნელეების წინაშე და ამ სიძნელეებზე სპეკულიაციის გაწევის სურვილი. **პარტიული ორგანიზაციების ამოცანას უნდა წარმოადგენდეს შემდეგშიაც დაუზოგავი ბრძოლის განგრძობა კულაკურ აგენტურასთან პარტიაში, მემარჯვენე ოპორტუნიზმთან, როგორც მთავარ საფრთხესთან ეხლანდელ ეტაპზე, კონტრ-რევოლიუციონური ტროცკიზმის ნაშთებთან, მემარჯვენე-„მემარცხენე ბლოკის ნამსხვრევებთან, პარტიის ლენინური ხაზიდან ყოველგვარ გადახრებისადმი შემარიგებლობასთან,** რომლებიც აფერხებენ ჩვენს წინსვლას.

ამჟამად, როცა იდეურად და ორგანიზაციულად დამარცხებული მემარჯვენე ოპორტუნისტები და „მემარცხენე" ნახევრად ტროცკისტები ვერ ბედავენ თავიანთი სახის აშკარა გამომჟღავნებას, სიტყვით აცხადებენ, რომ ისინი იზიარებენ პარტიის გენერალურ ხაზს, პრაქტიკაში კი აწარმოებენ მუშაობას, რომელიც არსებითად ძირს უთხრის ლენინურ ხაზს — **ყველა პარტიული ორგანიზაციების ამოცანას შეადგენს — გაამახვილონ ბრძოლა ოპორტუნიზმის გამოსააშკარავებლად პრაქტიკულ მუშაობაში, კიდევ უფრო გააძლიერონ ბოლშევიკური სიფხიზლე, თავიანთი რიგების გამობრძმედილობა და ბრძოლის უნარი და დაუზოგავად ამხილონ ორპირობა.**

კლასობრივი ბრძოლის გამწვავების გამო, რომელიც პარტიის რიგებში აძლიერებს ნაციონალურ გადახრებს, რუსეთის დიდმპყრობელობისა და ადგილობრივ შოვინიზმისაკენ (ქართული, თურქული, სომხური), რაც ასუსტებს ა.-კ. ს.ფ.ს.რ. ხალხების მთლიანობას და ხელს უწყობს ინტერვენციას, **პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა გააძლიერონ ბრძოლა რუსეთის დიდმპყრობელურ შოვინიზმთან, როგორც მთავარ საფრთხესთან ნაციონალურ საკითხში ეხლანდელ ეტაპზე და ადგილობრივ შოვინიზმთან,** არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დაშვებულ იქნას ფედერალიზმის პრინციპების გადატანა ამიერ-კავკასიის პარტიული ორგანიზაციების მუშაობის პრაქტიკაში.

ქვედა საფეხურის პარტიული ორგანოების გადარჩევის დროს მთელი სიგრძე-სიგანით უნდა დაისვას კულტურული რევოლიუციის და ნაციონალურ-კულტურული მშენებლობის პრობლემები. **პარტიული მასების ყურადღების ცენტრში უნდა იდგეს:**

ყურადღების გაძლიერება ლენინური ნაციონალური პოლიტიკის პრაქტიკული გატარებისადმი, ნაციონალური უთანასწოროების ელემენტების აღმოფხვრისადმი, ამიერ-კავკასიის ფედერაციის ხალხების ფორმით ნაციონალურ და შინაარსით პროლეტარულ კულტურის ფართო განვითარებისადმი, ნაციონალური პროლეტარული კადრების მომზადებისადმი.

საყოველთაო სავალდებულო პირველ-დაწყებითი სწავლების გატარება და წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია; ქვედა საფეხურის პრესის ხარისხის გაუმჯობესება და მისი სოციალისტური შეტევის გაშლის საქმეში, მასების მობილიზაციის იარაღის როლის გაძლიერება.

პარტიული ორგანიზაციების უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს პარტიის რიგების შემდგომი ზრდა იმ უდიდესი რეზერვების ხარჯზე, რომლებიც განუწყვეტლივ იზრდება მუშათა კლასში. **პარტიულმა ორგანიზაციებმა** ხელმძღვანელობა უნდა გაუწიონ მუშათა მასების გაძლიერებულ პოლიტიკურ და საწარმოო აქტივობას, უფრო მაღალ საფეხურზე უნდა აიყვანონ სოცშეჯიბრება, დამკვრელობა და ბრძოლა შრომის დისციპლინისათვის, წარმოების რაციონალიზაციისათვის, გააუმჯობესონ მუშათა აქტივის პოლიტიკური აღზრდა **და საგრძნობლად გააძლიერონ პარტიის ზრდის ტემპები მუშების მოწინავე ნაწილის ხარჯზე,** დამკვრელების, ძველი მუშების და მუშა-ქალების და აქტიური კომკავშირელების ხარჯზე. პარტიის ზრდასთან დაკავშირებულ მუშაობაში **განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ნაციონალური - პროლეტარული კადრების ჩაბმას პარტიის რიგებში.** მტკიცე ბრძოლის უნარის მქონე ორგანიზაციების შექმნა სოფლად მოითხოვს მოწინავე მოჯამაგირეების, კოლმეურნეების და ღარიბი გლეხების საუკეთესო ნაწილის, აქტიური კომკავშირელების, მოჯამაგირე ქალების, კოლმეურნე და ღარიბ გლეხ-ქალების გაძლიერებით ჩაბმას პარტიის რიგებში. პარტიის ზრდისათვის მუშაობის შემდგომი გაშლის შემადგენელ ნაწილს უნდა წარმოადგენდეს პარტიაში მიღებულთა იდეურად და პოლიტიკურად განმტკიცება და ბოლშევიკური აღზრდა მათი პრაქტიკულ მუშაობაში.

პარტიული ორგანიზაციების განსაკუთრებული ზრუნვის საგანს უნდა შეადგენდეს ამიერ-კავკასიის სახალხო მეურნეობისათვის ახალი **კვალიფიციური კადრების, განსაკუთრებით ნაციონალური კადრების აღზრდა და მომზადება მუშათა კლასის წრიდან გამოსულ პირებისაგან,** რომლებიც სოციალისტური მშენებლობის თანამედროვე მოთხოვნების სიმაღლეზე იდგომებიან.

სახალხო მეურნეობის 1931 წლის გეგმის შესასრულებლად **პარტიულმა ორგანიზაციებმა კონკრეტული ხელმძღვანელობა უნდა გაუწიონ სოციალისტური მშენებლობის ფრონტის ყველა დარგებს.** ბოლშევიკები უნდა დაეუფლონ საწარმოს, ქარხანას, ფაბრიკის, საბჭოთა მეურნეობის, კოლექტიური მეურნეობის და სამანქანო სატრაქტორო სადგურის ტეხნიკას, ეკონომიკას და ფინანსებს. ბოლშევიკისაგან საჭიროა არა მარტო პარტიის გენერალური ხაზის აღიარება, არამედ აგრეთვე აქტიური ბრძოლა მისი გატარებისათვის ცხოვრებაში. **ბოლშევიკი უნდა გახდეს ორგანიზატორი, სპეციალისტი იმ დარგში, იმ მუშაობაში, რომელიც დააკისრა მას პარტიამ.** ბოლშევიკმა ღრმად და დაწვრილებით უნდა შეისწავლოს ყოველი კონკრეტული საქმე. ამაშია იმის გარანტია, რომ კომუნისტების როლი, როგორც მასების ორგანიზატორებისა წარმოებაში, სოფლის მეურნეობაში, საბჭოთა და კოოპერატიულ აპარატში, უმაღლეს სასწავლებელში არ იქნება განსაზღვრული ეგრედ-წოდებული საერთო ხელმძღვანელობით, გრძელი ცირკულიარების და ინსტრუქციების წერით და არ მოხდება ის, რომ მათ ვერ შეამჩნიონ ამავე დროს ის საქმე, რომელსაც უცხო ელემენტები და მავნებლები აკეთებენ და რომელიც ხელს უშლის პარტიის მნიშვნელოვანი დირექტივების განხორციელებას და აფერხებს ჩვენი გეგმების შესრულებას. ამაშია იმის გარანტია, რომ საწარმოში და ტრანსპორტზე გატარდება ერთმმართველობა. საწარმოსათვის სწორი ხელმძღვანელობის გაწევის უნარი წარმოადგენს იმის გარანტიას, რომ ყველა ჩვენი გეგმები მთლიანად შესრულდება.

მუშათა მასების აქტივობის მობილიზაცია მრეწველობის განვითარების ტემპების დაჩქარებისათვის, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისათვის, ბიუროკრატიზმის, კლასობრივი მტრის და მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლისათვის მოითხოვს იმას, რომ ფართო მასებთან პარტიის დამაკავშირებელი ყველა რგოლები დაკვრითი წესით მუშაობდენ. უნდა „მოვაწყოთ პროფესიონალური, კოოპერატიული, საბჭოთა და ყველა სხვა მასიური ორგანიზაციების მთელი პრაქტიკული მუშაობის გარდაქმნა რეკონსტრუქციის პერიოდის მოთხოვნებთან შეფარდებით, შევქმნათ მათში ბირთვი ყველაზე უფრო აქტიურ და რევოლიუციონურ მუშაკებისაგან, განვდევნოთ და გავრიყოთ ოპორტუნისტული, ტრედ-უნიონისტური, ბიუროკრატიული ელემენტები, გავაძევოთ იქიდან უცხო და გადაგვარებული ელემენტები და დავაწინაუროთ დაბლიდან ახალი მუშაკები" (სტალინი).

პარტიულმა ორგანიზაციებმა ფართოდ უნდა განმარტონ საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი საბჭოების და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაობის გარდაქმნის შესახებ და საკავშირო პროფსაბჭოს პლენუმის გადაწყვეტილებანი პროფესიონალური ორგანიზაციების გარდაქმნის შესახებ. ამ გადაწყვეტილებებს უნდა გაეცნოს ყოველი უპარტიო მუშა, კოლმეურნე, ღარიბი და საშუალო გლეხი, ამან უნდა უზრუნველყოს საბჭოების, პროფკავშირების და კოოპერაციის მუშაობის გარდაქმნის შესახებ მოცემულ დირექტივების დაჩქარებით გატარება ცხოვრებაში.

საჭიროა ავსწიოთ საბჭოების როლი პარტიის გენერალური ხაზის პრაქტიკულად გატარებაში. საბჭოებმა ნამდვილად უნდა გაუწიონ ხელმძღვანელობა მეურნეობას, პრაქტიკულად უნდა შეუდგნენ სოციალისტური შეჯიბრების და დამკვრელობის, საკოლმეურნეო მშენებლობის, მუშათა მომარაგების, მშრომელთა საყოფაცხოვრებო და კულტურულ მოთხოვნების დაკმაყოფილების საკითხების გადაჭრას. საბჭოები მთელ თავიანთ მუშაობაში უნდა დაეყრდნონ საბჭოს მასიურ აქტივს, უწინარეს ყოვლისა, საწარმოში — დამკვრელებს, სოფლად—კოლმეურნეებს და ღარიბ გლეხებს, და პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით განამტკიცონ თავიანთი კავშირი მასებთან, ჩააბან სოციალიზმის აქტიური მშენებლების რიგებში მუშები, კოლმეურნეები, ინდივიდუალურ ღარიბ და საშუალო მეურნეებისა, განსაკუთრებით მუშა-ქალების, გლეხი ქალების და ახალგაზრდობის ახალი მასები.

იმისათვის, რომ საბჭოების გარდაქმნა განხორციელდეს, პარტიულმა ორგანიზაციებმა ნამდვილი გადამწყვეტი ბრძოლა უნდა აწარმოონ მემარჯვენე ოპორტუნისტულ პრაქტიკასთან, რომელიც დღესაც იშვიათ მოვლენას არ წარმოადგენს ადგილობრივ საბჭოების მუშაობაში პროლეტარული თვითკრიტიკის საფუძველზე შეუპოვრად გაშალონ შემდგომი ბრძოლა ბიუროკრატიზმთან საბჭოთა აპარატში.

პროფკავშირების დანაწილების ნამდვილად უსწრაფესმა ჩატარებამ ისინი უფრო კონკრეტულად უნდა ჩააბას სამრეწველო-საფინანსო გეგმისათვის ბრძოლაში და გაუადვილოს მათ მუშათა მასების კულტურულ-საყოფაცხოვრებო საჭიროებათა უკეთ დაკმაყოფილება. პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა წარმოებაში სამრეწველო-საფინანსო გეგმისათვის ბრძოლაში თავისი ყოველდღიური მონაწილეობით უნდა დარაზმონ მუშათა მასების ნებისყოფა და ენერგია ხუთწლედის მესამე წლის პროგრამის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, იმისათვის, რომ ჩატარდეს პროფკავშირული ორგანიზაციების გარდაქმნა, საჭიროა გადაჭრით განვდევნოთ ოპორტუნისტული ტრედუნიონისტური ელემენტები და გავშალოთ პროლეტარული თვითკრიტიკა მუშათა მასების შემოქმედებითი ინიციატივის რეალიზაციის საფუძველზე,—ინიციატივის, რომელიც მიმართულია 1931 წლის საბრძოლო გეგმების განხორციელებისაკენ.

სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაობის გარდაქმნა ამჟამად მჭიდროდაა დაკავშირებული წარმოებასთან, დაკვრით მოძრაობასთან, რეალური ხელფასის გადიდებასთან. სამომხმარებლო კოოპერაციამ პირველ რიგში უნდა უზრუნველჰყოს სოციალისტური მშენებლობის უმთავრესი დარგები და მომარაგების საქმე დაუკავშიროს „საწარმოო გეგმების შესრულებას, შრომის ნაყოფიერების გადიდებას, მუშა-ხელის ცვალებადობასთან ბრძოლას და შრომის ორგანიზაციის ახალი ფორმების (სოცშეჯიბრება, დამკვრელობა და სხვ.) წახალისებას" (საკ. კ. პ. (ბ) ცენტ. კომიტეტის და ცენტ. საკ. კომისიის დეკემბრის პლენუმის რეზოლიუციიდან).

სოფლად „საჭიროა უზრუნველჰყოფილ იქნას კოლმეურნეთა უპირატესი მომარაგება სამრეწველო საქონლით და მომარაგების სისტემა დაკავშირებულ იქნას საწარმოო გეგმების და დამზადებათა წარმატებით განხორციელებასთან" (საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-მ და ცენტ. საკონტ. კომისიას დეკემბრის რეზოლიუციიდან).

პარტიული ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში უნდა მოექცეს დახურული განმანაწილებლების და საზოგადოებრივი კვების სასადილოების მუშაობის გაუმჯობესება, სამომხმარებლო კოოპერაციის სოფლად არსებული ქსელის მდგომარეობის გადამჭრელი გაუმჯობესება და მასში კოლმეურნეობისა და ღარიბი გლეხების ხელმძღვანელი როლის უზრუნველყოფა.

იმისთვის, რომ განხორციელდეს კოოპერატიული ორგანიზაციების გარდაქმნა, საჭიროა სამომხმარებლო კოოპერაციის აპარატი გადაჭრით გაიწმინდოს მასში დარჩენილ მენშევიკურ, დაშნაკურ, მუსავატურ და ბიუროკრატიულ ელემენტებისაგან და აცილებულ იქნას მომარაგების დარგში მუშაობის მოწყვეტა მასებისაგან— მომარაგების საქმის მოწყობის ირგვლივ კოოპერაციაში გაერთიანებული მასების მობილიზაციისსა და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაობაში მემარჯვენე ოპორტუნისტულ პრაქტიკასთან გადამჭრელი ბრძოლის საფუძველზე.

ქვედა პარტიული ორგანოების გადარჩევა უნდა წარმოადგენდეს იმის გენერალურ შემოწმებას, თუ პარტორგანიზაციის ყოველმა რგოლმა (და მისმა ხელმძღვანელმა ორგანომ) თავის ყოველდღიურ პრაქტიკულ მუშაობაში რამდენად მოახდინა მასების მობილიზაცია სოციალისტური მშენებლობის გეგმის შესრულებისა და გადაჭარბებით შესრულებისათვის. ბოლშევიკური თვითკრიტიკის და, „პიროვნების განურჩევლად, კრიტიკის მაქსიმალურად გაშლასთან, ერთად, საჭიროა ალიკვეთოთ, თვითკრიტიკის სახით ოპორტუნისტულ შეხედულებათა შეპყრობა და გადამჭრელი ბრძოლა გაუწიოთ ყოველგვარ ცდას, მიმართულს იქითკენ, რომ ყოველგვარი კრიტიკული შენიშვნა მიჩნეულ იქნას „გადახრად". **საჭიროა უზრუნველყოფილ იქნას პარტიული მასების მაქსიმალური აქტივობა მდივნების და კომიტეტების ბიუროების არჩევნებში და ქვედა პარტიული რგოლების ხელმძღვანელ ორგანოებში მტკიცე ლენინელების, დამკვრელების წარმოებიდან,** მოჯამაგირეების, კოლმეურნეების და ღარიბი გლეხების დაწინაურება. მხოლოდ ამ პირობებში შეიძლება განხორციელდეს ქვედა პარტიული ორგანოების პოლიტიკური ხაზისა და პრაქტიკული მუშაობის შემოწმება და კონტროლი მასების მხრივ, შეცდომების და დეფექტების ნამდვილად აღმოფხვრა მათ მუშაობაში და მათი რიგების გაწმენდა უვარგისი ელემენტებისაგან, რომელნიც შეეზარდნენ კულაკურ-კაპიტალისტურ ელემენტებს. მხოლოდ ამ პირობებში შეიძლება მობილიზაცია თვით პარტიისა ბოლშევიკური შეტევის ორგანიზაციისათვის.

ერთ-ერთ ძირითად მომენტად, რაც განსაზღვრავს პარტიული ორგანიზაციების მუშაობას, უნდა წარმოადგენდეს ის, თუ რამდენად აქცევენ ყურადღებას პარტორგანიზაციები კომკავშირის მუშაობას და რა ხარისხისაა ის ხელმძღვანელობა, რომელიც ეწევა მათ. საჭიროა ქვედა საფეხურის პარტორგანოებში გაძლიერებულ იქნას პასუხისმგებლობის შეგნება კომკავშირის მდგომარეობისა და მუშაობისათვის. **პარტიული ორგანიზაციების ამოცანას წარმოადგენს —განმტკიცებულ იქნას ბოლშევიკური ხელმძღვანელობა კომკავშირზე, ბრძოლის უნარის გადიდება გენერალურ ხაზისათვის ბრძოლაში კლასობრივი მტრისა და მისი აგენტურის წინააღმდეგ პარტიაში.**

ყველა პარტიულ ორგანიზაციებმა თავიანთ საქმეთ უნდა გაიხადონ საკავშირო ლ. ა. კ. კ-ის მე-11 ყრილობის დადგენილებათა სავსებით გატარება.

კომკავშირმა როგორც პარტიის პირველმა და საუკეთესო თანაშემწემ, უნდა გადაიტანოს თავისი მუშაობა პრაქტიკული მონაწილეობის მიღებაზე სამეურნეო მშენებლობაში, გააძლიეროს თავისი როლი ძირითადი სამეურნეო - პოლიტიკური კამპანიების გატარებაში, დაუმორჩილოს წარმოებაში, სოფლად, საბჭოთა აპარატსა და უმაღლეს სასწავლებლებში თავისი პრაქტიკული მონაწილეობის მიღებაზე სამეურნეო მშენებლობაში, გააძლიეროს თავისი როლი ძირითადი სამეურნეო-პოლიტიკური კამპანიების გატარებაში, დაუმორჩილოს წარმოებაში, სოფლად, საბჭოთა აპარატსა და უმაღლეს სასწავლებლებში თავისი პრაქტიკული მუშაობის თვითეული ნაბიჯი პარტიის ძირითად დებულებებს. საჭიროა მიღწეულ იქნას ის, რომ კომკავშირი დაეუფლოს წარმოების დეტალებსა და იმ ახალ ტეხნიკას, რაც მიდის სოფელში. უნდა უზრუნველვყოთ ყველა კომკავშირელის საყოველთაო მონაწილეობა სოცშეჯიბრებასა და დამკვრელობაში, კომკავშირის მონაწილეობის გაძლიერება პროფკავშირების მუშაობასა და საბჭოთა აპარატის მუშაობის უკეთესად მოწყობის საქმეში. კოლექტივიზაციისათვის ბრძოლის ფრონტი უნდა წარმოადგენდეს კომკავშირის ერთ-ერთ უფრო მეტად საპასუხისმგებლო მუშაობის დარგს. ეს მოითხოვს კომკავშირის ხარისხობრივ გამაგრება-განმტკიცებას სოფლად. კომკავშირმა უნდა დარაზმოს მუშა და გლეხთა ახალგაზრდობის მასები 1931 წლის დაკვრითი ამოცანების შესასრულებლად და მიაღწიოს იმას, რომ თავის რიგებში სოფლად ჩააბას მთელი მუშა ახალგაზრდობა, ფართოდ ჩაითრიოს მოწინავე კოლმეურნე და ღარიბი ახალგაზრდობა და მიიზიდოს საშუალო გლეხთა ახალგაზრდობის საუკეთესო ნაწილი. ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების საქმეში კომკავშირის ამოცანას წარმოადგენს—გააფართოოს და განამტკიცოს შეფობა წითელი არმიის ნაწილებზე. კომკავშირისათვის ხელმძღვანელობის გაწევის საქმეში პარტიული ორგანიზაციებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს ინტერნაციონალური აღზრდის გაძლიერება კავშირში, ამიერ-კავკასიის ხალხთა ყველა კომკავშირელების მთლიანობისა და მჭიდრო კავშირის განმტკიცების საფუძველზე. ნორჩ პიონერების მოძრაობისათვის ბოლშევიკური ხელმძღვანელობის გაწევის უზრუნველსაყოფად საჭიროა, რომ ამ მოძრაობას უფრო მეტ ყურადღებას უთმობდნენ არა თუ კომკავშირული ორგანიზაციები, არამედ პარტიული უჯრედებიც ადგილებზე.

ხუთწლიანი გეგმის მესამე წლის პროგრამისათვის ბრძოლა მთელი სიმწვავით აყენებს ქალთა შორის მუშაობის საკითხს. მთელი რიგი პარტიული ორგანიზაციები თავიანთ პრაქტიკულ მუშაობაში აშკარად არასაკმაოდ აფასებენ ამ საკითხის მთელს პოლიტიკურ მნიშვნელობას. ქალთა ახალი კადრების გამოზრდას ამიერ-კავკასიის მრეწველობისათვის და სოფლის მეურნეობის ისეთი დარგებისათვის, როგორიც არის მებამბეობა, ჩაის კულტურა, მეაბრეშუმეობა და მეთამბაქოება, დიდი მნიშვნელობა აქვს 1931 წლის გეგმით დასახულ მრეწველობაში ახალი მუშების ჩაბმას, ტეხნიკური კულტურების ფართობის გადიდებისა და საკოლმეურნეო მოძრაობის გაძლიერების დავალებათა შესრულებისათვის. ამასთან ერთად **სოციალისტურ მშენებლობაში ქალთა კადრების მასიურ ჩაბმას აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა ა.-კ. სფსრ-ის ხალხთა მშრომელი ქალების ყოფა-ცხოვრების ძირითადად გარდაქმნისათვის.** ამიტომ ქალთა კადრების მომზადებისა და ამიერ-კავკასიის სახალხო მეურნეობაში ქალთა შრომის რაციონალურად გამოყენების საკითხებს თავისი ადგილი უნდა მიეჩინოს ყველა პარტიული ორგანიზაციების მუშაობაში.

საჭიროა ფართოდ გაიშალოს მასიური მუშაობა ქალებს შორის. ეს მუშაობა დაყენებულ უნდა იქნას ხუთწლიანი გეგმის გადამწყვეტი წლის ამოცანათა შესაფერ დონეზე. უნდა უზრუნველვყოთ პარტიასა და კომკავშირში ქალთა მოწინავე აქტივის ჩაბმა, განსაკუთრებით ამიერ-კავკასიის ფედერაციის ადგილობრივ ეროვნებათა ქალების.

საარჩევნო კამპანიის მსვლელობაში **საწარმოო და სატრანსპორტო უჯრედებმა** გულდასმით უნდა შეამოწმონ, თუ ცალკე კომუნისტები და უჯრედები საერთოდ თავიანთი პირადი ყოფაქცევით რამდენად წარმოადგენენ მაგალითს წარმოებაში, როგორ უწყობენ ისინი ხელს მასების წარმატებით დარაზმვას საწარმოო დავალებათა შესასრულებლად ბრძოლისათვის (შინაგანი რესურსების მობილიზაცია, მუშაობის ყველა ხარისხობრივ მაჩვენებელთა გადიდება, შრომის ნაყოფიერების აწევა, შრომის დისციპლინის განმტკიცება, პროდუქციის თვითღირებულების შემცირება და მისი ხარისხის გაუმჯობესება), როგორ უდგანან ისინი სათავეში ბრძოლას სოციალისტური შეჯიბრების, დამკვრელობის, წარმოების რეკონსტრუქციისა და რაციონალიზაციისათვის.

დაბალი საფეხურის პარტორგანოების გადარჩევის გარშემო ტრანსპორტზე საჭიროა დაუყოვნებლივ გაიშალოს მუშაობა საკავშირო კ. პ. (ბ) ც. კ.-ისა და საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს მიმართვის დასამუშავებლად სარკინიგზო ტრანსპორტის შესახებ და დაისახოს მოქმედების კონკრეტული პროგრამა, რაც საჭირო იქნება ძირითადი გარდატეხის უზრუნველსაყოფად ტრანსპორტის მუშაობაში.

პარტიული ორგანოების მომავალი გადარჩევის მნიშვნელობა ფართოდ უნდა იქნას გაშუქებული საწარმოო და სატრანსპორტო უჯრედების მიერ უპარტიო მუშების წინაშე. ამით ხელი შევუწყოთ მათს შემდეგ დარაზმვას პარტიის გარშემო და მასების ახალ აღტკინებას სამრეწველო-საფინანსო გეგმის რეალიზაციისათვის ბრძოლის ირგვლივ.

გადარჩევის კამპანია **სოფლად** მჭიდროდ უნდა იქნას დაკავშირებული 1931 წლისათვის დასახულ ამოცანებთან. **თესვის გეგმის შესრულება, არსებულ კოლმეურნეობათა განმტკიცება, კოლმეურნეობებში შესვლელ ღარიბ-საშუალო გლეხთა მასების ახალი ნაკადების შექმნა, მუშაობის გაშლა ღარიბებთან, კავშირის განმტკიცება საშუალო გლეხთან და სოფლის კაპიტალისტურ ელემენტებზე (კულაკობა) შემდგომი შეტევის მოწყობა—ყოველივე ეს უნდა გახდეს პარტიული ორგანიზაციების დაკვრითი ამოცანად.**

სწორი შინაგანი წესრიგის შემოღება კოლმეურნეობებში, შემოსავლის სისწორით განაწილება, კოლმეურნეობათა დროზე მომზადება თესვის კამპანიისათვის, სოცშეჯიბრებასა და დამკვრელობის მეთოდების დანერგვა საუკეთესო მაჩვენებელი იქნება კოლექტიური მეურნეობის უპირატესობის და გახდება ბერკეტად კოლექტივიზაციის შემდგომი ზრდისათვის.

არსებულ კოლმეურნეობათა განმტკიცება და კოლექტივიზაციის ახალი აღტყინების ორგანიზაცია მოითხოვენ შეტევის შემდგომ გაძლიერებას კულაკობაზე, რომლის მიმართ ამიერ-კავკასიაში ჯერ კიდევ ძალაში რჩება პარტიის წინანდელი ლოზუნგი, რაიც ახლანდელ პერიოდში წარმოადგენს არა ძირითად, არამედ დამხმარე ლოზუნგს—კულაკობის შეზღუდვა და შევიწროება, რამაც უნდა მოამზადოს კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაცია მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე. მუშაობის პრაქტიკა (პურის, ბამბის, პირუტყვის დამზადება, საგადასახადო პოლიტიკა, ფულადი სახსრების შეგროვება, მიწით და წყლით სარგებლობა, სამრეწველო საქონლით მომარაგება, კანონმდებლობით გათვალისწინებულ ზღვარენის ზომების გამოყენება) მოწმობს, რომ მთელმა რიგმა პარტიულმა ორგანიზაციებმა მუშაობის სამეურნეო და პოლიტიკური საკითხების გადაჭრის დროს ვერ გამოიჩინეს კულაკთან ნამდვილად ბრძოლის უნარი. მთელ რიგ რაიონებში თვითნებურად აწესებენ კულაკური მეურნეობის განსაზღვრის ნიშნებს, რის გამო კულაკობას ვერ ააშკარავებენ, მხედველობიდან კარგავენ. ამ პრაქტიკას თან ახლავს ღარიბთა შორის მუშაობის შესუსტება, კულაკობის წინააღმდეგ ბრძოლისათვის ღარიბთა ძალების ორგანიზაციის და საშუალო გლეხობასთან კავშირის გაძლიერების უზრუნველყოფა. საჭიროა გადაჭრით აღმოვფხრათ ეს მემარჯვენე - ოპორტუნისტული პრაქტიკა, რომელიც აფერხებს ჩვენს წინსვლას ა.-კ. ს.ფ.ს. რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სოციალური გარდაქმნის გზით.

სოფლად ქვედა პარტიული ორგანოების არჩევნების დროს გულდასმით უნდა მოხდეს საკოლმეურნეო მოძრაობაში თვითეული კომუნისტის მონაწილეობის ხასიათის შემოწმება, მეორე ბოლშევიკური გაზაფხულისათვის სოფლების, კოლმეურ-

(გაგრძელება იხ. მე-2 გვერდზე)

საქ. კ.პ. (ბ) ა.-კავკ. საოლქო კომიტეტის 1931 წლ. 9 თებერვლის დადგენილება

1. 15 თებერვლიდან 1 აპრილამდე ჩატარდეს ამიერ-კავკასიის ყველა ქვედა პარტორგანოების (საამქრო ორგანიზატორები, ჯგუფორგანიზატორები, უჯრედების და პარტკოლექტივების ბიუროები, სადგურის და ქარხნის კომიტეტები) გადარჩევა.
2. ნაცკომპარტიების ცენტრალურმა კომიტეტებმა, საოლქო კომიტეტებმა და რაიპარტკომებმა უზრუნველჰყონ ქვედა პარტიული ორგანოების გადარჩევის შესახებ საქ. კ. პ. (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის წერილის ყველა უჯრედებში ფართო დამუშავება.
3. საოლქო კომიტეტი ითვალისწინებს არჩევნების წარსულ გამოცდილებას და წინადადებას იძლევა შექმნილ იქნას სპეციალური კომისიები ბიუროს და უჯრედის მუშაობის შესამოწმებლად, რათა პარტიული მასის ფართო ჩაბმის საფუძველზე (ბრიგადების გამოყოფა ცალკე დარგების მიხედვით), ეს მუშაობა ჩატარდეს, როგორც დიდი მასიური შემოწმება.
4. დაევალოთ ცენტრალურ კომიტეტებს, ოლქკომებს და რაიკომებს —უზრუნველჰყონ ხელმძღვანელობა და უჯრედებისათვის დახმარების აღმოჩენა არჩევნების მთელ მსვლელობაში და ადგილებზე გაგზავნონ ცენტ. კომიტეტების და ოლქკომების წევრები და პასუხისმგებელი ინსტრუქტორები.
5. საჭიროდ ჩაითვალოს საოლქო კომიტეტის ბიუროს წევრების და პასუხისმგებელ ინსტრუქტორების სასოფლო და საწარმოო უჯრედებში გაგზავნა არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად.
6. უზრუნველყოფილ იქნას არჩევნების მსვლელობის გაშუქება საოლქო, რესპუბლიკანურ, რაიონულ, საქარხნო და კედლის პრესაში.
7. ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებამ მოაწყოს არჩევნების შერჩევითი გამოკვლევა და მათი მსვლელობის შემოწმება.

თებერვლის 15-ს, სახელმწიფო ოპერის თეატრში

გაიხსნება

საქართველოს მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა

დეპუტატების საბჭოების მე-6 ყრილობა

დღის წესრიგი:

1. ა/კ. სფსრ მთავრობის მოქმედების ანგარიში
2. საქ. სსრ მთავრობის მოქმედების ანგარიში მომხ. ამხ. ფ. მახარაძე
3. მოხსენება საგაზაფხულო სათესლო სამეურნეო კამპანიის და საკოლმეურნეო მშენებლობის ამოცანების შესახებ მომხ. ამხ. მათიკაშვილი
4. მოხსენება 1931 წ. მრეწველობის საკონტროლო ციფრების შესახებ მომხ. ამხ. გოგია
5. მოხსენება საყოველთაო სავალდებულო სწავლების შემოღების შესახებ მომხ. ამხ. გ. დევდარიანი
6. საქართველოს სსრ ძირითად კანონში (კონსტიტუციაში) ზოგიერთ ცვლილებათა შეტანის შესახებ მომხ ამხ. ს. თოდრია
7. არჩევნები.

სს ცაკის მდივანი: ს. თოდრია

დავაჩქაროთ რკინის გზის ტრანსპორტის რეკონსტრუქცია

დაუახლოვოთ ტრანსპორტი მრეწველობის განვითარების სწრაფ ტემპებს

დაუყოვნებლივ და გადაუხვევლად გავატაროთ ცხოვრებაში სახკომსაბჭოს და საკ. კ.პ. (ბ) ცეკას დადგენილება ტრანსპორტის შესახებ

ტრანსპორტის მუშაობა უნდა გარდაიქმნას

უდავოა, რომ რკინის გზის ტრანსპორტმა, კერძოდ ამიერ-კავკასიის რკინის გზამ უკანასკნელი წლების განმავლობაში მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწია მუშაობის ყველა დარგებში, მაგრამ ეს მიღწევები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ტრანსპორტმა დააკმაყოფილოს ყველა ის მოთხოვნილებანი, რომელსაც მას უყენებს სწრაფი განვითარების გზაზე დამდგარი სოციალისტური მეურნეობა, ტრანსპორტი ჩამორჩა სახალხო მეურნეობის განვითარების საერთო ტემპებს, რაც გამოწვეულია უმთავრესად იმით, რომ დაგვიანდა ტრანსპორტის რეკონსტრუქცია. ტრანსპორტის რეკონსტრუქცია უფრო ნელი ტემპით სწარმოებს, ვიდრე სახალხო მეურნეობის ცალკე დარგების ტექნიკური შეიარაღება. აქედან—ის ჩამორჩენა და შეუთანხმებლობა, რომელსაც ადგილი აქვს ამჟამად ტრანსპორტსა და სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებს შორის.

უნდა ითქვას, რომ ეს ჩამორჩენა განსაკუთრებით საგრძნობია ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს საექსპორტო ნავთის პროდუქტების გადაზიდვის საქმეში. ექსპორტის ამოცანები მოითხოვს გზის შეუფერხებელ მუშაობას, მოქნილ აპარატს, ცისტერნების დროზე და საკმაო რაოდენობით მიწოდებას, შრომის დისციპლინის განმტკიცებას რკინიგზელთა შორის და სხვ. უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ მდგომარეობა ვერ არის დამაკმაყოფილებელი. ტრანსპორტის ნორმალური მუშაობისათვის უპირველეს ყოვლისა აუცილებელია ჯანსაღი საორთქლმავლო პარკი, სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი საორთქლმავლო პარკის მდგომარეობა უკანასკნელ ხანებში გაუარესდა. ავადმყოფ ორთქლმავალთა რიცხვმა უკანასკნელ თვეებში მიაღწია 10 პროცენტს. რემონტის ხარისხი ვერ სდგას სათანადო სიმაღლეზე, რის გამო გახშირდა ორთქლმავლების გაფუჭების და განმეორებითი რემონტის შემთხვევები.

ამიერ-კავკასიის რკინის გზები ცნობილია შემთხვევების დიდი რიცხვით. შემთხვევების რაოდენობა არ კლებულობს. როგორც ამ შემთხვევების ანალიზიდან ჩანს, მათი უმრავლესობა ხდება რკინის გზის აგენტების დაუდევრობით, რაც თავის მხრივ შედეგია შრომის დისციპლინის დაცემის. მოუგვარებელია ცისტერნების დროზე დაბრუნების და მოძრავი შემადგენლობის გაუმჯობესების საკითხი. სერიოზულ დაბრკოლებებს და დაუდევრობას აქვს ადგილი აგრეთვე ტვირთების გადაზიდვის საქმეში. არის შემთხვევები, როცა ცალკე დღეებში გაუგზავნელი რჩება 1500 ვაგონამდე ტვირთი.

ასეთი მდგომარეობა სერიოზულ დაბრკოლებებს უქმნის გადაზიდვის საქმეს. ამის მოთმენა აღარ შეიძლება. ტრანსპორტს იმდენად დიდი მნიშვნელობა აქვს ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესრულებისათვის და ქვეყნის თავდაცვის განმტკიცებისათვის, რომ საჭიროა დაუყოვნებლივ მივიღოთ ზომები ტრანსპორტის მუშაობის გასაუმჯობესებლად და გარდასაქმნელად რეკონსტრუქციის პერიოდის ამოცანებთან შეფარდებით.

ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა იმ კონკრეტული დავალებების შესრულებას, რომლებიც ჩამოთვლილია სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცეკას მიმართვაში ტრანსპორტის შესახებ. ამ მიმართვის დაწვრილებითი დამუშავება რკინიგზელთა ფართო კრებებზე და ახსნა-განმარტებითი მუშაობის გაშლა მიმართვაში დასმულ საკითხების გარშემო ტრანსპორტის ყველა პარტიულ და პროფკავშირულ ორგანიზაციების გადაუდებელ ამოცანას უნდა შეადგენდეს.

მიღებულ უნდა იქნეს ზომები, რომ დაუყოვნებლივ გაიშალოს მუშაობა ამ უაღრესად მნიშვნელოვანი დადგენილების უმოკლეს ვადაში განხორციელებისათვის.

რკინიგზელი.

უთავბოლო მუშაობას ბოლო უნდა მოეღოს

საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ც. კ.-ის მიმართვა რკინიგზის ტრანსპორტის შესახებ მიუთითებს, რომ ტრანსპორტზე ადგილი აქვს მუშაობის ტემპების აშკარა ჩამორჩენას ქვეყნის სოციალისტური მეურნეობის სწრაფ ზრდასთან შედარებით. ეს კი უკვე ამჟამად იწვევს მთელ რიგ სერიოზულ დაბრკოლებებს გადაზიდვის საქმეში. ამიერ-კავკასიის რკ. გზას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს სახალხო მეურნეობის სისტემაში არა მარტო ამიერ-კავკასიისათვის, არამედ მთელი საბჭოთა კავშირისათვისაც. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ამიერ-კავკასიის რკინიგზებზე ადგილი აქვს მთელ რიგ წარმატებებს უკანასკნელ წლების განმავლობაში, ბევრი რამ ისეთ მდგომარეობაშია, რომ ყოვლად დაუშვებელია ამის მოთმენა.

პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ **საორთქლმავლო პარკის მდგომარეობა მეტად არადამაკმაყოფილებელია.** ავადმყოფ ორთქლმავალთა რიცხვი მეტად დიდია და აღწევს უკანასკნელი თვეების განმავლობაში 10 პროცენტს და მეტსაც. საორთქლმავლო პარკი ხშირად სერიოზულ საფრთხის წინაშე აყენებს გადაზიდვის გეგმის შესრულებას ორთქლმავლების ხშირ-ხშირი დამტვრევისა, გაფუჭებისა, გაცდენისა და სხვათა გამო. შემთხვევათა რაოდენობა, რითაც განსაკუთრებით მდიდარია ამიერ-კავკასიის რკ. გზა, არ მცირდება. ამ შემთხვევათა დიდი პროცენტი ხდება რკინის გზის აგენტების მიზეზით. შემთხვევათა ანალიზი ისე სწარმოებს, რომ მძიმე გაკვეთილების გამოყენება დროზე ვერ ხდება. გზათა დირექციაში ვერც კი იპოვით პასუხისმგებელ მუშაკს, რომელიც სათავეში ედგას შემთხვევათა ბიუროს. დირექტივა შემთხვევათა საქმეების აუცილებლად 10 დღის განმავლობაში განხილვის შესახებ სრულიად არ სრულდება.

შემთხვევათა დიდი რიცხვის ფაქტი უნდა მიეწეროს ექსპლოატაციის აგენტების დაუდევარ მუშაობას. შემთხვევათა რიცხვი იზრდება რემონტის სუსტად წარმოების გამო. მოუთავებელი, განმეორებითი რემონტი იწვევს გაცდენას და შემთხვევათა რიცხვის გადიდებას. ნავთის გადაზიდვის გეგმის შესრულებაში ადგილი აქვს ჩამორჩენას—როგორც ჩასხმის, ისე ცისტერნების მიმოქცევის დაჩქარების საქმეში. ცისტერნების გაცდენის საშუალო ნორმები, როგორიცაა ბაქოში—8 საათი, ბათომში—6 საათი, სათობების ჩასხმის პუნქტებში—12 საათი და სადგურებზე—18 საათი,—არ სრულდება. მეტად ცუდად მუშაობს აგრეთვე სადგური ხაშური. ამ სადგურის ლიანდაგებზე დიდი ხნობით ჩერდება დატვირთული ცისტერნები, რომლებიც ხშირად დასაცლელად თბილისში ან იგზავნება კახეთისა და სამხრეთის ხაზებზე. ამ რამდენიმე ხნის წინად № 629801 ცისტერნა დაუსრულებლად იგზავნებოდა ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე 20 დღის განმავლობაში. ხშირია შემთხვევები, როცა სადგურის ლიანდაგებზე და ჩიხებში 3-4-5 დღით სდგას რამდენიმე ათეული ცისტერნა გაგზავნის მოლოდინში.

ლენინაკან-ჯულფის უბანშიაც არ არის უკეთესი მდგომარეობა. ცალკე ცისტერნები რჩება სად. ჯულფაში 52 საათამდე, ხოლო სადგ. ლენინაკანში გაცდენა აღწევს 176 საათს.

სადგურები არ აწარმოებენ ცისტერნების გაცდენის აღრიცხვას, ვინაიდან ასეთ მუშაობას „მნიშვნელოვნად“ არ სთვლიან. ამიერ-კავკასიის რკ. გზის პირველ რაიონში (ბათომი-ფოთი) გროვდება ამიერ-კავკასიისათვის მიღებული დიდძალი სურსათი: ფქვილი, შაქარი და სხვ. იქვე თავს იყრის მინერალური სასუქი, სხვადასხვა მანქანები და სხ. **გაუგზავნელი ტვირთის ნაშთი ცალკე დღეებში აღწევს 1500 ვაგონამდე.** ეს ხდება რაიონის ხელმძღვანელობის უთავბოლო და არასწორი მუშაობის გამო. მოძრავი შემადგენლობის ნორმას ან აკლდება 50 პროცენტამდე, ან კიდევ გამოყოფილი ვაგონების რაოდენობა აღემატება ამ ნორმას 150 და მეტი პროცენტით. პირველ შემთხვევაში რაიონის სადგურებზე ადგილი აქვს დაუტვირთავ ბარგის ნაშთს, ხოლო მეორე შემთხვევაში დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოთა ფრონტი იმდენად ფართოვდება, რომ ვაგონთა საგრძნობი ნაწილი გაჩერებულია მუშა-ხელის ნაკლებობის გამო. ასეთი უწესრიგო მუშაობა იწვევს მოძრავი შემადგენლობის მუშაობის გაუარესებას. საჭიროა მიღებულ იქნას სასწრაფო ზომები რომ მოძრავი შემადგენლობის მუშაობა ჩაყენებული იქნეს ნორმალურ პირობებში.

კვალიფიციური მუშა-ხელი ტრანსპორტს

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის სამდივნოს 1931 წ. 6 თებერვლის დადგენილება

ტრანსპორტზე დაბრუნებულ უნდა იქნან მოძრავი შემადგენლობის რემონტისა და მოძრაობის დარგის ის კვალიფიციური მუშა-ხელი, მემანქანეები და მათი თანაშემწეები და ინჟინერ-ტექნიკოსები, რომლებიც იქიდან წავიდნენ უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში.

შესასრულებლად საკავშირო კ.პ. (ბ) ც. კ-ის 1931 წლის 10 იანვრის დადგენილებისა ტრანსპორტზე დაბრუნების შესახებ იმ მემანქანეების, მემანქანეთა თანაშემწეების, მოძრავი შემადგენლობის რემონტისა, და მოძრაობის დარგის კვალიფიციური მუშა-ხელის და ინჟინერ-ტექნიკოსების რომლებიც ტრანსპორტიდან წავიდნენ უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში, ც.კ.-ს სამდივნო ადგენს:

1. წინადადება მიეცეთ ყველა რაიკომებსა და აჭარისტანის საოლქო კომიტეტებს — მოახდინონ სრული აღრიცხვა იმ მუშაკების, რომლებიც წინად ტრანსპორტზე იყვნენ, ხოლო ამჟამად მსახურობენ სხვადასხვა თანამდებობებზე ტრანსპორტის გარეშე, მათი ტრანსპორტზევე დასაბრუნებლად.

2. რაიკომებმა ა.-წ. 15 თებერვლამდე წარმოადგინონ ც. კ-ში სია ყველა იმ ამხანაგებისა, რომლებიც მუშაობენ ც.კ-ის ნომენკლატურულ თანამდებობებზე, რათა უფრო მოწესრიგებულად მოხდეს მათი შეცვლა სათანადო მუშაკებით. წინადადება მიეცეთ ც. კ-ის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილებას და კადრების განყოფილებას — დასახონ ღონისძიებანი პარტიული, საბჭოთა და კოოპერატიული ორგანიზაციების დროზე შესავსებად მუშაკებით, იმ მუშაკების ნაცვლად, რომლებიც ტრანსპორტზე დაბრუნდენ.

3. დაევალოს საქართველოს შრომის სახკომს — უფრო მჭიდროთ დაუკავშირდეს ადგილობრივ პარტიულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებსა და უზრუნველყოს საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს და საკავშ. კ.პ. (ბ) ც.კ.-ის 1931 წლის 15 იანვრის მიმართვის დროული და გეგმიანი დამუშავება ტრანსპორტზე მუშაკების დაბრუნების შესახებ. პერსონალური პასუხისმგებლობა ც. კ.-ის დადგენილების ამ პუნქტის შესრულებისათვის დაეკისროს ამხ. ოდილავაძეს.

4. თებერვლის გასულისათვის მოსმენილ იქნას შრომის სახკომის მოხსენება ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობისა და ჩატარებული მუშაობის შედეგების შესახებ.

5. ც. კ.-ის საორგანიზაციო - საინსტრუქტორო და კადრების განყოფილებებს — სისტემატიურად ადევნონ თვალყური ამ დადგენილების შესრულებას რაიკომებისა და შრომის სახალხო კომისარიატის ორგანოების მიერ. (ადს).

მოვსპოთ უყაირათობა საიარაღო საამქროში

(სტალინის სახელობის ქარხანა)

სტალინის სახელობის ორთქლმავალთა და ვაგონების შემკეთებელ ქარხნის საიარაღო საამქროზე ბევრი დაიწერა, მაგრამ ამ საამქროში საქმის სათანადო დონეზე დაყენებას არაფერი უშველა, ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანიზაციები ამ საამქროს სუსტ ყურადღებას აქცევენ. საიარაღო საამქროში ამჟამად სხვა ნაკლოვანებებთან ერთად დიდ უყაირათობას აქვს ადგილი. საქმის წარმოება ძლიერ არეულია. მუშები ბევრ დროს კარგავენ შეკვეთების ძებნაში და ნამუშევარის შეფასებაში, იარაღის შეკვეთები დაგროვილია და თავის დროზე არ სრულდება, რაც ხელს უშლის საამქროებში გეგმების შესრულებას. დღემდის გამოშვებული იარაღის ხარისხი ცუდია, არ არსებობს საქმის სწორი განაწილება, აქამდის გრძელდება ზოგიერთ მუშების მიერ „არახელსაყრელ“ სამუშაოზე უარის თქმა. დამზადებულ იარაღზე ადმინისტრაციის მიერ თვალყურის დევნება ძლიერ სუსტია, რაც ხელს უწყობს პროდუქციის ხარისხის გაუარესებას. შესაკეთებლად მოსული იარაღები საამქროში უპატრონოთ ყრია. საამქროში არის სპეციალური იარაღის მიმღები მომუშავე, მაგრამ ის ზედმეტად არის დატვირთული ისეთი საქმეებით, რომელიც მის მოვალეობას არ შეადგენს, ამის გამო მას არ აქვს საშუალება შეამოწმოს გამოშვებული იარაღის ხარისხი.

იარაღის წრთობა პრიმიტიულად სწარმოებს. ოთხი წლის წინად დაწყებული საწრთობი განყოფილება ჯერაც არ არის დამთავრებული. ხშირია შემთხვევები, როცა ხელოსნები დაუმთავრებელ საქმეში წინდაწინ იღებენ ხელფასს.

მუშათა რაციონალიზატორული წინადადებები არ ხორციელდება; თვითკრიტიკა არ არის გაშლილი. ამ ხაზით არავითარი მუშაობა არ სწარმოებს. რედკოლეგია მხოლოდ ქაღალდზე არსებობს. უკვე სამი თვეა რაც კედლის გაზეთი არ გამოსულა. 7 საათის სამუშაო დღეზე გადასვლასთან დაკავშირებით საამქრომ ახსნა-განმარტებითი მუშაობა სუსტად ჩაატარა. ასეთი მდგომარეობა საიარაღო საამქროში აშკარა მემარჯვენე გადახრის გამოხატულებაა პრაქტიკაში. ამას ყურადღება უნდა მიაქციონ ადგილობრივმა ორგანიზაციებმა.

ა. ბ.

სახკომსაბჭოს და საკ. კ.პ. (ბ) დადგენილება დავამუშავეთ

სტალინის სახელობის ქარხნის მუშები მხურვალედ გამოეხმაურენ სახკომსაბჭოს და საკავშირო კომპარტიის (ბ) ც. კ. მოწოდებას ტრანსპორტის შესახებ. 29 იანვარს მოწოდება დამუშავებული იქნა პარტკომიტეტის პლენუმზე, ქარხკომის პრეზიდიუმზე და საამქროების ყველა უჯრედების კრებებზე. მუშებმა წამოაყენეს მთელი რიგი პრაქტიკული წინადადებები ტრანსპორტის რეკონსტრუქციის საკითხებზე. ასე, მაგალითად, მუშებმა შეიტანეს წინადადება, რომ საამქროებში დაარსდეს პროდუქციის ხარისხის სანიმუშო ბრიგადები, გამოცხადდეს შეჯიბრება საამქროებს და ბრიგადებს შორის პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის. ქარხანა გადაიყვანონ პარაფინის მაზუთის ხმარებაზე და მოეწყოს სათბობი მასალის ხარჯვის მომჭირნეობა. საამქროების პროფორგანიზაციებმა უნდა მოაწყონ მუშებისაგან შემმოწმებელი ბრიგადები, საამქროებში, საკუჭნაოებში და მომარაგების განყოფილებებში ვარგის და უვარგის მასალის და ორთქლმავლების სათადარიგო ნაწილების გამოსარკვევად. კრებაზე დიდი ყურადღება მიექცა ერთმმართველობის განმტკიცების საკითხს.

დასასრულ მუშებმა მიიღეს მთელი რიგი ღონისძიებები საუკეთესო დამკვრელების წასახალისებლად მათი კურორტებზე, სანატორიუმებში და დასასვენებელ სახლებში გაგზავნით. კრებამ დაადგინა, რომ სასწრაფოდ დაბრუნებული იქნან უკანვე ინჟინერ-ტექნიკოსები, რომელნიც წინათ ტრანსპორტზე მუშაობდენ. საკავშირო კ. პ. (ბ) ც. კ. და სახკომსაბჭოს დადგენილების გასატარებლად გამოყოფილ იქნა სპეციალური საკონტროლო ბრიგადა.

ნ. ჯავახაძე.

ბოლშევიკურად ჩავატაროთ ქვედა პარტიულ ორგანოების გადარჩევები

ნეობების, საბჭოთა მეურნეობების და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების საბრძოლო მომზადების შემოწმება.

მთელი მზადება გაზაფხულისათვის ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ ის მიმართული იქნას ტექნიკურ კულტურათა ნათესების გაფართოებისა, მოსავლიანობის გადიდებისა და კოლმეურნეობებში ღარიბ - საშუალო ინდივიდუალურ მეურნეობათა ჩაბმისაკენ.

სოფლის უჯრედებმა საკოლმეურნეო და ღარიბ-საშუალო მასების წინაშე ფართოდ უნდა გააშუქონ საკ. კ.პ. (ბ) ცენტ. კომიტეტის და საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს მიმართვა კონტრაქტაციის შესახებ და დაუყოვნებლივ უნდა გაშალონ მუშაობა ამ მიმართვის განსახორციელებლად.

უმაღლეს სასწავლებელთა საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის ცენტრში უნდა მოექცეს ამოცანა სისტემატიური ბრძოლის გაძლიერებისა ახალი სპეციალისტთა კადრებისათვის მუშათა კლასის ფენებიდან, განსაკუთრებით ნაციონალური პროლეტარული კადრებისათვის. **კვალიფიციური კადრების მომზადების ხარისხის შემოწმება უნდა გადაიქცეს გადამწყვეტ მომენტათ უმაღლეს** სასწავლებელთა უჯრედების მუშაობაში. ამ თვალსაზრისით უნდა მოხდეს შემოწმება სასწავლო მუშაობის და განსაკუთრებით, საწარმოო პრაქტიკის ხელმძღვანელობისა, — საწარმოო პრაქტიკის, რომელიც წარმოადგენს არა მარტო სწავლის, არამედ სათანადო ნაწარმთა მიერ სამრეწველო-საფინანსო გეგმის შესრულების შემადგენელ ნაწილს.

სამეცნიერო-საგამოკვლევო დაწესებულებათა უჯრედებში უნდა შემოწმდეს სამეცნიერო მუშაკების აქტიობა იმ თეორეტიული ბრძოლის ფრონტებზე, რომელიც მიმართულია ოპორტუნიზმის ყოველგვარი სახის და ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ, და სამეცნიერო-საგამოკვლევო მუშაობაში უზრუნველყოფილ უნდა იქნეს რადიკალური მობრუნება სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის აქტუალური პრობლემისაკენ:

საბჭოთა-კოოპერატიული დაწესებულებების უჯრედებმა თავიანთ მუშაობაში **უნდა უზრუნველყონ პარტიის და ხელმძღვანელ საბჭოთა ორგანოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების ნამდვილი შემოწმება,** მომჭირნეობის რეჟიმის მტკიცედ გატარება აპარატში, გადამწყვეტი ბრძოლა ბიუროკრატიზმთან საბჭოთა და კოოპერატიულ აპარატში, აპარატის მუშაობაზე მუშებისა და გლეხების ქვემოდან მომდინარე კონტროლისათვის მხარის დაჭერა, აპარატის გარდაქმნა სოციალისტური მშენებლობის გაზრდილ მოთხოვნებთან და მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო საჭიროებებთან შეფარდებით.

—:—

1931 წლის სახალხო - სამეურნეო გეგმა უზრუნველყოფს ამიერ-კავკასიის ფედერაციაში შემავალი რესპუბლიკების ინდუსტრიალიზაციას და სოფლის მეურნეობის სოციალისტურ გარდაქმნას, წარმოადგენს ბრძოლის პროგრამას, რომელიც ამაგრებს ამიერ-კავკასიის სამეურნეო ბაზას, განამტკიცებს პროლეტარიატის დიქტატურას და ა.-კ. ს.ფ.ს. რესპუბლიკის ყველა ხალხთა ინტერნაციონალურ ერთობას და თანამშრომლობას.

ამ ბოლშევიკური პროგრამის შესრულების ირგვლივ უნდა შემჭიდროვდნენ ამიერ-კავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების რიგები.

გაშლილი სოციალისტური შეტევის პროგრამის შესასრულებლად ამიერ-კავკასიის ბოლშევიკებმა პარტიის ლენინური ხაზის დროშის ქვეშ უნდა დარაზმონ და მოძრაობაში მოიყვანონ მუშების, კოლმეურნეების, ღარიბი და საშუალო გლეხების მილიონიანი მასები.

საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. საოლქო კომიტეტი

გზა სოციალიზმისაკენ

„როტე - ფანე“-ს წერილი

ბერლინი, 8 თებერვალი. დღეს „როტე ფანე“ ათავსებს ციფრობრივ ცნობებს გერმანიაში განაწილებულ საბჭოთა შეკვეთების შესახებ.

„როტე ფანე“ ადარებს საბჭოთა შეკვეთების ჯამს 1931 წლის იანვრის პირველ კვირეებში 1930 წლის სათანადო ჯამს და აცხადებს, რომ ეს მცირე ცნობებიც საკმარისია იმისათვის, რომ დავინახოთ ის უდიდესი მნიშვნელობა, რაც აქვს გერმანიის მშრომელთათვის საბჭოთა კავშირის სოციალისტურ მშენებლობას. გერმანიის ეკონომიური კრიზისი კიდევ უფრო ღრმა იქნებოდა და უმუშევრობა კიდევ უფრო საგრძნობი, რომ ძლევამოსილი სოციალიზმის ქვეყანა არ აძლევდეს გერმანიის მშრომელებს პურსა და სამუშაოს, რომელთა მათთვის მიცემა კაპიტალისტურ გერმანიას უკვე აღარ შეუძლია. გერმანიის მუშამ ნათლად უნდა გაითვალისწინოს, რომ უდიდეს საბჭოთა შეკვეთებსაც კი გერმანიაში არ შეუძლია ძირითადი ცვლილება შეიტანოს მის მდგომარეობაში.

მხოლოდ მასიურ ძალად ქცეულ ბოლშევიკურ იდეებს გერმანიის კომ პარტიის ხელმძღვანელობით შეუძლიათ წაიყვანონ მუშები საბრძოლველად ექსპლოატატორების წინააღმდეგ და გაუხსნან მათ სოციალიზმის კარები (ადს).

„დეიჩე ბერგვერკს ცეიტუნგი“ ხუთწლიანი გეგმის შესახებ

ბერლინი, 8 თებერვალი. მძიმე მრეწველობის ორგანო „დეიჩე ბერგვერკს ცეიტუნგი“ განაგრძობს საბჭოთა ხუთწლიანი გეგმისადმი დამოკიდებულების განხილვას და ათავსებს ახალ წერილს, რომელშიაც ამბობს:

„წმინდა ეკონომიური თვალსაზრისით ხუთწლიანი გეგმა წარმოადგენს სახალხო მეურნეობის ჯერ კიდევ გაუგონარ პროგრამას. ამიტომ სრულიად მიზანშეწონილი იქნებოდა, რომ გერმანიის მრეწველობა უფრო მეტ მონაწილეობას მიიღებდეს მის გატარებაში.

რამდენადაც წინ მიდის ხუთწლიანი გეგმა განხორციელება,—ამბობს გაზეთი,—იმდენად საერთაშორისო ვაჭრობა და მრეწველობა იგრძნობენ საბჭოთა კავშირის კონკურენციას (ადს).

ანტისაბჭოთა ბლოკში გერმანიის ჩაბმის მორიგი ცდა

ბერლინი, 7 თებერვალი. ბერლინის გაზეთები ბეჭდავენ ფრანგი ჟურნალისტის დორმესონის წერილს საფრანგეთ-გერმანიის თანამშრომლობის შესახებ. დორმესონი ამ თანამშრომლობისათვის ბაზის შესაქმნელად წინადადებას იძლევა, რათა მახლობელი 2 წლის განმავლობაში მოხდეს გერმანიის სარეპარაციო ვალის 50 პროცენტით შემცირება; ამასთან სათანადოთ უნდა შემცირდეს მოკავშირეთა ვალი ამერიკისადმი, ეს უნდა მოხდეს იმ აუცილებელი პირობით, რომ გერმანიამ და საფრანგეთმა თორმეტ-თორმეტი პროცენტით შეამცირონ თავიანთი სამხედრო ბიუჯეტები და **დასდონ ლოკარნოს საზღვაო პაქტის მსგავსი სამხედრო ხელშეკრულება.** დორმესონი აღნიშნავს, რომ მის მიერ წარმოდგენილი წინადადება—გეგმა შემოწმებულია ხანგრძლივი საუბრის დროს სხვადასხვა წრის პასუხისმგებელ პირებთან. დორმესონმა მისი სიტყვით, თავისი გეგმა განსახილველად წარუდგინა არა მარტო საფრანგეთის, არამედ ამერიკის ოფიციალურ წრეებსაც (ადს).

ჩინეთის წითელი არმიის გამარჯვება

ბეიპინი. 8 თებერვალი, გაზეთ „ტაკუნბაო“-ს კორესპონდენტი წერილში ხენანის პროვინციის ჩრდილოეთი ნაწილის მდგომარეობის შესახებ აცხადებს, რომ ფინ-ძიუს რაიონში—ყვითელი მდინარის ჩრდილოეთის —ხუანხეში გამოჩნდნენ მრავალრიცხოვანი წითელ-არმიელთა რაზმები, რაზმები გარს შემოერტყენ ქალ. ლიუჟიანს, ხენანის პროვინციის საზღვარზე. მინტუა-ლეის რაზმი, რომელიც გამოვიდა წითელ-არმიელების წინააღმდეგ, განადგურებულია. **წითელ-არმიელთა რაზმებმა დაიპყრეს მთელი რიგი** სოფლები და ქალაქები (ადს).

33.115.000 უმუშევარი

მოსკოვი, 8 თებერვალი. პროფინტერნის ცნობებით, 31 კაპიტალისტურ სახელმწიფოში ამა წლის იანვარში იყო 33.115.000 უმუშევარი. ამ რიცხვში არ შედიან ის ნახევრად უმუშევრები, რომელნიც კვირაში 2—3 დღეს მუშაობენ. კერძოდ შეერთებულ შტატებში იანვარში იყო 10 მილ. უმუშევარი, გერმანიაში—5,3 მილ., ინგლისში — 3,5 მილ., იაპონიაში — 2 მილ., იტალიაში — 1.8 მილ., და პოლონეთში — 1.1 მილიონი (ადს).

როგორ უნდა ჩატარდეს 25 თებერვლის დღესასწაული

აფხაზეთის სსრ-ისა, აჭარისტანის ასსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქის ცაკებს, ყველა საქალაქო საბჭოებს და სარაიონო აღმასკომებს

დამატებით გაცემულ დირექტივებისა, სრ. საქ. ცაკი და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 10 წლის თავის აღსანიშნავ ზეიმის ჩამტარებელი ცენტრალური კომისია მიუთითებენ ადგილობრივ აღმასკომებს და საქალაქო საბჭოების პრეზიდიუმებს, აგრეთვე აღნიშნულ დღესასწაულის ჩასატარებლად ზემოხსენებულ პრეზიდიუმებთან დაარსებულ სათანადო კომისიებს, რათა ზეიმის ჩატარების მთელ პერიოდში ადგილებზე მთავარი ყურადღება მიექციონ სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგებში არსებულ მიღწევათა რაც შეიძლება სრულყოფილ გამომჟღავნებას და ამ მიღწევათა საკმაო პოპულარიზაციას მშრომელთა ფართე მასებში

საქ. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ათი წლის თავის ზეიმს ადგილებზე საფუძვლად უნდა დაედვას შემდეგი მთავარი მომენტები:

1. განვლილი ათი წლის მანძილზე ადგილობრივად წარმოებული სოციალისტური მშენებლობის შედეგების შეჯამება და ამ მიმართულებით არსებულ მიღწევათა დემონსტრაცია როგორც ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის დარგში, ისე სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის სფეროში.

2. ფართო ახსნა-განმარტების ჩატარება მშრომელ მოსახლეობაში, რომ საქ. საბჭოთა ხელისუფლების 10 წლის თავზე არსებულ წარმოებათა მიღწევა შესაძლებელი გახდა მხოლოდ პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში, ბოლშევიკების დროშის ქვეშ დარაზმვით, რომ მიღწეული წარმატებანი წარმოადგენენ პარტიის გენერალური ხაზის მტკიცე გატარებისა და ლენინური ნაციონალური პოლიტიკის სწორი განხორციელების შედეგს;

3. ხუთწლედის ოთხ წელში შესრულების საქმეში საწარმოო ენტუზიაზმის ახალი ტალღის ამოძრავება და მშრომელ მასების უფრო ფართო მობილიზაცია საქ. კომპარტიის ხელმძღვანელობით სიძნელეთა ბოლშევიკურად დაძლევისათვის;

4. წითელი არმიის როლის პოპულარიზაცია ჩვენი ქვეყნის სოციალისტურ მშენებლობისა და თავდაცვის განმტკიცების საქმეში;

5. საყოველთაო სავალდებულო სწავლების იდეის სათანადო პოპულარიზაცია მშრომელ მასაში და დარაზმვა ადგილობრივ მოსახლეობის წერა-კითხვის უცოდინარობის 100 პროცენტით ლიკვიდაციის უზრუნველყოფის საკითხთან დაკავშირებულ სათანადო პრაქტიკულ ღონისძიებების გარშემო.

დღესასწაულის ჩატარების შედეგად უნდა მივიღოთ სოფლად: მოჯამაგირეთა, ღარიბ და საშუალო გლეხობის ლტოლვის გაძლიერება კოლმეურნეობისადმი; მიმდინარე პოლიტიკური და სამეურნეო ხასიათის კამპანიების ჩატარების საქმეში მშრომელთა ფართო მასების ჩაბმა, მათი პრაქტიკული მონაწილეობის უფრო გაზრდით; საგაზაფხულო სახ.-სამეურნეო გეგმის შესრულებაში კოლმეურნეების, მოჯამაგირეების, ღარიბი და საშუალო გლეხობის აქტიური ჩაბმა და სხვ.

ქალაქად: მუშა - მოსამსახურეთა შორის სოც. შეჯიბრების, დამკვრელობის და საზოგადოებრივი ბუქსირის პრაქტიკის მაქსიმალური გაშლა; ხუთწლედის მესამე წლის საფ.-სამრეწველო გეგმის გადაჭარბებით შესრულება და სხვ.

ამის გამო, საბჭოთა ხელისუფლების ათი წლის თავის ჩასატარებლად, ადგილებზე საჭიროა გატარებულ იქნას დაუყოვნებლივ შემდეგი კონკრეტული ღონისძიებანი:

ა) ათი წლის თავის ადგილობრივად ჩატარებისათვის სათანადო პრაქტიკულ ხელმძღვანელობის გასაწევად ადგილობრივ აღმასკომებისა და საქალაქო საბჭოების პრეზიდიუმებთან დაუყოვნებლივ დაარსებულ იქნას (თუ კი ასეთები ჯერ კიდევ არ დაარსებულა) კომისიები—შემადგენლობით: აღმასკომის თავმჯდომარე (იგივე კომისიის თავმჯდომარე) და წარმომადგენლები: პარტიის და კომკავშირის სათანადო კომიტეტებისა, პროფკავშირის, ქალთა სადელეგატო კრების, კოლმეურნეობის, ღარიბთა ჯგუფის, კოოპერაციის, სამხედრო ორგანოების და სხვა ორგანიზაციების;

ბ) ანალოგიური კომისიები დაარსებულ იქნას აგრეთვე სასოფლო საბჭოებთან ზეიმის ჩასატარებლად;

გ) სახ. საბჭოსა და ზემდგომ აღმასკომების პრეზიდიუმებთან შემდგარი კომისიები შეიმუშავებენ ზეიმის ჩატარების გეგმას სრ. საქ. ცაკისა და ცენტრალური კომისიის დირექტივების საფუძველზე;

დ) ადგილობრივი საბჭოთა, პროფესიონალური, სამეურნეო და სხვა საზოგ. ორგანიზაციები საბჭოთა ხელისუფლების ათი წლის თავის ჩატარებაში თავიანთი მონაწილეობის გეგმას წინასწარ შეუთანხმებენ სათანადო აღმასკომებს და ზეიმის ჩამტარებელ კომისიებს;

ე) ფართოდ გაშუქებულ იქნას ადგილობრივ პრესაში, ცალკე შემთხვევებში—სპეციალურად გამოშვებულ ფურცლებზე—ხელისუფლების მიღწევები ადგილობრივად (ხიდები, თეატრები, სკოლების აგება, ბიუჯეტი, ფულადი სახსრების მობილიზაცია, არხებისა და გზების გაყვანა, სამკურნალო დაწესებულებათა დაარსება, ქოხსამკითხველოები, წ-კ. უცოდინარობის ლიკვიდაცია და სხვა სახალხო - სამეურნეო და საზოგადოებრივი მნიშვნელობის მომენტები სამეურნეო და კულტურულ მშენებლობის დარგში).

ვ) განსაკუთრებულად გაშუქდეს ადგილობრივ პრესაში და ფართოდ განემარტოს ქალაქისა და სოფლის მშრომელ მოსახლეობას ხუთწლიანი გეგმის რეალობა, პარტიის პოლიტიკა სოფლად, საკოლმეურნეო მოძრაობა, მისი უპირატესობანი სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის საქმეში, კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაცია მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე, მიღწევები საკოლმეურნეო მშენებლობაში, მოჯამაგირეების, ღარიბების და საშუალო გლეხობის ლტოლვა კოლმეურნეობისადმი, კოლმეურნეთა აქტივობის ზრდა, სპეცტექკულტურების განვითარების ამოცანები და სხვა მიმდინარე სამეურნეო და პოლიტიკური კამპანიების მნიშვნელობა და სხვ.

ზ) 25 თებერვლამდე ქალაქად სხვადასხვა ორგანიზაციების კრებებზე (პროფკავშირები, კომკავშირი, პიონერ-ორგანიზაცია და სხვა) ჩატარებულ იქნას წინასწარი მოხსენებები—ათი წლის მანძილზე არსებულ ადგილობრივ მიღწევების შესახებ, ხოლო სოფლად ასეთივე მოხსენებები ჩატარდეს სოფლის საერთო კრებებზე, სას. საბჭოების ღია სხდომებზე, კოლმეურნეობებში და სხ.

თ) 25 თებერვლამდე მოწვეულ იქნას აგრეთვე სკოლებში მოწაფეთა და მშრომელთა წრის კრებები, სადაც უნდა ჩატარდეს მოხსენება საბჭოთა ხელისუფლების დაარსების ათი წლის თავზე არსებულ მიღწევათა შესახებ. სასურველია აგრეთვე 24 თებერვალს სკოლებში მოწყობილ იქნას საბავშო დილა და სხვ.

ი) 24 თებერვალს ქალაქად და სოფლად მოეწყოს საზეიმო სხდომები—ქალაქად: კომპარტიის, კომკავშირის, პროფკავშირების, პიონერ-ჯგუფების; ფიზკულტურის და სხვა ორგანიზაციების მონაწილეობით, ხოლო სოფლად: პარტიის, კომკავშირის, საბჭოს წევრების, საბჭოს სექციის წევრების, კოლმეურნეების და სხვათა მონაწილეობით.

აღნიშნულ სხდომებზე ჩატარებულ იქნას მოხსენება საქ. საბჭოთა ხელისუფლების არსებობის ათი წლის თავზე არსებულ მიღწევათა შესახებ.

საზეიმო სხდომების დამთავრების შემდეგ ქალაქად და სოფლად ადგილობრივ კლუბებში მოეწყოს მასიური კულტურული გასართობები უფასოდ (კინო, წარმოდგენა, რადიო, ფიზკულტურელთა გამოსვლები და სხვ.).

ამავე მიზნით სასურველია ხსენებულ დღისათვის სოფლებში გაიგზავნოს მოძრავი კინო შერჩეულ კინო-ფილმებით გლეხობისათვის უფასო კულტ-მომსახურეობის გასაწევად;

კ) თვით 25 თებერვალს ქალაქად მოეწყოს დემონსტრაციები, რომელთაც აუცილებლად უნდა მიეცეს მასიურ-პოლიტიკური ხასიათი. დემონსტრაციები უნდა ჩატარდეს პარტიისა და ხელისუფლების მთავარ პოლიტიკურ ლოზუნგების ნიშან ქვეშ. ასეთივე დემონსტრაციების მოწყობა სასურველია აგრეთვე სოფლად, სადაც ეს შესაძლებელი იქნება;

ლ) ზეიმის ჩატარებაში, კერძოდ კი დემონსტრაციებზე აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ: პარტიის და კომკავშირის ორგანიზაციებმა, პროფკავშირებმა, ადგილობრივი საბჭოებმა, სკოლებმა, ფიზკულტურამ, კოლმეურნეებმა და საერთოდ ქალაქის და სოფლის მთელ მშრომელ მოსახლეობამ.

მ) მაქსიმალურად უზრუნველყოფილ იქნას ადგილობრივად მყოფი წითელი ჯარის ნაწილების მონაწილეობა დღესასწაულის ჩატარებაში;

ნ) განსაკუთრებით რაიონულ ცენტრებში მოეწყოს „ადგილობრივ მიღწევათა გამოფენა“ დიაგრამებით, მაჩვენებლებით, ექსპონატებით, ფოტო-სურათებით და სხვ. აგრეთვე სასურველია გამოცემა მხატვრულ ალბომისა ადგილობრივ მიღწევათა ობიექტების მიხედვით;

ო) ათი წლის თავისათვის გამოშვებულ იქნას სპეციალური ნომრები კედლის გაზეთებისა—ქალაქად: პროფკავშირებში, სკოლებში, კლუბებში და ქარხანა-ფაბრიკებში, ხოლო სოფლად: სას. საბჭოებში, სკოლებში, და ქოხ-სამკითხველოებში.

პ) როგორც ქალაქი, აგრეთვე სოფელი მორთულ იქნას 25 თებერვლისათვის საზეიმოდ — დროშებით, პლაკატებით, გირლიანდებით და სხვ.

რ) ახლად აგებულ ქარხნებისა, ფაბრიკებისა და სხვა დაწესებულებათა გახსნა შეფარდებულ იქნას საბჭოთა ხელისუფლების არსებობის ათი წლის თავთან, ე. ი. 25 თებერვალთან: ამავე რიცხვს შეუფარდდეს აგრეთვე დაპროექტებულ (ასაგებად განზრახულ) წარმოება - დაწესებულებათა საძირკვლის საზეიმო ჩაყრა იქ, სადაც ამის შესაძლებლობა იქნება.

ს) ქალაქად — საბჭოს საზეიმო სხდომებზე სასურველია მოხდეს საუკეთესო დამკვრელთა (მუშების) სიის გამოცხადება და მათი დასაჩუქრება, სოფლად — სას. საბჭ. და კოლმეურნეთა გაერთიანებულ საზეიმო სხდომაზე სასურველია აგრეთვე საუკეთესო კოლმეურნეების სიის გამოცხადება და მათი დასაჩუქრება.

ტ) ავტ. ერთეულებისა და სარაიონო (საქალაქო) კომისიები თავიანთ გეგმებს ერთ ცალად ადგენენ ს. ს. ცაკის პრეზიდიუმთან არსებულ რესპუბლიკანურ კომისიაში—განსახილველად.

ზეიმის ჩატარების მთელი პასუხისმგებლობა ადგილებზედ ეკისრებათ პირადად სათანადო აღმასკომებისა და საბჭოების თავმჯდომარეებს.

საქ. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ათი წლის თავის ჩამტარებელი რესპუბლიკანურ კომისიის თავმჯდომარე, სრ. საქ. ცაკის მდივანი ს. თოდრია.

ლენრაიონი ემზადება 25 თებერვლის ზეიმისათვის

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 10 წლის თავის აღსანიშნავად ლენინის რაიონის პარტრაიკ. გაცხოველებულ მოსამზადებელ მუშაობას აწარმოებს. აღნიშნული დღესასწაული ჩატარდება საკ.კ.პ. (ბ) ცეკას და ცენტრ. საკონტროლო კომისიის დეკემბრის გაერთიანებული პლენუმის მიერ მოცემული დირექტივების ურყევად გატარების ნიშნის ქვეშ.

რაიკომმა შეიმუშავა დღესასწაულის ჩატარების გეგმა, გამოყოფილია კომისია, რომელმაც უნდა უზრუნველყოს გეგმით გათვალისწინებული მუშაობის ჩატარება. ამ გეგმის მიხედვით 15-დან 25 თებერვლამდე რაიონის კლუბებში, წითელ კუთხეებში და საწარმოებში მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებებზე ჩატარდება მოხსენებები საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 10 წლის მანძილზე მოპოვებული მიღწევების შესახებ. მოეწყობა მიღწევათა გამოფენები; კლუბებს და საწარმოებს მორთავენ პლაკატებით და ლოზუნგებით, მოწვეულ იქნება რაიონის დასახლისთა და საშეფო წითელ არმიის ნაწილების საერთო კრებები. საბინაო ამხანაგობებთან ჩამოყალიბდება 10 წლის თავის ზეიმის ჩამტარებელი კომისიები, მოწვეულ იქნება კომუნ-კრედების მდივნების, მუშკორების და რედკოლეგიების წარმომადგენელთა თათბირი, გამოიცემა წიგნაკი და კედლის გაზეთები საწარმოო-საფინანსო გეგმის შესრულების გაშუქებით. ლენრაიონის ყველა ნებაყოფლობითი საზოგადოებები შეუდგენ მზადებას საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 10 წლის თავის ჩასატარებლად. რაიონის საშეფო საზოგადოებამ გადაწყვიტა 10 წლის აღსანიშნავ დღეებთან დაკავშირებით გაგზავნოს საშეფო სოფლებში მომხსენებლები და ბრიგადა ათი კაცის შემადგენლობით.

ბოლშევიკურად ჩაუდგეთ სათავეში საკოლმეურნეო მშენებლობას

გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანიასთან დაკავშირებით საქართველოში დაარსდა 69 ახალი კოლმეურნეობა. — საკოლმეურნეო მოძრაობა ყოველდღიურად იზრდება და ფართოვდება

> **„პარტიამ დაამარცხა მემარჯვენე ოპორტუნისტები და უდიდეს წარმატებებს მიაღწია საკოლმეურნეო მოძრაობაში, პარტია მომავალშიაც სასტიკად აღკვეთავს კოლექტივიზაციის საქმის ჩაშლის ყოველგვარ ნაბიჯს მემარჯვენე ოპორტუნისტების მხრივ და მათ მიერ საკოლმეურნეო მშენებლობის სიძნელეთა გამოყენების ცდებს.“**
>
> მე-16 პარტყრილობის დადგენილებიდან

დეფექტები კოლმეურნეობების საანგარიშო-საარჩევნო კამპანიაში

(წერილი სატრედიიდან)

სამტრედიის რაიონში კოლმეურნეობათა საანგარიშო-საარჩევნო კამპანიაში ადგილი ჰქონდა მთელ რიგ თვალსაჩინო დეფექტებს. ზოგიერთი საბჭოები, მათ შორის სამტრედიის ქალაქის საბჭო სათანადო ყურადღებას არ აქცევდენ ამ ერთ-ერთ უდიდეს მნიშვნელობის კამპანიას და არც ზომებს იღებდენ მის წარმატებით ჩასატარებლად.

საბჭოების ასეთი გულგრილობისა და პარტიულ ორგანიზაციების მხრივაც შესაფერი ხელმძღვანელობის გაუწევლობის გამო, მრავალ სოფელში კოლექტივებში საანგარიშო კრებებს ჰქონდათ ზერელე და კაზიონური ხასიათი. კერძოთ სოფ. ბაშის, ჯიხაიშის, გომის, იანეთის და ოფეთის კოლექტივების საანგარიშო კრებებზე არ ყოფილა წარმოდგენილი და განხილული კოლექტივების საბალანსო ბალანსები, რის გამო დაისვა საკითხი ამ ადგილებში საანგარიშო კრებების ხელმეორედ ჩატარების შესახებ.

სამტრედიის რაიონში კოლექტივებისაკენ ლტოლვა საგრძნობლად გაიზარდა. მარტო ერთი თვის განმავლობაში ბაშის კოლექტივებში გაერთიანდა 20 ახალი მეურნეობა, სამტრედიაში კოლექტივებში შევიდა 44 კომლი. ასეთივე ფართო ხასიათს იღებს საკოლმეურნეო მოძრაობა დანარჩენ თემებშიაც. **სულ რაიონში კოლექტივებს შემატა 855 ახალი წევრი.** განცხადება შემოსულია 252 მეურნეობისაგან კოლექტივებში წევრად მიღების შესახებ.

კოლმეურნეობების საანგარიშო - საარჩევნო კამპანიის დროს გაცხოველდა სხვა კამპანიებიც. **სიმინდის დამზადების გეგმა კოლექტივებში შესრულებული იქნა გადაჭარბებით.** კოლმეურნეებს გაუწმენდიათ მუშა და სანაშენე საქონელი, მაგრამ ვინაიდან კოლექტივებს ჯერ არ მოეპოვებათ საერთო ბოსლები, საქონელი მოსავლელად ჩაბარდა კოლმეურნების წევრებს. ბოსლების შენება მეტად მოისუსტებს. სილოსების მხრივაც მდგომარეობა ვერაა სანუგეშო. კოლექტივებს რაიონში სულ აქვთ 2 სასილოსო კოშკი და 4 ნახევარ კოშკი, რომლებშიაც დასილოსებულია 15 ათასი ტონა საკვები.

გამწევი ცოცხალი ძალისათვის ეჭერში ახლა შენდება ბოსელი. მარცვლეულის თესვის მხრივ კოლექტივები უზრუნველყოფილნი არიან. რაც შეეხება ტექნიკურ კულტურების და სოიას თესლეულს, უნდა რაიონს უნდა მიაწოდოს რაიკავშირმა.

დაიწყო კოლექტ.-ში ახლა დამატებულ წევრთა მიწად-მოწყობა. საჯავახოში და ეჭერში დაარსდა მებოსტნე ქალების ბრიგადები.

კოლექტივების მოანგარიშეებით უზრუნველსაყოფად, ამ დღეებში იხსნება სპეციალური კურსები 60 კაცისათვის.

კოლმეურნეობათა საანგარიშო-საარჩევნო კამპანიას ნაწილობრივ ხელი შეუშალა ამ გარემოებამ, რომ მობილიზაციის წესით ადგილებზე დაგზავნილი ზოგიერთი აგრონომი და მოანგარიშე მოვალეობას პირნათლად არ ასრულებდა.

რ.

კულაკები ანგრევენ კოლმეურნეობას

(თელავის რაიონი)

კოლმეურნეობათა განმტკიცება-გამაგრება მოსვენებას არ აძლევს კაპიტალისტურ ელემენტებს, რომლებიც ათასგვარ ხერხს მიმართავენ საკოლმეურნეო მშენებლობის ჩასაშლელად. არის შემთხვევები, როცა სათანადო ორგანიზაციები ყურადღებას არ აქცევენ კულაკების მავნებლურ გამოსვლებს და არავითარ ზომებს არ ღებულობენ მათ წინააღმდეგ.

მაგალითად სოფ. კალაურში (გურჯაანის რაიონი) არტელ „კომუნიზმის გზა“-ს კულაკებმა ძალით მოუსნეს 20 ჰექტარამდე მოწყობილი მიწა. კულაკების ამ თავხედობის შესახებ ეცნობა ადგილობრივ ორგანიზაციებს, მაგრამ მათ არავითარი ზომები არ მიიღეს.

გათავხედებულმა კულაკებმა შემდეგ ამავე კოლექტივს დაუწვეს 1.000 ფუთზე მეტი ბზე, რომელიც საქონლის საკვებათ ქონდათ შენახული. ყურადღება არც ამას მიექცა. შემდეგ დაუწვეს საწყობთან დადგმული 5 ურემი თივა, ამის შესახებაც ყველა ორგანიზაციებს ეცნობა, მაგრამ მას აქეთ თითქმის ორი თვე გავიდა, ზომების მიღებას კი არავინ ფიქრობს.

თუ ასე გაგრძელდა, კულაკები ალბათ უფრო შორს წავლენ. გლეხობა მოწადინებულია შევიდეს კოლმეურნეობაში, მაგრამ კულაკების თავხედობით შეშინებული, ერიდება თავისი სურვილის განხორციელებას.

ამ გარემოებას დაუყოვნებლივ უნდა მიექცეს ყურადღება. დამნაშავენი აუცილებლად უნდა დაისაჯნენ, კულაკები საჯაროთ უნდა იქნან გასამართლებული, ხოლო მათ, ვინც კულაკების წინააღმდეგ დროზე არ მიიღო ზომები, — სასტიკი პასუხი უნდა მოეთხოვოს.

ტაფის-ხეველი.

145 ახალი განცხადება

(ტყიბული)

კოლმეურნეობათა წლიური ანგარიშების შედგენა და შემოსავლის განაწილება ტყიბულის რაიონში წარმატებით მიმდინარეობს, რამაც დიდათ გაზარდა გლეხობის მისწრაფება კოლმეურნეობებისაკენ. წლიური შემოსავლის საბოლოო განაწილების დამთავრებით, **კოლმეურნეობაში შესვლის შესახებ განცხადება შეიტანა 145 ღარიბმა და საშუალო გლეხმა,** მანდიკორის თემში ჩამოყალიბდა ორი (სოფ. ჯვარისაში და ს. ბობოთში) კოლმეურნეობა. ახალი კოლმეურნეობა ყალიბდება აგრეთვე სოფ. ნაქერალაში. ამ სოფელში არსებულ კოლექტივში შესვლის შესახებ განცხადება შეიტანა 16 გლეხმა, გუბნის და თემის კოლექტივში—32 გლეხმა, ორპირის კოლექტივში—15-მა, კურსების კოლექტივში—7-მა, დღნორისის კოლექტივში—12-მა და ხრესილის კოლექტივში 6-მა.

ამრიგად კოლმეურნეობათა შემოსავლის განაწილებამ და წლიური ანგარიშების შედეგებმა გააძლიერა გლეხობის მისწრაფება კოლმეურნეობებისაკენ.

ოკრიბის რაიონის კოლმეურნეები გაცხოველებით ემზადებიან გაზაფხულის თესვისათვის და სიტყვას იძლევიან, რომ ამ კამპანიას ბოლშევიკურად ჩაატარებენ.

ლ. ჯავახაძე.

კოლექტივიზაციის ფრონტიდან

კოლმეურნეობები იზრდებიან

ქუთაისი. კოლმეურნეობების გამგეობის გადარჩევები, რომელიც დაიწყო 11 იანვრიდან — წარმატებით მიმდინარეობს. საანგარიშო კამპანია 22 კოლმეურნეობაში უკვე დამთავრდა.

კერძო მეურნეობის მხრივ დიდათ გაიზარდა ინტერესი მიმდინარე კამპანიისადმი. განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ მხრივ ქალთა დასწრება. ისინი დიდის ინტერესით ესწრებიან ამ კრებებს. მათ აინტერესებთ კოლექტივის მუშაობის მატერიალური შედეგები. ამ შედეგმა გაზარდა ლტოლვა კერძო მეურნეებისა კოლექტივში: 11 იანვრიდან დღემდე კოლმეურნეობებს შემატა 98 ახალი წევრი.

ვ. ლ—ი.

—:—

ბოლშევიკური ტემპებით

ონი, (საკ. კორ). შემოდგომის თესვა სორის კომუნამ გადაჭარბებით შეასრულა: 1500 ფუთის ნაცვლად დათესა 2.000 ფუთი ხორბალი, 100 ჰექტარის ნაცვლად მოხნა 120 ჰექტარი, 60 ჰექტარის ნაცვლად მწკრივში დათესა 70 ჰექტარი, 70 ჰექტარის ნაცვლად მოხნა ტრაქტორით 73 ჰექტარი; სათესლე მასალა გაწმინდა, დაახარისხა და შეწამლა მთელი 100 პროცენტით.

კომუნა უკვე შეუდგა სამზადისს გაზაფხულის თესვისათვის. სათესლე მასალა გადადებულია საკმაო რაოდენობით. სორის კომუნარები სიტყვას იძლევიან, რომ გაზაფხულის თესვას ბოლშევიკური ტემპებით ჩაატარებენ.

ა. ბ.

—:—

რაიკოლმეურნკავშირის აპარატი უნდა გაიწმინდოს

სამტრედია, (საკ. კორ.). სამტრედიის რაიკოლმეურნეობათა რაიკავშირში თავი მოიყარა ოპორტუნისტულმა ელემენტებმა, რომლებსაც რაიკავშირის თავმჯდომარე ამხ. ჯიბლაძე მეთაურობს. რაიკავშირის საქმიანობა მთლიანად თვითმიმდინარეობაზე არის დამყარებული. მას სრულიად შეუმჩნევლად გაეპარა შემოდგომის თესვა, მოსავლის აღება-განაწილება, საწარმოო თათბირების მუშაობა და სხ. რაიკავშირი სრულიად არ ემზადება გაზაფხულის თესვისათვის.

ამასთან ერთად რაიკავშირში ადგილი აქვს ბოროტმოქმედებებს: კომბინატორ ალ. ლორთქიფანიძეს, გაფლანგული აღმოაჩნდა 320 მანეთი.

სამტრედიის მუშგლეხინი დაინტერესდა კოლმეურნეობათა რაიკავშირის „საქმეებით“ და გამოძიების შემდეგ სამსახურიდან მოხსნა ალ. ლორთქიფანიძე.

რაიკავშირის გასაჯანსაღებლად ეს ზომა საკმარისი არ არის. საჭიროა მთელი აპარატის გაწმენდა.

ბრიგადირი.

—:—

8 ახალი კოლმეურნეობა

ლაგოდეხი 7 თებერვალი. (საკ. კორ.). კოლმეურნეობათა საანგარიშო კრებებმა ლაგოდეხის რაიონში გამოიწვია ღარიბი და საშუალო გლეხობის დიდი მისწრაფება კოლმეურნეობებისაკენ. ამ კამპანიასთან დაკავშირებით ახალი კოლმეურნეობები ჩამოყალიბდა შემდეგ სოფლებში: ზედანაწოვარში 23 კომლით, ქვედა აფენში—19 კომლით, ლელიანში 2 კოლმეურნეობა 45 კომლით, ვარდისუბანში 1 კოლმეურნეობა 25 კომლით და ბაისუბანში—სამი კოლმეურნეობა —83 კომლით.

გარდა ამისა ძველ კოლექტივებს შემატა ქვედა აფენში 129 კომლი, ვარდისუბანში 125 კომლი, ბაისუბანში—25 კომლი, ლაგოდეხში 30 კომლი და ყარსუბანში—32 კომლი. განცხადებების შემოტანა კოლმეურნეობებში მიღების შესახებ თანდათან ფართოვდება.

დ. ლომთაძე.

—:—

მეტი ყურადღება ახალ არტელებს

ხარაგოული, 6 თებერვალი ღარიბი და საშუალო გლეხობის მოთხოვნით სოფ. ცხლითში (ხარაგოულის რაიონი) ჩამოყალიბდა სასოფლო-სამ. არტელი—„სოციალისტური გზით“, რომელშიაც გაერთიანდა 53 კომლი. ხელმძღვანელი ორგანოები არჩეულია.

არტელმა შუამდგომლობა აღძრა რაიაღმასკომის წინაშე, რათა დაუყოვნებლივ მოეწყოს მათი მიწები.

პ. ბ—ძე.

ორი ახალი კოლმეურნეობა

სენაკი, (საკ. კორ.). ხორშის თემის სოფ. საგაბისკირიოში ჩამოყალიბდა სას.-სამ. არტელი—„ოქტომბრის ნაპოვარი“, რომელშიაც გაერთიანებულია 13 მეურნეობა 20 მუშა-ალით.

ამავე რაიონის სოფ. ციხეთში ჩამოყალიბდა ახალი სას.-სამ. არტელი — „ლენინის ანდერძი“, რომელშიაც გაერთიანდა 19 მეურნეობა 25 ჰექტარი მიწით და 38 სული მუშა-საქონლით. ორივე ზემოხსენებულ არტელს არჩეული ყავს ხელმძღვანელი ორგანოები, შედგენილი აქვთ საწარმოო გეგმები და შეუდგენ პრაქტიკულ მუშაობას.

ბ.

—:—

კლასობრივ მტრების საპასუხოდ

ორპირი, (საკ. კორ.) ორპირის კულაკობამ ამ დღეებში ცეცხლი გაუჩინა და დასწვა კოლმეურნეობის 1.200 კონა ჩალა. ბოროტმოქმედების აღმოსაჩენად მიღებულია ზომები.

კულაკების საპასუხოთ ღარიბი და საშუალო გლეხობა ახალ კოლმეურნეობებს ქმნის. ამ დღეებში ორპირის თემში ჩამოყალიბდა ორი კოლექტიური მეურნეობა. სოფ. ბობოთში—18 კომლით და სოფ. ქვედა ჯვარისაში 25 კომლით. ძველ კოლმეურნეობებს უკანასკნელ დღეებში მიემატა 15 ახალი წევრი.

კოლმეურნეების ინიციატივით თემის გლეხობამ დაადგინა საშკოლო მშენებლობის საჭიროებისათვის თვითდაბეგვრის სახით გაიღოს 16.000 მანეთი.

ლ. ჯავახაძე.

—:—

შავსიელები გავაძევეთ კოლმეურნეობიდან

დიდი ჯიხაიში, (საკ. კორ.). საანგარიშო-საარჩევნო კამპანია დიდი ჯიხაიშის (სამტრედიის რაიონი) კოლმეურნეობაში წარმატებით ჩატარდა. დამთავრდა აგრეთვე საწარმოო გეგმის შედგენა.

საანგარიშო კამპანიასთან დაკავშირებით ჩატარებულ იქნა კოლმეურნეობის წევრთა წმენდა და არტელიდან გაძევებული იქნა 22 შავსიელი.

შემოსავლის საბოლოო განაწილების შემდეგ ღარიბ და საშუალო გლეხობის ლტოლვა კოლმეურნეობისაკენ დიდათ გაიზარდა. 27 იანვრამდე კოლმეურნეობაში მიღებულია წევრათ 68 ღარიბი და საშუალო გლეხი.

კირცხალია

—:—

არტელი გავწმინდეთ უღირს ელემენტებსაგან

(დიღომი)

ამ დღეებში ჩატარდა სოფ. დიღომის ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის წევრთა წმენდა. არტელის შემადგენლობიდან გარიცხულ იქნა 25 კაცი, რომლებიც კოლმეურნეობის მიერ თბილისში გამოგზავნილ პროდუქტების (რომელსაც კოოპერაციას აბარებდნენ) ნაწილს კერძო ბაზარზე ჰყიდდნენ და ფულს ითვისებდნენ.

არტელიდან გაძევებულ იქნა აგრეთვე გამგეობის ერთი წევრი, რომელსაც მითვისებია არტელისათვის გამოყოფილი სამრეწველო საქონელი.

მეთვალყურე.

—:—

კომკავშირის ინიციატივით

ლაგოდეხი, (საკ. კორ.) ღარიბი და საშუალო გლეხობის მისწრაფებამ კოლმეურნეობებისაკენ გურჯაანის რაიონში მასიური ხასიათი მიიღო. 3 თებერვალს აფენის თემის ყრილობამ საზეიმოთ განიხილა 40 გლეხის განცხადება კოლმეურნეობაში მიღების შესახებ.

სოფ. ფიჩხისმორში იმავე დღეს კომკავშირის ინიციატივით ჩამოყალიბდა ახალი კოლმეურნეობა 25 კომლით.

შ. რობაქიძე.

პარტიული მშენებლობა

გავაძლიეროთ პარტიული ხელმძღვანელობა ქალთა შორის მუშაობაზე

ძირშივე აღმოვფხვრათ ქალთა შორის მუშაობის ოპორტუნისტული შეუფასებლობა

მაღალ საფეხურზე ავიყვანოთ ქალთა კადრების მომზადების საქმე სოც. მშენებლობისათვის

პარტთათბირი ქალთა შორის მუშაობის შესახებ

8 თებერვალს თათბირის დილის და საღამოს სხდომებზე გრძელდებოდა კამათი ამხ. მირკადაროვას მოხსენების და ამხ. ვაბაროვის, ტალახაძის და ხერხეიძის თანამოხსენებების გარშემო. კამათში გამოსული ორატორები მთავარ ყურადღებას აქცევდენ მრეწველობის და სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის მებრძოლ ამოცანებს, გადახრებთან ბრძოლის, ქალთა ახალი კადრების მომზადების და მათი წარმოებაში ჩაბმის საკითხებს.

კამათში გამოსული ამიერ-კავკასიის შრომის სახკომისარიატის წარმომადგენელი ამხ. **რაგიმოვი** შეეხო უმთავრესად ქალთა შრომის გამოყენებას მრეწველობაში და ქალთა კადრების მომზადების საქმეს. ქალთა ფართო მასების აქტიურ დახმარების გარეშე შეუძლებელია ჩვენს წინაშე მდგომ ამოცანების შესრულება. გასულ წელში,—სთქვა ამხ. **რაგიმოვმა**,—განზრახული იყო საამშენებლო საქ.-საფ. სკოლაში მიგვეღო 20 პროც. ქალი, მაგრამ მიღებულია მხოლოდ 3 პროცენტი, არის სხვა მაგალითებიც თბილისში სახალხო კვების, ტრამვაის წარმოების და კოოპერაციის ხაზით. სჭარბობს მამაკაცების რიცხვი მაშინ, როდესაც აქ თამამად შეგვეძლია გამოვიყენოთ ქალების შრომა.

ამხ. **გრიგორიანს** მოყავს მთელი რიგი მაგალითები იმის შესახებ, რომ კოლმეურნეობებში ქალების შრომა არ ფასდება სათანადოთ ერთდაიმავე სამუშაოების შესრულებისათვის.

კოლმეურნეობების გამგეობები ქალებს აძლევენ სხვადასხვა სახის ხელფასს. აუცილებელია, რომ ქალმა დახარჯულ შრომაში მიიღოს სათანადო გასამრჯელო. ამავე საკითხს შეეხენ სხვა ორატორებიც.

კამათში გამოსული ამხ. **მატინიანმა** (26 რაიონი) თათბირის ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ ყარაიას რაიონის ზოგიერთ ჩამორჩენილ გლეხობაში შემჩნეულია ანტიკოლმეურნეობრივი განწყობილება. ჩვენ გადამწყვეტი ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ ისეთ განწყობილებებს, რომლებიც ხელს უშლიან ბამბის გეგმების რეალიზაციას. ბამბისათვის ბრძოლაში ქალებმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ. ამხ. **გაბერკენი** მიუთითებს იმაზე, რომ დედათა და ბავშთა ჯანმრთელობის დაცვა ვერ სდგას სათანადო სიმაღლეზე. ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებმა ქალთა მასების მონაწილეობით უნდა გააძლიერონ თავისი მუშაობა ქალების და მომავალი თაობის ჯანმრთელობის უზრუნველსაყოფად.

ამხ. **დარსკაიას** მოჰყავს მთელი რიგი უმსგავსო მაგალითები იმის შესახებ, თუ როგორ ექცევიან ზოგიერთი ორგანიზაციები დედათა და ბავშთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეს. ასე მაგალითად, აჭარისტანში ამ საქმისთვის გადადებული 10000 მან. უყურადღებობის გამო გამოუყენებელი დარჩა. სარვანის რაიონში უნდა აეგოთ ქალთა ყოფაცხოვრების დაწესებულებები, შეიძინეს საამშენებლო მასალა, მაგრამ აშენებისათვის არავინ ფიქრობს. მასალა თოვლ ქვეშ ყრია. ჩვენ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ დედათა და ბავშთა ჯანმრთელობის დაცვის იდეების პოპულარიზაციას.

საქ. კ. პ. (ბ) ცეკას ქალთა სექტორის განყოფილების გამგე ამხ. **ანდრიაძე** თავის სიტყვაში შეეხო საქართველოში ქალთა შორის მუშაობას. ამხ. ანდრიაძემ აღნიშნა, რომ ჩვენ ვამჩნევთ ქალთა აქტივობის ყოველდღიურ ზრდას, მაგრამ მიუხედავად ამისა ქალთა შორის მუშაობა მაინც ჩამორჩენილია, ეს აიხსნება იმით, რომ ჩვენ პარტიულ ორგანიზაციებს ჯერ კიდევ ბოლომდე არ გარდაუქმნიათ თავისი მუშაობა ისე, რომ ხელმძღვანელობა გაუწიონ ქალთა გაზრდილ აქტივობას. თბილისშიც ქალთა შორის მუშაობა ვერ სდგას სათანადო სიმაღლეზე. დელეგატ-ქალთა კრებები ვერ უძღვებიან თავის მუშაობას წარმოებებში. ქალთა შორის მასიური მუშაობა სუსტია წარმოებებში. მომავალში მუშაობის ასე გაგრძელება შეუძლებელია, ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა აღმოფხვრან ბიუროკრატიული დამოკიდებულება ქალთა შორის მუშაობისადმი. ფართოდ უნდა ჩავაბათ ქალები საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის ბოლშევიკურად ჩატარებისათვის.

ამხ. **ავისი** ჩერდება კოლმეურნეობის მშენებლობის საქმეში ქალების როლზე. ქალების აქტიურობა კოლმეურნეობებში გაიზარდა. მაგრამ ადგილობრივი ორგანიზაციები ჯერ კიდევ სათანადო ხელმძღვანელობას ვერ უწევენ ამ აქტივობას. უნდა გვახსოვდეს, რომ კოლმეურნეობათა მოძრაობაში ქალებს შეუძლია თვალსაჩინო როლის თამაში, რასაც მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს, უნდა მოხდეს ქალთა ყურადღების მობილიზაცია პარტიის დირექტივების შესრულების საქმისთვის.

ამხ. **ტაგიევი** თათბირის ყურადღებას აქცევს ქალთა სექტორებზე პარტხელმძღვანელობის გაძლიერების საქმეს, რაიონული კომიტეტები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ქალთა შორის მუშაობას. საოლქო და რესპუბლიკანური ქალთა სექტორები არასაკმაოდ ანაწილებენ ქალთა აქტივს რაიონებში სამუშაოდ. უნდა გვახსოვდეს, რომ ყველა რაიონებისათვის ერთდაიგივე ხელმძღვანელობის გაწევა არ გამოგვადგება, ჩამორჩენილ რაიონებს უფრო მეტი ყურადღება უნდა მივაპყროთ, ვიდრე კულტურულად დაწინაურებულ რაიონებს.

ამხ. **ტაგიევი** ამბობს, რომ ქალთა დაწინაურების საკითხს არ ექცევა საკმაო ყურადღება. ქალებს მცირე რაოდენობით ვაწინაურებთ საპასუხისმგებლო პოსტებზე, დაწინაურებულ ამხანაგებსაც არ ვუჩენთ შესაფერ დახმარებას.

ამიერ-კავკასიის პარტიულმა ორგანიზაციებმა თავისი მუშაობა ისე უნდა გარდაქმნან, რომ ქალთა შორის მუშაობა გაძლიერდეს.

ქალთა აქტივობა იზრდება

(დ. აბაშა)

აბაშის რაიონში ქალთა სადელეგატო პუნქტები გასულ წელთან შედარებით საგრძნობლად გაიზარდა. სადელეგატო პუნქტების ჩამოყალიბებას საფუძვლად დაედვა საწარმოო პრინციპი და ყველა სადელეგატო პუნქტი ჩამოყალიბდა კოლ-მეურნეობებთან, საბჭოთა მეურნეობებთან და ქარხანასთან. სადელეგატო კრებების მუშაობის გეგმა გამომდინარეობს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და ქარხნის მუშაობის გეგმისაგან.

საბჭოების საანგარიშო-საგადარჩევო და სხვა მნიშვნელოვანი სამეურნეო კამპანიების ჩატარებაში ქალთა აქტიური მონაწილეობა დღითი-დღე იზრდება. განსაკუთრებით აღსანიშნავია დელეგატ ქალთა საქმიანი მონაწილეობა სიმინდის და ხორცის დამზადების საქმეში, და სესხი „5 წლედი 4 წელიწადში" ობლიგაციის შეძენაში. მარნის თემში გამართულ კრების დროს ქალებმა სოც. შეჯიბრებაში გამოიწვიეს ერთმანეთი და გაავრცელეს 115 მანეთის ობლიგაცია. ამავე მეთოდით შეგროვილ იქნა 125 ფუთი სასაქონლო სიმინდი. სოფელ ხაშის (ახალ-აბაშის თემში) დელეგატი ქალები სრული შეგნებით პირველ რიგში აბარებენ, როგორც სახაზინო, ისე სახორცე საქონელს და არა დელეგატ ქალებსაც აძლევენ სათანადო რჩევა-დარიგებას ამის შესახებ.

ყოველი დელეგატი ქალი აცხადებს თავის-თავს დამკვრელად ჟურნალ-გაზეთების გავრცელებაში, განსაკუთრებით კი ჟურნალ „მშრომელი ქალი"-ს და გაზეთ „კოლექტივიზაციი"-ს. დელეგატი ქალები მოითხოვენ სხვადასხვა სახის წრეების ჩამოყალიბებას. ჯერ-ჯერობით ყალიბდება ჟურნალ-გაზეთების ხმა-მაღლა მკითხავთა წრე.

კოლმეურნეობების საანგარიშო-საგადარჩევო კამპანიაში ქალთა 100 პრ. მონაწილეობის მიღებისათვის წინასწარ მიღებულია ზომები. გადადგმულია პრაქტიკული ნაბიჯები რაიონის ცენტრალურ ადგილებში საბავშო ბაგების მოსაწყობად.

ვ. ფაჩულია.

გარდავქმნათ პარტიული მუშაობა საწარმოებში

საქ. კ. პ. (ბ) 26-ის რაიკომის პლენუმზე

საქ. კ. პ. (ბ) 26-ის რაიკომის პლენუმმა, მეორე სხდომაზე, მოისმინა ამხ. **გორდელაძის** მოხსენება 26-ის რაიონის წარმოებების განსაკუთრებული კვარტალის საწარმოო-საფინანსო გეგმის შესრულების შედეგებზე.

მთელმა რიგმა წარმოებებმა,—სთქვა ამხ. გორდელაძემ,—გეგმები შეასრულეს გადაჭარბებით. მაგალითად, ტყავის ქარხანამ საწარმოო-საფინანსო გეგმა შეასრულა 107 პროცენტით, ფეხსაცმელების ფაბრიკამ—101 პროცენტით, ბამბის ფაბრიკამ—106 პროც. მაგრამ ამავე დროს რაიონში არის ისეთი წარმოებები, რომლებმაც განსაკუთრებულ კვარტალის გეგმა ვერ შეასრულეს. ასეთ წარმოებათა რიცხვს ეკუთვნის მკერავის მეორე ფაბრიკა, საპნის, ზეთის, მაკარონის, საშაქარლამოს; ბამბის; ძაფსალების, და ქიმკომბინატის საწარმოები. ამ წარმოებებმა ვერ შესძლეს განსაკუთრებული კვარტალის გეგმების შესრულება. გეგმის შეუსრულებლობის მიზეზი უნდა ვეძიოთ ადგილობრივი ორგანიზაციების არასათანადო მომზადებაში გეგმის რეალიზაციის საქმეში. აღსანიშნავია, რომ წარმოებების უმრავლესობა მთავარ ყურადღებას აქცევდა საერთო პროდუქციის გამოშვებას. რაც შეეხება ხარისხისათვის ბრძოლას, ის ადგილობრივი ორგანიზაციების ყურადღების გარეშე იყო მოქცეული. მაკარონის და საშაქარლამოს ფაბრიკებმ, ქიმკომბინატის და საპონზეთის ქარხანა გეგმის შეუსრულებლობის მიზეზად ობიექტიურ პირობებს ასახელებენ. ეს ასე, რომ ვსთქვათ, ოპორტუნიზმის ერთ-ერთი თავისებური სახეა პრაქტიკაში.

ზოგიერთ სამეურნეო ორგანოებს ჯერ კიდევ არ გარდაუქმნია თავიანთი მუშაობა, რომ ბოლშევიკურად უხელმძღვანელონ წარმოებას. ზოგან ადგილი აქვს საჭომსნორ განწყობილებას. ზოგიერთი სამეურნეო მუშაკი ასე მსჯელობს—ამ თვეში თუ ვერ შევასრულეთ გეგმა, მეორე თვეში შევასრულებთო. მაგალითად მაკარონის ფაბრიკის ორგანიზაციები ამბობდენ—„განსაკუთრებულ კვარტალში რაც დაგვაკლდა, იანვარში შევასრულებთო", მაგრამ იანვრის გეგმა ფაბრიკამ შეასრულა მხოლოდ 77 პროცენტით. ასეთივე სურათი გვაქვს სხვა საწარმოებშიც. ასეთ განწყობილებებს სასტიკად უნდა ვებრძოლოთ.

ამის შემდეგ ამხ. გორდელაძე ეხება პარტორგანიზაციების წარმოებისაკენ პირით მობრუნების საკითხს. ჩვენ დიდი ხანია შევუდექით პარტიულ და პროფესიონალურ მუშაობის გარდაქმნას. მაგრამ თუ ჩავუკვირდებით მუშაობის გარდაქმნის პროცესს, დავინახავთ, რომ ამ საქმეს ჩვენ მხოლოდ ეხლა ვიწყებთ. ადგილობრივ პროფესიონალურ ორგანიზაციებმა ჯერ კიდევ ვერ შესძლეს მუშათა გაზრდილი ენტუზიაზმის აქტივობის სათავეში ჩადგომა. ამიტომაა, რომ ქაღალდზე ყველა დამკვრელია, ყველა ეჯიბრება ერთი მეორეს, მაგრამ საქმით რას ვხედავთ? მაკარონის და მკერავის ფაბრიკას აქვს ჩამორჩენილობა. ჩვენს წარმოებებში მომუშავე კომუნისტები ჯერ კიდევ მაგალითს ვერ აძლევენ უპარტიო მუშებს. ხშირად პარტიის ზოგიერთი წევრები უპარტიო მასას უკან რჩებიან და ოპორტუნისტულად არიან განწყობილნი. მაგალითად პარტიის წევრი გადორსკი აგიტაციას ეწევა გემოკვეცის მუშების შორის რეალური ხელფასის დაცემის შესახებ. ეს კაცი ორი კვირის განმავლობაში უშვებდა უვარგისი ხარისხის პროდუქციას, მაგრამ არავის იმისათვის არაფერი არ უთქვამს. ფეხსაცმელების ფაბრიკაში პარტიული ამხანაგები აგიტაციას ეწევიან დამკვრელობის გასაფართოვებლად, ხოლო თვითონ კი არ არიან დამკვრელები. რასაკვირველია ეს ამბავი იცის ადგილობრივმა უჯრედმა, მაგრამ ხმას არ იღებს.

წარმოებებში ჩაბმულ ახალ მუშებს შორის პარტიული ორგანიზაციები არავითარ აღმზრდელობითი მუშაობას არ აწარმოებენ. მთელ რიგ წარმოებებში დღემდე არ არის გატარებული ერთპიროვნული მართველობა, ნაკლები ყურადღება ექცევა საამქროს ხელმძღვანელის მომზადებას. ეს საქმე მაშინ აგონდებათ ჩვენს სამეურნეო ორგანიზაციებს, როდესაც ახალი კადრები დასჭირდებათ. წარმოებებში ცალკე საამქროებს შორის პარტიული ამხანაგების განაწილების საქმე მოუწესრიგებელია. ზოგ საამქროებში მუშაობს პარტიის 20—30 წევრი, მაგრამ ზოგიერთ საამქროში არც ერთი პარტიული არ არის. მაგალითად მკერავის პირველ ფაბრიკაში დილის წყებაში მუშაობს მთელი აქტივი, ხოლო ღამის წყებაში არც ერთი აქტივი არ არის. საჭიროა სერიოზულად მოვკიდოთ ხელი ჩვენი ორგანიზაციების მუშაობის გარდაქმნის საქმეს, საჭიროა გადამწყვეტი გარდატეხა ამ საქმეში. ამხ. გორდელაძე ეხება სამეურნეო და პარტიულ ორგანიზაციების უყურადღებობას დაწინაურებულ მუშებისადმი და ამბობს, რომ ადგილი აქვს, ზოგიერთ სამეურნეო მუშაკების მიერ სამკუთხედთან შეუთანხმებლად — მუშების დაწინაურებას. არ სწარმოებს სათანადო შესწავლა პარტიული ორგანიზაციების მიერ იმ მუშების, რომელიც შეიძლება დავაწინაუროთ. პარტორგანიზაციებს თავიანთ მუშაობაში ჯერ კიდევ არ მოუხდენიათ სათანადო გარდატეხა—„პირით წარმოებისაკენ" მობრუნების საქმეში. ბრიგადებში და ცვლებში პარტიული მუშაობა არ სჩანს. ღამის წყებაში მომუშავე ამხანაგები მოწყვეტილნი არიან პარტიულ მუშაობას. ამას მთავარი ყურადღება უნდა მიაქციოს პარტუჯრედებმა. მათ სასტიკი ბრძოლა უნდა გამოუცხადონ ცრუ დამკვრელებს.

ამხ. გორდელაძის მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო 12 ამხანაგმა. კამათში გამოსული ორატორები აღნიშნავდნენ, როგორც მიღწევებს, ისე მუშაობის დეფექტებს. სექტორული მუშაობა უჯრედებში არ არის სათანადო სიმაღლეზე დაყენებული. ამ საქმეში რაიკომის მხრივაც ცოცხალი ხელმძღვანელობა მოისუსტებს. მომავალში საჭიროა ჩვენი საწარმოო უჯრედების მუშაობაში მოვახდინოთ ძირითადი გარდატეხა. —

აქტიურად დავრაზმოთ ქალები საგაზაფხულო თესვის კამპანიაში

(გურჯაანი)

ა. წ. პირველ თებერვალს გურჯაანში შესდგა ქალთა სარაიონო მეორე თათბირი, თათბირს დაესწრო 45 დელეგატი. ქალთა სარაიონო თათბირი გახსნა რაიკომის ქალთა სექტორის გამგემ ამხ. **ლურსმანაშვილმა.**

თათბირმა დაამუშავა შემდეგი საკითხები: ქალთა სადელეგატო პუნქტების მუშაობა ახალი ფორმებით და მეთოდებით, შემოდგომის თესვის შედეგები, საგაზაფხულო თესვის კამპანია და ბამბის კულტურის განვითარების საქმეში ქალთა ამოცანები.

პირველ სხდომაზე მოსმენილ იქნა მოხსენებები ყველა საკითხებზე, რის შემდეგ დაიწყო კამათი. აღსანიშნავია თათბირზე ქალების აქტივობა. კამათში მონაწილეობა მიიღო 18 ქალმა. უმთავრესად მოკამათეები ეხებოდნენ საგაზაფხულო თესვის და ბამბის კულტურის განვითარების საკითხებს. ზოგიერთ ადგილზე პარტიისა და კომკავშირის წევრები არ გვიწევენ შესაფერ დახმარებას და ხელმძღვანელობას, რაც ხშირად დაღს ასვამს ქალთა შორის მუშაობას ადგილებზე. საჭიროა პარტიის, კომკავშირის და სხვა ორგანიზაციებმა შესაფერისი დახმარება აღმოუჩინონ ყოველგვარ მუშაობაში. ზოგიერთ სოფლებში, როგორიცაა კარდანახი, ქალები კოლმეურნეობის ზრდის საქმეში მოწინავე რიგებს იკავებენ. გაზაფხულის თესვასთან დაკავშირებით ჩამოყალიბებულია ქალთა 30 ჯგუფური განაერთი, გაერთიანებულია 104 ქალი. ჩვენ შევესძლებთ ჩვენი მუშაობის გარდაქმნით ყველა იმ საკითხების განხორციელებას, რაც პარტიას აქვს დასახული.

დასასრულ სიტყვით გამოვიდა პარტრაიკომის პ. მგ. მდივანი ამხ. **ჩხარტიშვილი.**

ვსტეხთ განგაშს

პირუტყვის დამზადებაში ადგილი აქვს დანაშაულებრივ უპასუხისმგებლობას.—უბინაობის, საკვების უქონლობის და მოუვლელობის გამო ზოგან დამზადებული პირუტყვი იხოცება.—„სოიუზმიასო"-ს ადგილობრივი ორგანოები სრულებით მოუმზადებელი აღმოჩნდნენ პირუტყვის დამზადების კამპანიის ჩასატარებლად

მოვითხოვთ გადამჭრელი ზომების მიღებას პირუტყვის დამზადების კამპანიაში ოპორტუნისტული თვითმიმდინარეობის აღსაკვეთად და დამზადების წარმატებით ჩატარების უზრუნველსაყოფად

მოვითხოვთ გადამჭრელი ზომების მიღებას

პირუტყვის დამზადების შესახებ, ადგილებიდან მიღებული ცნობები, მეტად უნუგეშო მდგომარეობას ააშკარავებენ. ამ კამპანიის პოლიტიკური და პრაქტიკული მნიშვნელობის გასარკვევად არ სწარმოებს სათანადო ახსნა - განმარტებითი მუშაობა. სოფლის მშრომელ მოსახლეობაში; კულაკობა და შეძლებული მეურნეობანი ყველგან არაა სავსებით გამოაშკარავებული და საკმაო სისწორით არ სწარმოებს მათთვის მტკიცე დავალებების მიცემა.

ზოგან კი ადგილი აქვს „მემარცხენე" ნახტომებს, რაც გამოიხატება ღარიბ და საშუალო გლეხებისადმი მტკიცე დავალებების მიცემის ცდაში.

გარდა ამ მემარჯვენე და „მემარცხენე" ოპორტუნისტული პრაქტიკისა, ადგილი აქვს ყოვლად უმწეო მდგომარეობას დამზადებული პირუტყვის ბინით და საკვებით უზრუნველყოფის მხრივ: თელავში, ბათომში, ფოთში, ჭიათურაში და სხვაგან დამზადებული პირუტყვი იხოცება. ამ მხრივ ყველაზე უფრო აუტანელი მდგომარეობაა ბათომში და თელავში.

გარდა ამისა შეუწყნარებელ უმსგავსობებს აქვს ადგილი „სოიუზმიასო"-ს ადგილობრივ ორგანიზაციებში. ხსენებულ ორგანიზაციის ადგილობრივ საგენტოებში ზოგან თავმოყრილია არასაიმედო ელემენტები და ბიუროკრატები, რომელნიც ყოვლად უპასუხისმგებლოდ და კაზიონურად უდგებიან საქონლის დამზადების კამპანიას. თელავის რაიონის დაშორებულ სოფლებში დამზადებულია აუარებელი მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი, რომლის მიღებასაც ვერ ახერხებს „სოიუზმიასო"-ს თელავის მიმღები პუნქტი; ამის გამო საქონელი ავადმყოფდება და იხოცება.

სანიტარული პირობების უვარგისობის, და მოუვლელობის გამო ზოგიერთ რაიონებში მოსალოდნელია საქონლის ეპიდემიის გაჩენა, რაც უდიდეს ზარალს მიაყენებს სახელმწიფოს.

ყველა ეს დეფექტები სასწრაფოდ უნდა გამოსწორდეს. მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს მემარჯვენე და „მემარცხენე" ოპორტუნისტული პრაქტიკის აღკვეთას და პირუტყვის დამზადებაში პარტიის კლასობრივი ხაზის დაუმახინჯებლად გატარების უზრუნველყოფას.

სასტიკი ბრძოლა უნდა ვაწარმოოთ კულაკების წინააღმდეგ, რომელნიც გაურბიან მტკიცე გეგმით მიცემულ დავალების შესრულებას, მალავენ კარგი ხარისხის საქონელს, კერძო ბაზარზე ყიდიან მას და ყოველ მხრივ აბრკოლებენ დამზადების წარმატებით დამთავრებას.

საკვების მომარაგების საკითხი დამკვრითი წესით უნდა მოწესრიგდეს. კულაკურ და შეძლებულ მეურნეობებს ევალებათ მათ მიერ ჩაბარებული საქონლის გამოსაკვებად ორი თვის საკვები მარაგი გადასცენ დამამზადებელ ორგანიზაციებს. ეს დირექტივა მტკიცედ უნდა იქნას შესრულებული.

გარდა ამისა უნდა მოწესრიგდეს დამზადებული საქონლისათვის ბინის მიცემის და მოვლის საკითხი; უნდა მიექცეს აგრეთვე სათანადო ყურადღება სანიტარული პირობების დაცვას და ეპიდემიასთან ბრძოლის ღონისძიებათა მომზადება - გატარებას.

ყველა ეს ღონისძიებანი უნდა გატარდეს ახლავე, მუშაობის პროცესშივე, თორემ ამ დარგში მცირე დაგვიანებასაც კი დიდი ზიანის მოტანა შეუძლია.

ბ.

პირუტყვის დამზადების გეგმას წარმატებით ვასრულებთ

პირუტყვის დამზადება სენაკის რაიონში, თუმცა დაგვიანებით დაიწყო, მაგრამ მაინც თვალსაჩინო შედეგებს მივაღწიეთ.

იანვრის თვის გეგმა შესრულებულია: კულაკურ და შეძლებულ მეურნეობებში მსხვილფეხა საკლავ საქონლის — 90 პროც. სანაშენო საქონლის: მსხვილფეხასი 124.1 პროც., წვრილფეხასი 300 პროც.

თავისუფალ დამზადებაში წვრილფეხა საქონლის გეგმა, — 90 პროც., მსხვილფეხა კი 17,7 პროც., ხოლო საკლავ საქონლის გეგმა: მსხვილფეხა საქონლის 99,1, წვრილფეხა 131,1 პროც.

საერთოდ იანვრის გეგმა შესრულებულია: საკლავი მსხვილფეხა საქონლის 96,6 პროც., წვრილფეხა 75 პროც.; სანაშენო მსხვილფეხა საქონლის 54 პროც., წვრილფეხასი კი 168 პროც.

მოცემული მასალებიდან აშკარათ ვხედავთ, რომ კულაკურ და შეძლებულ მეურნეობებში საკლავი საქონლის იანვრის გეგმა არ შესრულებულა. არ არის შესრულებული აგრეთვე სანაშენო მსხვილფეხა საქონლის დამზადების გეგმა; ჩამორჩენილია წვრილფეხა საქონლის გეგმის შესრულებაც. გადაჭარბებულია მხოლოდ წვრილფეხა სანაშენო საქონლის დამზადება.

ამიტომ, თებერვლის თვეში საჭიროა მაქსიმალური ზომები მივიღოთ კულაკურ და შეძლებულ მეურნეობებში გეგმის მთლიანად ამოსაწურად; თავისუფალ დამზადებაში კი ადგილი არ უნდა ჰქონდეს მემარჯვენე გადახრებს და „მემარცხენე" ნახტომებს, ისე როგორც ეს შემჩნეული იყო რაიონის მთელ რიგ სოფლებში.

ბ. უჩანეიშვილი.

უპასუხისმგებლობის რეკორდი

საქონლის დამზადების კამპანია თელავის რაიონში ნაკლოვანებებით მიმდინარეობს. მოცემული საკონტროლო ციფრები უკვე დაყვანილია სოფლამდე, კულაკურ და შეძლებულ მეურნეობებამდე.

დამზადებული საქონელი „სოიუზმიასოს" განკარგულებით თავს იყრის თელავის და კურდღელაურის პუნქტებში.

ამ პუნქტების შემოწმებამ რაიამსაკომის მიერ გამოყოფილი კომისიის საშუალებით, გამოარკვია, რომ საქონლის მოვლა-პატრონობის და აღრიცხვის საქმე „სოიუზმიასოს" ადგილობრივ კანტორას სრულიად მოუწესრიგებელი აქვს.

სადგომები, სადაც თავსდება დამზადებულ საქონელს იმდენად უვარგისნი აღმოჩნდნენ, რომ საქონელს მოელის დაღუპვა. 40-60 მეტრიან ბოსლებში, თავმოყრილია ასობით სული მსხვილფეხა საქონელი, რომელთა შორის არიან ხბოიანი მეწველი ძროხები, ხარები, კამეჩები, ბუღები და სხვა. სადგური მეტისმეტად ბინძურადაა შენახული,—არავინ ფიქრობს მათ დახვეტას, გასუფთავებას და საქონლის მოვლა-პატრონობას. მოუვლელობის და სიბინძურის გამო თითქმის 50 პროც. დამზადებული საქონლისა დაავადებულია მუნით. ვეტერინარული ზედამხედველობა სრულიად არა სჩანს.

დიდ უთავბოლობას აქვს ადგილი საქონლის დახარისხების საქმეში. იყო შემთხვევა, როდესაც დამზადებულ ცხვრიდან, რომელიც საკლავად გადაეცა ადგილობრივ ორგანიზაციებს დიდი უმრავლესობა მაკეები აღმოჩნდნენ, რაც გამოირკვა მხოლოდ დაკვლის შემდეგ.

„სოიუზმიასოს" სარაიონო კანტორას დაუდევრობით დღევანდლამდის არ არის მოწესრიგებული დამზადებულ საქონლის კვებვის საქმე. მიუხედავად იმისა, რომ „სოიუზმიასოს" წარმომადგენელი არწმუნებდა რაიამსაკომს, რომ მას საკმაო რაოდენობა საკვებისა აქვს, ამჟამად საქონელი შიმშილს განიცდის და „სოიუზმიასოს"-ს კი არავითარი მარაგი საკვებისა არ აღმოაჩნდა.

მეტად უსისტემოდ სწარმოებს აგრეთვე დამზადებულ საქონლის გადაგზავნა თბილისში. ხშირად დამზადებული საქონელი 10-15 დღეობით იმყოფება ადგილობრივ პუნქტებში მეტად აუტანელ პირობებში და „სოიუზმიასო"-ს რწმუნებული არავითარ ზომებს არ იღებს გადაგზავნის საქმის მოსაწესრიგებლად.

ამჟამად, როგორც რაიონში მოსულ ცნობებიდან სჩანს, მესაქონლეობის სოფლებში (ზ. და ქვემო ალვანი, ფშაველი და სხვა). დაგროვილია დიდძალი დამზადებული საქონელი, მაგრამ მათ ჩაბარებისათვის არავინ თავს არ იწუხებს. „სოიუზმიასოს" კი არა აქვს მომზადებული საკმაო ბინები ამ საქონლის დასაბინავებლად.

საჭიროა სასწრაფო ზომები შემჩნეულ დეფექტების გამოსასწორებლად. საჭიროა რადიკალური ზომების მიღება „სოიუზმიასო"-ს ადგილობრივი ორგანოების პირად შემადგენლობის შესამოწმებლად და იმ მავნე ელემენტების პასუხისგებაში მისაცემად, რომელთაც [illegible] ჩააყენეს საქონლის დამზადების კამპანია.

გაზ. „კომუნისტი"-ს ბრიგადა

თბილისის საბჭო—სოციალისტური მშენებლობის შტაბია

საბჭოს ახალი შემადგენლობის პირველი პლენუმი

მუშათა მისალმებანი

8 თებერვალს სახელმწიფო ოპერის თეატრში გაიხსნა თბილისის საბჭოს დელეგატების მე-8 მოწვევის პირველი პლენუმი. თბილისის საბჭოს ახალ შემადგენლობას მხურვალედ მიესალმნენ თბილისის ქარხანა-ფაბრიკების მუშების წარმომადგენლები და საბჭოს წინაშე პარტიას და ხელისუფლებას აღუთქვეს, რომ თბილისის პროლეტარიატი გადაჭარბებით შეასრულებს ხუთწლედის მესამე გადამწყვეტი წლის საწარმოო-საფინანსო გეგმას, ამ მიზნით მუშები კიდევ უფრო გაშლიან სოცშეჯიბრებას და დამკვრელობას, აწევენ შრომის ნაყოფიერებას და იმავე დროს იბრძოლებენ პროდუქციის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

მუშების წარმომადგენლებმა საბჭოს დაავალეს მტკიცე ხელმძღვანელობა გაუწიოს სოციალისტურ მშენებლობის ყოველ დარგს და ისე გარდაქმნას თავისი მუშაობა, რომ საბჭო გადაიქცეს სოციალისტური მშენებლობის ნამდვილ მებრძოლ შტაბად.

მუშების სიტყვებს დეპუტატებით და სტუმრებით სავსე დარბაზი ხანგრძლივი ტაშით ხვდებოდენ.

საარჩევნო კამპანიის შედეგები

ამხ. პ. მელაძის მოხსენება

შემდეგ თბილისის საბჭოს არჩევნების შედეგების, მე-7 მოწვევის საბჭოს მუშაობისა და ახალ საბჭოს ამოცანების შესახებ ვრცელი მოხსენება გააკეთა ამხ. პავლე მელაძემ.—თბილისის საბჭოს არჩევნები,—განაცხადა მომხსენებელმა,—ჩატარდა მუშების დიდი ენტუზიაზმის და სოციალისტურ მშენებლობის ტემპების კიდევ უფრო გაძლიერების ნიშნავ ქვეშ. არჩევნებთან დაკავშირებით მუშებმა ფართოდ გაშალეს სოცშეჯიბრება და დამკვრელობა. თბილისის საწარმოებში დაარსდა 438 ახალი ბრიგადა და 108 დამკვრელი საამქრო. არჩევნების განმავლობაში მრავალ ქარხანაში გამოსწორებულ იქნა გარღვევები და ჩამორჩენები. იმავე დროს საარჩევნო კრებებზე მუშები სასტიკ ბრძოლას უცხადებენ ოპორტუნისტულ გამოსვლებს და ყველა ჯურის ანტისაბჭოთა ელემენტებს. თბილისში საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის განმავლობაში პარტიაში მიღების შესახებ განცხადება შეიტანა 1000-ზე მეტმა მუშამ. ასევე კომკავშირში შესვლის მასიურ სურვილს იჩენდენ ახალგაზრდა მუშები.

არჩევნები დიდი წარმატებით ჩატარდა სოფლადაც.

თბილისის ახალმა საბჭომ, რომლის უმრავლესობა შესდგება სოციალისტურ მშენებლობის ინტუზიასტებისა და საუკეთესო დამკვრელ მუშებისაგან, უნდა შესძლოს იმ ამოცანების წარმატებით შესრულება, რომელთაც მას უყენებს რეკონსტრუქტიული პერიოდი. თბილისის საბჭოს ვალია აწარმოოს არა მარტო ქალაქის კეთილმოწყობის და კომუნალური მეურნეობის საქმე, არამედ სათავეში ჩაუდგეს სოციალისტურ მშენებლობის ყოველ დარგს, მტკიცე კონტროლი გაუწიოს ყველა სამეურნეო და კოოპერატიულ ორგანიზაციების მუშაობას. თბილისის მე-8 მოწვევის საბჭომ უნდა შესძლოს ხუთწლედის 4 წელიწადში განსახორციელებლად მასების ბრძოლის ხელმძღვანელობა და სამეურნეო საკითხების ბოლშევიკურად გადაჭრა. ამასთან დაკავშირებით საჭიროა თბილისის საბჭოს აპარატის გარდაქმნა, ვინაიდან იქ დღემდე კიდევ მოიპოვებიან ბიუროკრატები და ოპორტუნისტული განწყობილების მატარებელი ელემენტები. თბილისის საბჭო მოწოდებულია მიიღოს ენერგიული ზომები მშრომელთა ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებლად და ჯანმრთელობის დასაცავად.

ყოველივე ამას საბჭო მხოლოდ მაშინ შესძლებს, თუ ის მტკიცედ იდგომება პარტიის გენერალური ხაზის სადარაჯოზე და ამ ხაზს გადაუხრელად გაატარებს.

მოხსენების გამო ერთსულოვნად მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელშიაც კონკრეტულად არის გათვალისწინებული ყველა ის ამოცანები, რომელთა განხორციელებისაკენ მიმართული იქნება ახალ საბჭოს მთელი მუშაობა.

თბილ. საბჭოს ახალი პრეზიდიუმი

რეზოლიუციის მიღების შემდეგ პლენუმმა თბილისის საბჭოს თავმჯდომარედ ერთხმად აირჩია ამხ. **პავლე მელაძე.** პრეზიდიუმის წევრებად ამხ. **ლ. სუხიშვილი, პ. მელაძე, ლ. ლომიძე, ვ. ავაქოვი, შ. ოკუჯავა, ტერ-ვართანოვი, ნიორაძე, კ. ქაცარავა, სირაძე, ს. ხმალაძე, ქურდაძე, მუსელიანი, ცაკაბაძე, ონოფრეიშვილი, ალ. იუსუპოვი, პელაგია ასლამაზაშვილი, ლიდა კუზნიცკაია, ხახვიშვილი, თედიაშვილი, დვარიანოვა, ჩუბინიძე და მზარეულაშვილი.**

კანდიდატებად: **ს. ცხოვრებაშვილი, ფანცხავა, ი. გელაშვილი, ინჟ. დიასამიძე, ფარნიევი, ორაგველიძე, გამრეკელი, ხელაშვილი, ე. მაისურაძე, ი. ცინცაძე, ივანიშვილი და ი. უგულავა.**

დასასრულ პლენუმმა აირჩია საბჭოს სრ. საქართველოს და ა.-კავკასიის ყრილობათა დელეგატები.

სია

სრ. საქართველოს საბჭოთა მე-6 ყრილობის დელეგატებისა

გადამწყვეტი ხმის უფლებით

აბაკელია (პროფესორი, უპარტიო), ვ. ავაქოვი, გ. ადამაძე, აზიზ აზიზოვი, ახდლულაძე, ლ. ანდრიაძე, აიკანუშ არაქელოვა (უპარტიო მუშა-ქალი), ვ. არეშიძე, ბ. არუთინოვი, პელაგია ასლამაზიშვილი (უპარტიო დამკვრელი ქალი), სტ. ალავერდოვი, მამაროვი (კომკავშირის ცეკა) ს. ბახტაძე, ბეჟანოვი (მუშკოოპი), ლ. ბერია (მანდატი ზესტაფონიდან), ბირიუკოვი, ვ. ბოლქვაძე, კ. ბუჯიაშვილი (კომკავშირის ცეკა), ბენიტო ბუაჩიძე, ბაგრეში, მ. ბაბუციძე, პეტრე ბოგდანოვი, ბელოკუროვი, ნინა ბერაძე, ამასი ვართანიანი, ვეზიროვი, ა. გეურქოვა, გოზალიშვილი, გვარჯალაძე, ი. გელაშვილი, ი. გიორგაძე, მ. გარინი, ფრიდა გასანზადე (უპარტიო), ვ. გიორგაძე (ქართ. დივიზია), არჩილ გიგოშვილი, სტ. გოზალოვი, ე. გორდელაძე, გრიგორიანი („რაბოჩაია პრავდა"), მ. გრიგორიანი, ჩ. გუგუშვილი, ვ. დარსაძე, მ. დაცკო, დალაქიშვილი (კომკავშირის ცეკა), დარახჩიევი, ალ. ჯანოევი (დამკვრელი მუშა უპარტიო), ვ. ჯაფარიძე, მ. ძაძანია, დიასამიძე (ინჟინერი უპარტიო), გ. დოლიძე (უპარტიო), ალ. დორმიდოროვი, ს. ემიკოვი, ლ. ენუქიძე, ზავრიევი (პროფესორი), სტ. ზაქრაძე, სერგო ისრაელოვი, ოგ. იტრიევი, ჰიჰ. კალანდაძე, კ. ქართველიშვილი, კალაშნიკოვი („საქ. ნავთი"), ლავრენტი ქართველიშვილი (მანდატი აჭარისტანიდან), ქაცარავა, ალ. კაჭარავა, კილურაძე, კიკარაძე ქეთო (დამკვრელი ქალი), პრ. კირვალიძე, ან. კლევცოვი, კოლაძე (საქ. პოლიტსამმართველო), სოფიო ქორიძე (მუშა-ქალი), გ. ყურულაშვილი, გ. კომახიძე, კ. ლაზარევი, ლ. ლომიძე, ს. ლომიძე, გ. ლელაშვილი, ს. მაიელიანი, ა. მაისურაძე, ი. მამულია, ს. მამულია (მანდატი აჭარისტანიდან), ფ. მახარაძე, მაშკევიჩი, ა. მაჟავარიანი, ბ. მაჩაიძე (მანდატი სტალინისიდან), ვ. მეტონიძე, ა. მდივანი, გ. მგალობლიშვილი (მანდატი აფხაზეთიდან), მელიქიძე (საქ. პოლიტსამმართველო), პ. მელაძე, ვ. მზარეულიშვილი (მანდატი თელავიდან), მიროტაძე (კავკ. პოლკი), მონტინი, მუსაელიანი, კაპ. მელიქაძე, ი. ნიკოლაძე (მოქანდაკე), ნიორაძე, შალვა ნუცუბიძე, შ. ოკუჯავა, ონოფრიევი (არმია), მამია ორახელაშვილი (მანდატი ქუთაისიდან), ოხანჩი (წითელ-არმიელი, უპარტიო), ვ. ოჩიგავა (არმიიდან მუშა), აკ. ფანცულაია, დ. ფანცულაია, ვ. ფანცხავა, მ. პაპახჩიანი (მუშა), პეტრუზოვი, ანდ. ფარცხალავა, ერმ. ფირცხალავა (მუშა), პოზდეევი, პოლონსკი, პოლიაკოვი, პოლიაკოვი (მუშა წითელარმიელი), პუგაჩოვი (კომკავშირელი), ზაქ. ფურცხვალიძე (მუშა-დამკვრელი), რედენსი, როზაქიძე, გ. საკიანი, ალ. საჯაია, ვ. საკვაროვა (უპარტიო მუშა-ქალი), სამოდუროვა (უპარტიო დამკვრელი ქალი), მანუკ სარქისოვი, ექვთიმე სართანია, ნ. სვანიძე, გ. სილაძე, სირაძე, (სარაიონო საქ. კომისია), ი. სიხარშვილი, სმოლინი, სუკოიანი, კირ. სულავა, ლ. სუხიშვილი, თავდგირიძე, თავშავაძე (მუშა), თედორაშვილი (მუშა-ქალი), ტერ-ვართანოვი, ტერ-ეგიაზარიანი, სარ. ტრდატიანი, ფარნიევი, მ. ფილია, ფედკო, ლ. ხამუჩინსკაიას, ხარაზიანი, ხელაშვილი, ხმალაძე, დ. ხუბალაური, დ. ხუტულაშვილი, კირ. ცაგარელი, მ. ცხაკაია, ვ. ცინცაძე, (მუშა), ს. ცხოვრებაშვილი, ბ. ჭიჭინაძე (ინჟინერი უპარტიო), ა. ჭკვიანოვა, ჩუბინიძე (კომკავშირის ცეკა), გიორგი ჩხეიძე, ს. შაროევი (მუშა), იოსებ შენგელია (მუშა), მარო შენგელია (უპარტიო, დაწინაურებული მუშა-ქალი), მარიამ შუანდრი, ელიავა, ხანდრო ეული, ალეკპერ იუსუპოვი, იაკოვლევი.

სათათბირო ხმით

აბრამიძე, ა. ალანჯანოვა, ანაპოლსკი (დამკვრელი, უპარტიო), ს. არუთინოვი, ძ. ასტვაცატუროვი, ი. ბაზინოვი, არტ. ბალასანოვი, ნიკ. ბარამიძე, ს. ბახტაძე, ვ. ბედენაშვილი, ამ. ბეჟანოვი, ბეგთაბეგოვი (წითელარმიელი), ბერიძე (საქ. პროფსაბჭო), ნ. ვასილენკო, არამა ვართანოვა, ველიძე (მუშა), ნ. ტინტიკოვი, ვოზნიაკი (მუშა), გრ. გაგლოევი, ლამბაშიძე (მუშა), გამრეკელი, გვათუა (მუშფაკი), გეტაშვილი (მუშა), ვ. გეურქოვი, დ. გერმანოზაშვილი, ლიდია გოგიტიძე, გოგორიშვილი (სახკვება), გოზალოვი; გორდეზიანი (მუშა); ნიკ. გრიგორიევი, არტ. გრიგორიანი, გუმინი (მუშფაკი), სურენ დავთიანი, დანილენკო (მუშა) დავლიანიძე, ჯავახაძე (მუშა), ათანასე ჯიქია, ვალენტინა ჯიქია, იაკობ დავიდოვი, ა. ელისაშვილი (უპარტიო მუშა), ზაკომოლდინი, ზ. კალანდია, ვ. კანდელაკი, კამალოვი, ს. კამალიანი, ალ. ყამარაული, რ. კანანოვი, აიკ. კარაპეტიანი, ალ. კობალაძე (მედსანშრომის მუშკთა კავშირი), ან. კომახიძე, კოკონაშვილი, ლიაპინი (მუშა), არტ. მაკარაშვილი, ეთერი მიხანაშვილი (დამკვრელი ქალი), ნარიმ მამედოვა, რუბენ მაილოვი, მარაპულეცი (წითელარმიელი), მარუტიანი („მკერავი"), განძიაშვილი (უპარტიო, დამკვრელი ქალი), დ. მახარაძე, მგალობლიშვილი (წყალსადენი), მეწყერაძე (დამკვრელი წითელარმიელი), მინდიაშვილი (მუშა), იაგ. მიხკაროვი, მიტკო (მუშა), გრ. მნაცაკანოვი, თამ. მხატვარი (დიასახლისი), იაკობ ნალბანდიანი (მუშა), ი. ნოზაძე, ი. ონანოვი, სანდრო ორაგველიძე, ხავა ორჯონიკიძე, ა. პერეუშინი, პერჩიანი, ფრუიძე ალ. (უპარტიო მუშა), დ. რუხაძე (მუშა), ი. რუხაძე (მუშა), ნინა სალირაშვილი, ანნა საჯაია, ანტონ სამოილოვი, კარო ხაჩიკიანი (წითელარმიელი უპარტიო), წიკლაური (მუშა), წიკლაური, სოკრატ ჩაკვეტაძე, ჩერქეზია, ი. ჩონიაშვილი, აშოტ შახნაზაროვი (მუშა), შელია, კ. ერისთავი (უპარტიო პროფესორი), შ. ძამანაშვილი, შიუკაშვილი (ცაკი), მინასი, სოლო ივანიშვილი (ავჭალა), შახბადტიანი (კომკავშირის ცეკა).

პროფ. გ. ნიკოლაძის დაკრძალვა

8 თებერვალს დიდუბის პანთეონში დაკრძალეს განსვენებული პროფ. გ. ნიკოლაძის ცხედარი. სამთო-მეტალურგიულ ინსტიტუტის დიდ დარბაზში, სადაც ცხედარი ესვენა, ნაშუადღევს შეხდგა სამოქალაქო პანაშვიდი. სამოქალაქო პანაშვიდს დაესწრენ საქ. სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. ფ. მახარაძე და უმაღლეს რესპუბლიკანურ ორგანოების სხვა წარმომადგენლები.

გამოსვენების წინ სიტყვები წარმოსთქვეს —მარგანეცის ტრესტის, სამთო-მეტალურგიული ინსტიტუტის და ფერო-მარგანეცის ახალი ქარხნის საამშენებლო სამუშაოთა სამმართველოს წარმომადგენლებმა.

ინსტიტუტის შენობიდან ცხედარი გამოასვენეს ამხ. ფ. მახარაძემ, ძამანაშვილმა და განსვენებულის კოლეგებმა. პროცესია გაემართა თავისუფლების მოედნისაკენ, ხოლო იქიდან რუსთაველის და პლეხანოვის პროსპექტის გავლით დიდუბის პანთეონისაკენ.

საფლავზე სიტყვები წარმოსთქვეს: ფერო-მარგანეცის საცდელი ღუმელის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკოსების, განსვენებულის მოწაფე-სტუდენტების და საქ. ალპინისტების წარმომადგენლებმა.

მიუხედავად ცუდი ამინდისა, განსვენებულს დიდძალი ხალხი დაესწრო.

სამძიმრის დეპეშები

პროფ. გიორგი ნიკოლაძის გარდაცვალების გამო რედაქციამ მიიღო სამძიმრის დეპეშები შემდეგ დაწესებულება-ორგანიზაციებიდან:

ბაქოდან—ამიერ-კავკასიის შენამშენობის ინსტიტუტის სტუდენტებისაგან, ბაქოს ნავთის ინსტიტუტის უკანასკნელი კურსის სტუდენტთა ერთი ჯგუფისაგან.

ზესტაფონიდან — ფერო-მარგანეცის ქარ-
მაც ამასთანავე გადასდვეს 500 მანეთი
პროფ. გ. ნიკოლაძის სახელობის სამეცნიე-
ხნის მუშა - მოსამსახურეებისაგან, რომლებ-
რო ფონდის გასაძლიერებლად.

ზუგდიდიდან—ზუგდიდის ჩაის საცდელი სადგურის დირექციისაგან.

ბათომიდან—ინჟინერ მარო ტყავაძისაგან, ინჟ. მიშა გაგოშიძისაგან და ინჟ. დათიკო მელაძისაგან.

ქუთაისიდან—რიონჰესში მომუშავე ინჟინრებისაგან: შენგელი, გუდაძე, ძანგია, მარაძე, როგოვაძე, ჩუბინიძე, ქუმაშვილი, გვანცელაძე, და პრაქტიკანტი სტუდენტები: მახარაძე და ამაღლობელი.

ჭიათურიდან—ინჟ. აპოლონ ჩარკვიანისაგან.

ბინის ქირა თავის დროზე უნდა იქნას გადახდილი

ა.-კ. ცაკმა გამოიტანა დადგენილება საბინაო ქირის თავის დროზე შეტანის შესახებ. დადგენილება ითვალისწინებს საჯარიმო დარიცხვას მდგმურთა მიერ ბინის ქირის თავის დროზე გადაუხდელობის გამო. საურავი დარიცხება 0,1 პროცენტის რაოდენობით დღეში პირველი თვის განმავლობაში და 0.2 პროც. შემდგომ თვეებში. საურავის საერთო რაოდენობა არ შეიძლება აღემატებოდეს ძირითად დავალიანების 50 პროც. თუ მშრომელი კატეგორიის პირები არ შეიტანენ ბინის ქირას 15 დღის განმავლობაში იმ ვადის გასვლის შემდეგ, რომელიც დაწესებულია გადახდისათვის, ბინის ქირა მათ გადახდებათ იძულებითი წესით სანოტარო კანტორების საშუალებით. არამშრომელი ელემენტი, რომელიც ბინის ქირას ვადაზე არ გადაიხდის, 15 დღის გასვლის შემდეგ შეიძლება გამოსახლებულ იქნას ბინიდან იძულებითი წესით. შეიძლება ბინიდან გამოსახლებულ იქნას მშრომელი ელემენტიც, რომელიც ბოროტი განზრახვით არ იხდის ქირას, ამასთან მას შეიძლება მიეცეს ვადა არა უმეტეს 15 დღისა გამოსახლების შესახებ ბრძანების გაცემის მომენტიდან (ადს).

მუშკოოპის აპარატის წმენდა

მასების აქტიური მონაწილეობით მიმდინარეობს

ლენრაიონი

2 თებერვალს, მელითონეთა კლუბში დაიწყო ლენრაიონში შემავალ მუშკოოპის წერტების აპარატის წმენდა. წმენდის [illegible] მუშათა ფართო მონაწილეობის მნიშვნელობის შესახებ მოხსენება გააკეთა გამწმენდ კომისიის თავმჯდომარემ ამხ. **მაისურაძემ.**

მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში გამოსული მუშები ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ მუშკოოპის აპარატში ბლომად არიან მოკალათებულნი ყოფ. ვაჭრები, ბიუროკრატები და სხვა ჯურის ანტისაბჭოთა ელემენტები.

კამათის დამთავრების შემდეგ დაიწყო პერსონალური წმენდა, რამაც მთლიანად დაადასტურა მუშების მიერ ზემოდ ნათქვამი დეფექტები. წმენდა იწყება მე-32 მაღაზიიდან. პირველად გამოუძახეს **ალექსანდრე კორძაიას.** კორძაია გაურბის საზოგადოებრივ მუშაობას, ვინაიდან მისივე განცხადებით, „მას დრო არა აქვს". მომხმარებლებს უხეშად ეპყრობა, სისტემატიურად ლოთობს. შემჩნეულია სურსათის გადამალვას და ნაცნობებზე გაცემაში.

იოსებ ხმალაძე—მე-14 მაღაზიაში მიღებულია პროტექციით. ისიც გაურბის საზოგადოებრივ მუშაობას, სდევნის დაწინაურებულ მუშებს. „შენ მეეზოვე ხარ და ხელში ცოცხი უნდა გეჭიროსო"—ასე მიმართა მან თავიანთ მაღაზიაში ერთ-ერთ დაწინაურებულ მეეზოვეს და ცემაც მოუნდომა.

ამავე მაღაზიაში გამგის თანამდებობას ასრულებს მოქ. **აქსენტი მეგრელიძე.** იგი ძველი ვაჭარია. 1919 წელს ჰქონდა საკუთარი სავაჭრო, გაურბის საზოგადოებრივ მუშაობას, ვერ ითმენს მუშათა ბრიგადების მიერ წარმოებულ მუშაობას თავის მაღაზიაში, რის დამადასტურებელია შემდეგი სიტყვები მუშათა ბრიგადის მიმართ. „თქვენ საქმე ხომ არ შემოგელიათო".

ქალაქის რაიონი

ქალაქის რაიონში შემავალ წერტებიდან წმენდა გაიარეს: **გრიგოლ მიხეილიძე როსტომოვმა.** იგი მუშაობს მე-3 მაღაზიაში სექციის გამგედ. გამოცხადებული აქვს სამი საყვედური: პირველი სისტემატიური ლოთობისთვის, მეორე—მაღაზიაში სიმთვრალის გამო ძილისთვის და მესამე—საბუთების თავის დროზე სამმართველოში წარუდგენლობის გამო. როსტომოვი 1910-12 წლამდე იყო როსტოვში მიკირტუმოვის და [illegible] ფირმის მმართველად, რის შესახებაც თვითონ აცხადებს „იქ მე ხაზეინი ვიყავი"-ო 1912 წელს ბრუნდება თბილისში და იწყებს ვინმე როსტომოვის მანუფაქტურულ მაღაზიაში მუშაობას. ძვლავ მმართველის თანამდებობაზე 1920-21 წლამდე. შემდეგ აქედან გადადის მანთაშევის მაღაზიაში პასუხისმგებელ ნოქრად. როსტომოვს აგრეთვე ბრალი ედება ნაცნობებზე დეფიციტიან საქონლის გაცემაში, იგი მომხმარებლებს არ აძლევს საჩივარის წიგნაკს და სხვ.

მე-13 მაღაზიაში გამგის თანამდებობას ასრულებს მოქ. **კონსტანტინე ბიძინას ძე ბიძინაშვილი,** რომელსაც უყვარს დეფიციტიან საქონლის გადამალვა. ბიძინაშვილს მიღებული ჰქონდა მაკარონის დიდი პარტია, რომელიც თავის დროზე არ განაწილა. მუშკოოპის გამგეობას თავის დროზე არ გადასცა აგრეთვე განთავისუფლებული ტარა, რითაც შეაფერხა კარტოფილის გამოზიდვა. ბიძინაშვილი არც ხელოვნურ რიგების შექმნას გაურბის, იყო შემთხვევა, როდესაც მაღაზიამ მიიღო კამფეტი, მომხმარებლები დადგნენ რიგში და მან კი განკარგულება გასცა, რათა „კამფეტი სალამოთი გაცემულიყო" რის გამოც მომხმარებლები საღამომდი იდგნენ რიგში. მომხმარებლებისადმი უხეშად მოპყრობის გამო, რამდენჯერმე იყო გაწერილი გაზეთში. არ ესწრება სადეჟურო კომისიების სხდომებს და თუ დაესწრო მაშინაც კომისიის მუშაობაში არევ-დარევა შეაქვს. ბიძინაშვილს ახასიათებენ როგორც უხეშს და ბიუროკრატს, გამწმენდ კომისიის შეკითხვებზე ირონიულად უპასუხებს.

ვარლამ მღვდელიძეს მიცემული აქვს შენიშვნა კვერცხის ზედმეტ ფასებში გაყიდვისათვის, იგი არ ემორჩილება შინაგან განაწესს, 1929 წელში მიცემული იყო პასუხისგებაში 800 მან. დანაკლისის გამო, შემჩნეულია სურსათის არა სწორად განაწილებაში.

იაკობ ბელენკოს ზედნადების და ოქმების თავის დროზე წარმოუდგენლობისათვის გამოცხადებული აქვს საყვედური, მიცემული იყო პასუხისგებაში საქონლის ზედმეტ ფასებში გაყიდვისათვის, მიუხედავად იმისა, რომ მათ გადამალეს 150 მან. მაინც ზედმეტი აღმოაჩნდათ (საქონლის ზედმეტ ფასებში გაყიდვის გამო) 575 მან.

მეთერთმეტე მაღაზიის გამგეთ ითვლება კულაკის შვილი მოქ. **დავით მაჩხაიშვილი,** იგი მთელ სამუშაო საათებს სეირნობას ანდომებს. სისტემატიურად ლოთობს, გულგრილობისათვის, მაღაზიაში უსუფთაობის და სხვა დაუდევრობისათვის ოთხჯერ აქვს გამოცხადებული საყვედური.

წმენდის შემდეგი კანდიდატია მე-12 მაღაზიის გამგის მოადგილე მოქ. **აკაკი მახარაძე.** მას ძალზე ეხერხება ფერისცვალება. მახარაძეს შეუძლია ერთად შეათვისოს ვაჭრობა და საბჭოთა სამსახური. ბრალად ედება 1920 წელში კომუნისტების დევნა. იგი 1927 წლამდე ითვლებოდა საბჭოთა მოსამსახურეთ, მაგრამ ჩქარა ანებებს თავს და იწყებს ვაჭრობას. 28 წელს ყოფილა მიცემული პასუხისგებაში სამსახურისადმი გულგრილობისა და საქმის არევ დარევისათვის.

მე-11 მაღაზიის მოლარეს მოქ. **ევგენი ვართანოვს** ინტრიგანობისათვის და სალაროდან თავის საჭიროებისათვის ფულის გამოტანისათვის ორჯელ აქვს გამოცხადებული საყვედური.

ამით დამთავრდა გამწმენდ კომისიის მე-8 სხდომა.

რესპუბლიკანური მეთოდიური კონფერენცია

პროფტექნიკური განათლების საკითხებზე

გუშინ დაამთავრა მუშაობა 1-ლმა რესპუბლიკანურმა კონფერენციამ, რომელიც მოწვეული იყო პროფტექნიკურ განათლებასთან დაკავშირებული სხვადასხვა მეთოდიური საკითხების მოსაგვარებლად.

კონფერენციამ გაარჩია და შეისწავლა სამი ძირითადი საკითხი: პირველი—უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების სასწავლო გეგმათა დამუშავების ძირითადი პრინციპები, მეორე—უმაღლეს და საშუალო პროფტექნიკურ სასწავლებლებში სასწავლო მუშაობის მეთოდები და მესამე — განუწყვეტელი საწარმოო პრაქტიკის შემოღება.

უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების სასწავლო გეგმათა დამუშავების ძირითადი პრინციპების შესახებ კონფერენციამ მოისმინა განათლების სახალხო კომისარიატის სასწავლო მეთოდიური სექტორის გამგის ამხ. ბ. აფხაძის მოხსენება. მოხსენებაში აღნიშნული იყო, რომ სოციალისტური მშენებლობის განვითარებასთან ერთად საჭიროა ახალი კადრების მომზადება, ხოლო კადრების მომზადების საქმე ისე უნდა იქნეს დაყენებული, რომ მივიღოთ არა მარტო ხარისხით საკმაო რაოდენობის, არამედ საუკეთესო ხარისხის სპეციალისტთა კადრები. ახალი სპეციალისტის ხარისხობრიობა მთლიანად იმაზეა დამოკიდებული, თუ რა ან როგორ ასწავლეს მას. ამიტომ სწავლის მეთოდების შემუშავების საქმეს გადამწყვეტი მნიშვნელობა ეძლევა.

სასწავლებლების რეორგანიზაცია მოხდა ისახავდა უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების დარგობრივ პრინციპზე დაყოფას. სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგები უნდა ყოფილიყვნენ უზრუნველყოფილი შესაფერი სასწავლებლებით. აქედან უკვე აშკარაა, რომ სასწავლო გეგმებისა და პროგრამების შედგენაც უნდა ხდებოდეს დარგობრივ პრინციპის მიხედვით.

მომხსენებელმა ამასთანავე განმარტა, რომ განათლების სახალხო კომისარიატმა თავის დროზე ვერ გაუწია შესაფერი ხელმძღვანელობა ადგილებს სასწავლო გეგმების შემუშავებაში, რის გამოც ძველი უნივერსალიზმი მაინც დამახასიათებელ თვისებად დარჩა ჩვენს სასწავლებლებს. მიუხედავად მათი რეორგანიზაციისა.

შემდეგ მომხსენებელმა დაწვრილებით განმარტა ის პრინციპები, რომელთა თანახმადაც უნდა იქნას დამუშავებული სასწავლო გეგმები და პროგრამები.

უმაღლესი და საშუალო პროფტექნიკურ სკოლებში სასწავლო მუშაობის მეთოდების შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. გ. გოგუაძე, ხოლო ამავე საკითხზე თანამოხსენებები გააკეთეს საქ. ს.მ.უ. საბჭოს კადრების განყოფილების, პედაგოგიური ინსტიტუტის და ქუთაისის ინდუსტრიალური ტექნიკუმის წარმომადგენლებმა.

წინად ჩვენს სკოლას ახასიათებდა ერთგვარი სქოლასტიურობა, რომელიც სწავლების პასიურ მეთოდში გამოიხატებოდა, რეორგანიზაციის ჩატარებამდე ჩვენ სკოლას არ შეეძლო მიეცა სახელმწიფოსთვის აქტიური მშენებელი და მოღვაწე სპეციალისტი. სკოლა იძლეოდა უფრო მოხელეს, ვიდრე აქტიურ მშენებელს.

ახალი სპეციალისტისაგან სოციალისტური მშენებლობა მოითხოვს მეტ აქტიობას. ამიტომ სასწავლო მუშაობის მეთოდათ უნდა მივიღოთ ლაბორატორიულ-სემინარული მეთოდი. აღნიშნული მოხსენების ირგვლივ გაიმართა კამათი.

დასასრულ კონფერენციამ მოისმინა ამხ. გძატრის მოხსენება განუწყვეტელი საწარმოო პრაქტიკის შესახებ. ამავე საკითხზე თანამოხსენებებით გამოვიდნენ მიწსახკომის კადრების განყოფილების და საქ. სამეურნეო ინსტიტუტის წარმომადგენლები.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

— საქ. კ. პ. (ბ) ცეკას კულტპროპი პარასკევს, 13 თებერვალს ამხ. გურჯიშვილთან (ოთახი № 21) თათბირზე იწვევს შემდეგ ამხანაგებს: ბუხნიკაშვილი, ტოროშელიძე (კოლმეურნეობის ცენტრი), მანჯგალაძე (საქ. აბრეშუმი), კუხალეიშვილი (საბჭ. მეურნ. ტრესტი) და ცაგარეიშვილი (ა.-კ. კომუნივერსიტეტი).

—:—

საქ. კ. პ. (ბ) ცეკას კულტპროპი იუწყება, რომ ლენინ. სამეცნიერო-პედაგოგიურ ინსტიტუტში არის ადგილები ასპირანტებისათვის. მსურველები უნდა გამოცხადდენ საქ. კ. პ. (ბ) ცეკას კულტპროპში 10 თებერვალს.

—:—

— საქ. კ. პ. (ბ) კადრების განყოფილება სთხოვს ამხ. მელიმონაძეს (მეტყევეობის კავშირი), ნესტორ თავდუმაძეს (ამიერ-კავკასიის ტყის და ქაღალდის ტრესტი), მირიანაშვილს (მეძეობა-მესაქონლეობის კავშირი), ხუხუას (კოლმეურნეობათა ცენტრი), კოსტ. ხაჭყებიას (სარეწაო კავშირი), ოტია კომახიძეს (საქ. მიწსახკომი), გაბისონიას (სახ. ბანკი), დოიაშვილს (საქ. თავდაცვა-ავიაქიმი), გრიგოლ თოფურიას, ირაკლი კუთასკერიანს და შალვა ჯიბლაძეს, გამოცხადდნენ დღეს, 10 თებერვალს, დილის 11 საათზე კადრების განყოფილებაში (ოთახი № 54).

—:—

— საქ. კ. პ. (ბ) 26 კომუნარების რაიკომის ბინაზე (კახეთის მოედანი № 1) **ხვალ, 11 თებერვალს, საღამოს 6 საათზე რაიკომის აგიტაციისა და მასიური მუშაობის სექტორი იწვევს 26 კომუნართა რაიონში არსებულ სკოლების გამგეების თათბირს.** დღის წესრიგი: ცენტრალური კომისიის საინფორმაციო მოხსენება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის ათი წლის თავის ჩატარების შესახებ. დასწრება სავალდებულოა.

—:—

— საქ. კ. პ. (ბ) 26 კომუნართა სახ. რაიკომის აგიტაციისა და მასიური მუშაობის სექტორი რაიკომის ბინაზე 12 თებერვალს, დილის ათ საათზე იწვევს რაიონში არსებულ საბინაო ამხანაგობების თავმჯდომარეების, კლუბების და წითელი კუთხეების გამგეების თათბირს, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების 10 წლისთავის არსებობის ჩასატარებელი ზეიმის საკითხის გარჩევისათვის.

—:—

— **განათლების მუშაკთა სახლში** (კალოუბნის ქ. № 3) დღეს, საღ. 6 ს. შესდგება ქალაქის რაიონის კომუნისტ პედაგოგების და სკოლების გამგეების თათბირი კომკავშირის სასკოლო უჯრედების მდივნებთან ერთად. დასწრება სავალდებულოა.

—:—

— **დღეს, საღამოს 7 საათზე** შესდგება **საქ. სასოფ. საინჟინერო ინსტიტუტის ორივე** ფაკულტეტის კომუჯრედების გაერთიანებული კრება კომკავშირთან ერთად.

—:—

— **ამიერკავკასიის სატყეო ინსტიტუტში** დღეს, საღამოს 6 საათზე მოხსენებას გააკეთებს ლენინგრადის სატყეო აკადემიის პროფესორი შაპირო ხე-ტყის დამუშავების ახალი მეთოდის შესახებ.

— **საქ. კ. პ. (ბ) ცეკას აგიტაციისა და მასიური მუშაობის განყოფილებაში** (ოთახი № 48) დღეს, შუადღის 12 საათზე უნდა გამოცხადდენ შემდეგი ამხანაგები: აკაკი ქანთარია, კონსტანტინე კაჭკაჭავი (აღძასკომი), სიმონ გალოვი (აღმასკომი), მეავახაძე (ჯანსახკომი), შავიშვილი („საქ. აბრეშუმი"), ალ. სტურუა (მუშკოოპი), ნაჭყებია (შინამრეწვ.), ბოკერია („წერა-კითხვა"), მეძმარიაშვილი (სოც. უზრ. კომ.), თეხეიშვილი (კომუნ. ბანკი), თოფურია (გამსწ. სახლი), ჭურღულია (სარეწაო კავშირი), ხოფერია (სახ. ოპერა), გიორგი ლაფანაშვილი და ბართაია.

—:—

— **საქ. ცენტრ. საკონტროლო კომისია დღეს, 10 თებერვალს, საღამოს 6 საათზე ამხ. საკიანთან (ოთახი № 18) იწვევს თათბირს.** დღის წესრიგი: 1) მუშგლეხკორთა ორგანიზაციებთან ცენტრ. საკონტროლო კომისია მუშგლეხების კავშირისა და ამოცანების შესახებ; 2) ცნობები ადგილებიდან მუშკორთა შენიშვნების სინამდვილის შესახებ. **თათბირზე მოწვეულნი არიან რედაქციებიდან:** „კომუნისტი"—იტრიევი, „რაბოჩაია პრავდა"—გალკინი, ივასოვი, „მუშა"—ფილია, „პროლეტარი"—ვარდანიანი, ზალიანი, „ენიკენდ"-ი—ალკარი, „პროლეტარული სტუდენტობა"-დან—რედაქტორი, „სოც. შეჯიბრება"-დან—რედაქტორი. **საქარხნო-საფაბრიკო გაზეთებიდან:** „ჩვენი საყვირი"—ბედოლიშვილი, „წითელი დეპოელი"—ნუცუბიძე, „რეგულატორი"—ბურცოვი, „ბიუგელი"—დორსაძე, „მუშა-მეტყავე"—ეგიკოვი, აკოპოვი, „წითელი მეთამბაქოე"—რუსაძე, „მტვირთავი"—კალანდაძე; „ძოლოტ"— (26-ის) გორდეზიანი, „წითელი ფეიქარი"—ბაიარზინიანი და ხოფერია, „წითელი მკერავი"—არუთინოვი, სარეწაო კავშირი—პარტკოლექტივის მდივანი. **კედლის გაზეთების** სარედაქციო კოლეგიების თავმჯდომარეები: მექანიკური ქარხნის, საპონზეთის, კალინინის სახ. ქარხნის, სუხიშვილის სახ. ქარხნის, ავეჯეულობის ფაბრიკის, მკერავი № 2, სტალინის სახ. საავტომობილო სახელოსნოების, პირველი და მეხუთე სტამბის, აგურის ქარხნის მშენებლობის.

მოწვეულნი არიან აგრეთვე კიკაძე—„კომუნისტი", გრიგორიანი—„რაბოჩაია პრავდა". არტიკიანი—„პროლეტარი", ბედოლიშვილი, ტიტიკოვი, სტრაჟიალიანი, მინასოვი; პანჩენკო და კაურმინი (სტალინის სახელობის შემკეთებელი ქარხანა), დაცკო (დეპო), ანანოვი (შემკ. ქარხანა), ბირუჩევსკი (ტრამვაი), კოხაურიძე და მენაბდე (სად. ნავთლუღი), ტატულოვი (საუბნო კომიტეტი), ვართანოვა (თამბაქოს პირველი ფაბრიკა), ბახტაძე (ლენრაიკომი), მაილიანი (26-ის რაიკომი), ვართანოვი (ქალაქის რაიონი) და საქ. პროფსაბჭოს კულტურისა და პროპაგანდის განყოფილების გამგე.

—:—

— **საბჭოთა აღმშენებლობის და სამართლის ინსტიტუტში** დღეს 3 საათზე შესდგება პედაგოგიურ, ტექნიკურ და ადმინისტრაციულ პერსონალის საერთო კრება. დასწრება სავალდებულოა.

—:—

— **საქ. პედ. ინსტიტუტის ქიმიის აუდიტორიაში** დღეს საღამოს 7 საათზე შესდგება პედაგოგიურ და ადმ.-ტექნიკური პერსონალის გაერთიანებული კრება.

სახელმწ. ოპერა

დღეს, 10 თებერვალს
აბონემენტის გარეშე ს. ი. მიგაის მონაწილეობით
დემონი

ოთხშაბათს, 11 თებერვალს,
მე-9 აბონ. მე-10 წარმოდ.
შოთა რუსთაველი

ხუთშაბათს, 12 თებერვალს
მე-3 აბონ. მე 10 წარ.
ს. ი. მიგაის მონაწ.
ევგენი ონეგინი

პარასკევს, 13 თებერვალს, ფატმა მუხტაროვას პირველი გამოსვლა
კარმენი

საქართველოს სახკინმრეწვის კინო-თეატრები

აპოლო
I სეანსი იწყება 6 ს., II—7-30,
III—9, IV—10-30.

სპარტაკი საღამოს სეანსები
I სეანსი იწყება 6 ს., II—7-30.
III—9, IV—10-30.

სპარტაკი დღის სეანსები
I 12 ს., II 1—30 ს., III 3 ს.

საზამთრო დარბაზი
I სეან. იწყება 6 ს. II—7-30,
III—9, IV—10-30.

უკანასკნელი დღეები **კვალ-და-კვალ** ძაღლის რინ-ტინ-ტინის მონაწილ.
პირველი დამატებითი სეანსის დასაწყისი 4 ს. 30 წუთზე

„სოიუზკინო"-ს ახალი მხატვრული ფილმი
ბედნიერი კენჯი
კლონდაიდას გმირი რეჟისორი ვლ. შმიდგოფი

მხატვრული ხურათი
ზარე
მარიამ ტენაზის მონაწილეობით

კინო პალასი
1-ლი სეანსის დასაწ. 6—30

ახალი მხატვრული ფილმი
ქალაქები და წლები
მთავარ როლში ბერნჰარდ გეტცკე

რ. ლიუქს
სახ. კინო
(ყ. ...)
1-ლი სეანსის დას. 6 ს. 30 წ.

ახალი ფილმი
პირის პირ
მთავარ როლებში: პ. ვოლოდკო, მ. დობროვსკი, გ. შლინტინგი და სხვ.

ლი-იუნ-შენი
ვალენტინა ტინ
შამან კაიხენ
ია-ში-იან

მალე

კლოუსვლეთ კინოს ნაწარმოები

მალე **იმედები**

სახ. ცირკი

დღეს და ყოველდღე ახალი საატრაქციონო პროგრამა
ცნობილ მუსიკალურ სატირიკოსების **ბიმ-ბომის** (ნამდვილი) გასტროლები
ცირკის გუმბათ ქვეშ მფრინავი 4 ჯიოვახის გასტროლი. გრძელდება გასტროლი პირველი საბჭოთა ატრაქციონის ედერ-ბერეტის. ეიფელის კოშკი და ბევრი სხვა ატრაქციონი. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ნ. 312

ქვემოდ დასახელებული აგრონომები,

რომლებმაც დაამთავრეს საქართველოს სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტი და სამუშაოდ გზავნენ ა.-კ. სატრაქტორო ცენტრში. წინადადება ეძლევათ ორი დღის განმავლობაში გამოცხადდნენ ამიერ კავკასიის სატრაქტორო ცენტრის კადრების განყოფილებაში (ალმასკომის ქ. № 9), მათი სამუშაოზე გასაგზავნათ:

ბ. მ. ამირხანიანი
ა. ბ. სახაია
ა. ზ. ოსიპოვი
ლ. ს. შავერდოვა
ნ. გ. ამი..ალოვა
ა. ლ. ზაქარიაშვილი
გ. ს. ოცხელი
შ. ვ. ყიფიანი
ი. ს. წივწივაძე
ი. ზ. ჯანდიერი
მ. წიკლაური
პ. მ. არჩანაშვილი
შ. ბ. ყიფიანი
ა. ჯავახიშვილი

ა. ბ. ცინცაძე
შ. ი. კუხიანიძე
ი. პ. ოევიშვილი
ძ. რ. ტოლოკვაძე
ტ. ი. კილურაძე
ო. ვ, ლევესტამ
მ. ს. ბაქრაძე
ი. გ. გაჩეჩილაძე
შ. მ. გოგიტაშვილი
დ. ე. ქოოდანია
ა. ი. ვარსიმაშვილი
ი. ი. კაინეს
მ. ი. კახიძე
ლომჯანიძე
ს. მელიქჯანოვი

ი. მიხალსკი
ვ. ი. მირზოევი.
რ. ტ. მელიქ-ახნაზაროვი
რ. ლ. მიქავტაძე
მ. ი. მიჭინაშვილი
ა. ბ. რუხაძე
ა. ბ. საამოვი
ს. ა. ზარაფიანი
...ნიკოგოსოვი
ფარსადანოვი
ი. ფალავანდიშვილი
...ავთარაძე
...ი. კობაშვილი
ი. ი. ყუბანეიშვილი
ი. კ. ცერცვაძე

ის ამხანაგები, რომლებიც აღნიშნული დროისთვის არ გამოცხადდებიან, მიცემულნი იქნებიან პასუხისგებაში კანონის მიხედვით.

ნ. 315 ა.-კ. მიწადმოქმედების კომისარიატის კადრების განყოფილება.

მუშკოოპის ყველა მეპაიეებს, თანამშრომლებს და კოოპერატიულ აქტივს

მუშკოოპის სავაჭრო წერტების (ლენრაიონში) გამწმენდი კომისია განაგრძობს ქვემოდდასახელებულ წერტების თანამშრომელთა

საჯარო წმენდას

1. მელითონეთა კლუბში (პლეხანოვის პროსპ. № 125) ა. წ. 14, 15 და 27 თებერვალს წმენდას გაივლიან წერტების №№ 2, 4, 10, 14, 32, პურის დუქნის 129, 477, 622 და ცენტრალური მაღაზიის თანამშრომლები.

2. ტრამვაელთა კლუბში ა. წ. 18 და 20 თებერვალს წმენდას გაივლიან წერტების №№ 16, 17, 60, 83, 450, 495, 547 და 660-ის თანამშრომლები.

3. პლეხანოვის სახელობის კლუბში (ნაძალადევი) ა. წ. 10, 12, 22 და 24 თებერვალს წმენდას გაივლიან წერტების №№ 15, 18, 115, 814, 462, 517, 587, 601, 604 და 630-ის თანამშრომლები.

ვთხოვთ ვისაც აქვს მასალები აღნიშნულ წერტების თანამშრომელთა შესახებ, დაესწრონ წმენდას, წარმოუდგინონ მასალები კომისიის თავმჯდომარეს ამხ. მაისურაძეს (საქართველოს პროკურატურა—სასამართლოს 32), ანდა გამწმენდ კომისიას მისამართით: მუშკოოპის გამგეობა, ქორესის ქ. 7, მეორე სართული, ოთახი 11.

კომისია.
ნ. 322

საქ. „ღვინოზილკავშირი"-ს გამგეობა

ამით აცხადებს, რომ რაიონებში მუდმივ სამუშაოებზე გასაგზავნად მას ესაჭიროება ეკონომისტები, ბუღალტერები და მოანგარიშეები.

პირობების გაგება შეიძლება კადრების განყ-გამგესთან ამხ. ლექავასთან

ელბაქიძის დაღმართი № 12. 3—2 ნ. 311

ტფ. საბჭოს კომუნალური მეურნეობა

ამით აცნობებს ყველა წარმოება-დაწესებულებას, ორგანიზაციას და იმ პირებს, რომლებიც სარგებლობენ ზაჰესის ელექტროენერგიით და აგრეთვე მათ,

ვისაც დასჭირდება ელექტროენერგია მიმდინარე ან მომავალ წელში,

რომ ქ. ტფილისის მრეწველობის დაჩქარებული ტემპით განვითარებასთან დაკავშირებით, რაც იწვევს ზაჰესის დატვირთვის ჩქარ ზრდას და აგრეთვე იმისათვის, რომ მაქსიმალურად იქნეს დაკმაყოფილებული მრეწველობის მოთხოვნილება ელექტროენერგიის დარგში, სწარმოებდეს ელექტროენერგიის რეგულიარული მიწოდება ქ. ტფილისის დანარჩენ წარმოება დაწესებულებებისა მოსახლეობისათვის და იმ მიზნით, რომ მომჭირნეობით იხარჯებოდეს ჩვენს განკარგულებაში არსებულ ზაჰესის ელექტროენერგია, ამიტომ იმ ხნის განმავლობაში, სანამ ამუშავდებოდეს რიონჰესი და აშენდებოდეს ზაჰესის მეორე რიგი, შემოღებული იქნება დროებით ქვემოდ მოყვანილი ღონისძიებები:

1. ყველა წარმოება დაწესებულება, ორგანიზაცია და ის პირები, რომლებიც სარგებლობენ ელექტრონის ღუმელებით გათბობის, ტეხნიკური თუ სხვა მიზნებისათვის, ვალდებული არიან აღრიცხონ ისინი ტელასში (თავისუფლების მოედ. ყ. ქარავანსარაი) შემდეგ ვადებში:

ტელასის აბონენტები	1	2	3	4	ჯგუფი	— 10	თებერვალს.
„ „	5	6	7	8	„	— 11	„
„ „	9	10	11	12	„	— 12	„
„ „	13	14	15	16	„	— 13	„
„ „	17	18	19	20	„	— 14	„
„ „	21	22	23	24	„	— 15	„
„ „	25	26	27		„	— 16	„
					ყველა დანარჩენები	— 17	„

შენიშვნა: ჯგუფი, რომელსაც ეკუთვნის აბონენტი, განისაზღვრება იმ ორმაგი ნომრის მარცხენა ციფრებით, რომელიც აღნიშნულია მის სააბონენტო ბარათზე (ციფრები, რომლებიც დასმულია ხაზის წინ).

რეგისტრაცია იწარმოებს 14—20 საათამდი (ნაშუადღევის 2 საათიდან საღამოს 8 ს.-მდი).

რეგისტრაციის შესახებ წარდგენილ განცხადებებში აღნიშნული უნდა იქნეს: სააბონენტო ბარათის ნომერი, სახელი და გვარი, მისამართი, ელექტრო ღუმელებისა და სხვა ელექტროთბობი ხელსაწყოების რაოდენობა და სიმძლავრე.

რეგისტრაციაში არ გატარდება: ელექტრო უთოები, ქვაბები, ჩაიდნები და პატარა პლიტები, რომლებსაც აქვთ 350 ვატზე ნაკლები სიმძლავრე.

2. იმ აბონენტებს, რომლებმაც მიიღეს ტელასიდან ნებართვა ელექტრო ღუმელებით სარგებლობის შესახებ, შეუძლიათ ისარგებლონ ასეთით მხოლოდ იმ საათებში, რომელიც ნაჩვენებია ნებართვაში, შემდეგში კი მხოლოდ იმ საათებში, რომელიც დაწესებული იქნება ტელასის მიერ და გამოქვეყნებული პრესაში.

3. იმ აბონენტებს, რომლებსაც აქვთ ელექტრო ძრავები, ტრანსფორმატორები და სხვა ძალოვანი ელექტრო დადგმულობანი, კატეგორიულად ეკრძალებათ გაადიდონ ის სიმძლავრე რომელსაც ისინი აწუმად ფაქტიურად იღებენ, ტელასის წინასწარი ნებართვის გარეშე.

4. წარმოება დაწესებულებებმა, ორგანიზაციებმა, და იმ პირებმა, რომლებიც ფიქრობენ 1931 და 1932 წელში მოაწყონ თავისთვის ახალი ან გააფართოონ ძველი ძალოვანი ან მაშუქი ელექტრო დადგმულობანი, რომელსაც ექნება ნახევარი კილოვატზე მეტი სიმძლავრე (500 ვატი) უნდა წარმოადგინონ არა უგვიანეს 1-ლი მარტისა ტელასის ტეხნიკურ განყოფილებაში (ალმასკომის ყ. სოლოლაკის № 7) დღის 2—4 საათამდი სათანადო წერილობითი განცხადებები. თუ განცხადება თავის დროზე არ იქნება წარმოდგენილი, მაშინ ტელასი იხსნის თავიდან ყოველგვარ პასუხისმგებლობას ამ დადგენილებათა ელექტრო ენერგიით დაუკმაყოფილებლობისათვის.

5. ყველა იმ წარმოება დაწესებულებებმა, რომლებიც სარგებლობენ ზაჰესის ენერგიით და აქვთ საკუთარი სათადარიგო თბო ელექტრო სადგურები ევალებათ არა უგვიანეს 15 თებერვლისა წარმოადგინონ ტელასის ტეხნიკურ განყოფილებაში ცნობები ამ დადგმულობათა სიმძლავრისა და მდგომარეობის შესახებ. სასწრაფო წესით უნდა ამუშავდეს ასეთები და მიღებულ იქნეს ზომები სათბობი მასალის, საზეთავი და სხვა მასალების საკმაო მარაგის ძისაღებათ. ამის გარდა თადარიგში უნდა იყოლიოთ სადგურის მომსახურებისათვის აუცილებელი პერსონალი.

6. ყველა დაწესებულებამ, ორგანიზაციამ, სამრეწველო და სავაჭრო საწარმოებმა, კანტორებმა, კინემატოგრაფებმა, თეატრებმა კლუბებმა და სხვებმა უნდა მიიღონ ყოველგვარი ზომები ელექტრო ენერგიის მომჭირნეობით ხარჯვისათვის, კერძოთ განათების საქმეშიაც შემცირებულ უნდა იქნეს ყველგან, სადაც ეს შესაძლებელია, ელნათურების სანთლიანობა და ენერგიის ხარჯვა განათებაზე არა ნაკლებ 30 პროცენტისა.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სარეკლამო და სავიტრინო გაშუქების მინიმუმადე დაყვანას.

ამ მუხლში მოყვანილი ღონისძიების შესრულების კონტროლის გაწევა ევალება საკონტროლო აპარატს და ტელასის მუშათა ბრიგადებს და აგრეთვე ენერგო უჯრედებს, რომლებიც დაარსებული უნდა იქნეს ყველა წარმოება დაწესებულებასთან და სხვ. თანახმად საკავშირო პროფსაბჭოს სამდივნოს 1930 წლის 6 ოქტომბრის დადგენილებისა

შენიშვნა: საქარხნო, საფაბრიკო და სხვა დადგმულობებში ელნათურების სანთლიანობის შემცირება უნდა სწარმოებდეს შრომის სახკომის ნორმებთან შეფარდებით.

7) ტელასის აბონენტების მიერ ამ დადგენილების 1—3 მუხლების შესრულების შემოწმება მოხდება ტელასის კონტროლიორებისა და მუშათა ბრიგადების მიერ, რომლებიც აღჭურვილი იქნებიან სათანადო მოწმობებით. აბონენტები ვალდებული არიან დაუბრკოლებლად დაუშვან აღნიშნული პირები მათი ელექტრო დადგმულობების შესამოწმებლად 22 საათამდი (ე. ი. ღამის 10 საათამდი).

ამ დადგენილების მუხლების დარღვევისათვის ტელასის აბონენტები დაჯარიმებული იქნებიან გადიდებული ფულადი ჯარიმით და ამ წესების განმეორებითი დარღვევის შემთხვევაში ეღკვეთებათ ელექტრო ენერგიის ხმარება იმ დროის განმავლობაში, რაც გათვალისწინებული იქნება ტელასის ადმინისტრაციის მიერ

ნ. 313 კომუნალურ მეურნეობის გამგე აბაქოვი.

ექიმი
პ. ი. ჯალალოვი
ავადმყოფების მიღება (კანისა და ვენერიული სნეულებანი) სიფილისი, შეშხაპუნება „914" ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა. ქალაქელთა მიღება: დილით 9—4 ს. საღამოს 6—9 საათ. ქალების და ბავშვების მიღება: 5—6 საათამდე. მის. საძართი: კამოს ქუჩა № 19 ყოფილი დიდი ძთავრის ქ. კარლ მარქსი მოდანის მახლობლად. ტელეფონი 1—90.
ნ. 6438 25—1

ექიმი
ს. ანდრეევისა
ქალაქის ავადმყოფების მიღება ჯირკვლების და ძვლების ტუბერკულოსი. მკურნალობა ხელოვნური მზის სხივებით (კვარტ-ტერაპია).
ავადმყოფებს ღებულობს 5—7 ს. ელბაქიძის დაღმართი (ყოფ. ვერის დაღმართი), 29 ყოფ. ვერის ხიდთან. 25—1

ექიმი
ი. ი. გერიშვილი
ვენერიული, საშარდე-სასქესო ორგანოების, სიფილისისა და კანის ავადმყოფობა. დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 საათ. ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას" (ყ. „ნოე"-ს) პირდაპირ ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. 25—1

---

15 თებერვალს, საღამოს 7 საათზე, რუსთაველის პროსპექტი № 21, სახალხო მეურნეობის საქმიან კლუბში, დაიწყება

საქ. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ცენტრალურ აპარატის

საჯარო წმენდა

გამწმენდი კომისია სთხოვს ყველა ორგანიზაციებს და მოქალაქეებს თუ აქვთ რაიმე ქაღალდი აღნიშნულ დაწესებულებების თანამშრომლებზე დაესწრონ წმენდას და ან ასეთები გადმოგზავნონ გამწმენდ კომისიის თავმჯდომარის ამხ. ვ. რუხაძის სახელზე შემდეგი მისამართით პუშკინის ქ. № 3 საქ. სმუს-ი.

გამწმენდი კომისია.

ნ. 326 3—1

ამ.-კავკასიის გეოდეზიის სამმართველო ა. წ. 1 მარტიდან ხსნის ტეხნიკოს-ტოპოგრაფთა
6 თვიან კურსებს
განცხადებები მიიღება 25 თებერვლამდე.

განცხადებას დართული უნდა ექნეს შემდეგი დოკუმენტები: 1) 9 ან 7 წლედის დამთავრება, 2) ჰასაკი (18-დან 25 წლამდე. მხოლოდ მამაკაცები), 3) სოციალური მდგომარეობა.

განცხ. დართული დოკუმენტები შემოტანილ უნდა იქნას ამიერკავკასიის გეოდეზიურ სამმართველოში მისამართით: საბა სულხანის ქ. № 2 (ყოფ. ფოლიცის).

ნ. 327

საქართველოს „ავტო-გზა"-ს

ცენტრალური საბჭო აწყობს 4 თვიან საავტომობილო
საღამოს კურსებს
იმ პროგრამის ფარგლებში, რომელიც საჭიროა მე-3 კატეგორიის შოფერის სახელწოდების მისაღებად.

მეცადინეობა დაიწყება ა/წ. თებერვლის 15-დან საღამოს საათებში.

განცხადებია მიღება და ყოველგვარი ცნობების გაცემა მიღების პირობის შესახებ სწარმოებს „ავტო-გზა"-ს ცენტრალური საბჭოს შენობაში (რუსთაველის პროსპ. 39) დღის 12—1 საათამდის ყოველ დღე, გარდა გამოსასვლელი დღეებისა.

იმ პირთ, რომლებსაც განცხადებები უკვე შემოტანილი აქვთ, ევალებათ შეავსონ აღნიშნული მისამართით ანკეტების შესავსებათ.

ნ. 314 საქ. „ავტო-გზა".

გაზეთ **„კომუნისტის"** გამომცემლობა

გრძელდება ხელისმოწერა 1931 წლ.

ყოველთვიურ ჟურნალ
„ბოლშევიკი"
ჟურნალის ფასი: ერთი თვით 25 კ., ერთი წლით — 3 მ.

ორკვირეულ ჟურნალ
„დროშაზე"
ჟურნალის ფასი: ერთი თვით 30 კ., ერთი წლ. 3 მ. 60 კ.

ხელისმოწერა მიიღება
მხოლოდ ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებებში და ბეჭდვითი სიტყვის ორგანიზატორებთან (მარხანა-ფაბრიკებში და დაწეს. უჯრედებში).

საჩივრით „კომუნისტი"-ს მიუღებლობის შესახებ მიმართეთ საგაზეთო ბიუროს

ტელეფონი № 17-55 ან 23-10.

0—4

ა. ვ. მიქაბერიძე

პარიზში 1923 წ. დაამთავრა „სილამაზის ინსტიტუტი" მასაჟი სახის, კისრის, ხელების და თმის მკურნალობა. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 ღებს დილით 10-დან 3-მდე და, საღამოს 5—8-დე. შესასვლელი ძნელაძის შესახვევიდან. 25—14

თვალის ექიმი
მალაევი
ღებულობს ავადმყოფებს საღამოს 6—7 ს. კლ. ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედის) № 47, ელსმენი

პ. ს. ფონ-ირტელი

სპეც საშარდე და სასქესო ორგანოების (სქესობრივი სისუსტე) ნერვების სისუსტე), სიფილისის, კანის ავათმყოფობის, ვენერიულის (რიპტერი) და ქირურგ. ავათმყ. (სიმსივნე, ბუასილი). ავათმყოფების მიღება დილის 9—12 და საღ 5—8 საათზე. პლეხანოვის პრ. № 10, ვორონცოვის მახლობლად.

1—8

ახლო მომავალში დაიწყება რესპუბლიკის აფთიაქების სამმართველოს და მასში შემავალ ყველა აფთიაქების და მაღაზიების (ყოფ. სახმედვაჭრობა) საბჭოთა აპარატის

საჯარო წმენდა

ვთხოვთ ყველა ორგანიზაციებს და პირებს მასალები, რომლებიც ახასიათებენ როგორც ცენტრალური აპარატის, ისე მისი ცალკე თანამშრომლების მუშაობას გადმოგზავნონ გამწმენდი კომისიის მდივნის ამხ. ა. ბუზდიაშვილის სახელზე მისამართით: კამოს ქ. № 76, რესპუბლიკის აფთიაქების სამმართველო (ყოფ. საქ. სახმედვაჭრობა).

საბჭ. აპარატის წმენდის მომამზადებელი კომისია.

ნ. 324

პირველ სამედიცინო დახმარების წრეების კურსდამთავრებულთა და სანიტართა საყურადღებოდ

საქ. წითელი ჯვრის ცენტრალური კომიტეტი

აცხადებს, რომ დამატებითი საჭირო ცოდნის შესაძენად იგი აწყობს ამჟამად

2 კვირიან

სადეზინფექციო კურსებს

ქართულ ენაზე.

მეცადინეობა იწარმოებს საღამოებით. მსურველებმა უნდა მიმართონ წითელი ჯვრის ცეკაში ა. წ. 12 თებერვლამდე დღის 10 საათიდან 3 საათამდე, კრილოვის ქ. № 15. ნ. 323

ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციის კომისია, რომელშიაც შედიან ამხ. სამოილოვი (თავმჯდომარე), არგანიშვილი (თავმჯდომარის მოადგილე), ხალილოვი, ჩიტაძე და არუთინოვი (კომისიის წევრები) შეუდგა მოსამზადებელ მუშაობას საფეიქრო ტრესტის

„ზაქტექსტილ"-ის აპარატის წმენდის ჩასატარებლად.

ვთხოვთ ყველას, ვისაც აქვს მასალები, რომლებიც ახასიათებენ ტრესტის და მისი ცალკე თანამშრომლების მუშაობას, ეს მასალები მიაწოდოს გამწმენდი კომისიის მდივანს ამხ. ჩხეიძეს მისამართით: „ზაქტექსტილ"-ის ტრესტის სამმართველო, კამოს ქ. 28.

ნ. 328

ქალაქის 1-ლ კლინიკურ ინსტიტუტში

10 თებერვლიდან

ავადმყოფთა ნახვა იწარმოებს დღეკადაში ორჯერ

3—5 საათამდე თვის შემდეგ რიცხვებში:
ქირურგიულ განყოფილებაში: 5, 10, 15, 20, 25, 30
თერაპიულ განყოფილებაში: 1, 6, 11, 16, 21, 26 1061

მედიცინის დოქტორი
გ. ა. ახვერდოვი
სიფილისის, ვენერიული და საშარდე-სასქესო სნეულებათა სპეციალისტი,
ავადმყოფების მიღება—დილის 9—12 საათამდე და საღამოს 6—9 საათამდე. პლეხანოვის პროსპ. № 7. (შესავალი კუთხიდან, ნარიყალას ქ. № 1). 25—1

ტერ-ოვაკიმოვი
სპეციალურად სიფილისის და სქესობრივი ფუნქციონალური მოშლილობას, სქესობრივი ნევრასტენიას, პსიქოტერაპია. მიღ. დილით $10^1/_2$—12 საათ., საღ. 6—8 საათამდე ა/კ. ფედერაციის ქ. (ყოფ. ველიამინოვის) № 22.
2—1 392

დ. ლ. თევზაძე
დაავადება: ყურის, ყელის და ცხვირის, მეტყველების და ხმის მოშლა. ბრონქოეზოფაგოსკოპია სპეც. ტარდება წაალობის ფიზიოთერაპევტ. მეთოდებით. ძნელაძის (ყოფ. გუდოვიჩის) ქუჩა, № 9. მიღება: საღ. 5—7 საათზე გარდა კვირადღეებისა. ტელ. 28—38
25—12 5116

ექიმი
ივ. ა. როსელი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი.
იღებს ავადმყ. დილის 8—9 ს. და საღ. 6—7-მდე. ბარნოვის (ყოფ. გუნიბის) ქ. № 44. ელსმენი 24 44.
25—1 916

ექიმი
გ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი
სქესობრ. სისუსტის მკურნალობა ავადმყოფთა მიღ. დილით 9—11 ს. საღ. 5—8 ს. კლარა ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედის) № 3.

ულრმეს მწუხარებაში მყოფნი ჭირისუფალნი: მეუღლე ერმონი, შვილი დათიკო მეუღლით თამარათი, სიძე პეტრე სოხაძე, ...ალიშვილები: ქეთუშა, ტატიანა და მარუსა, რძალი კეკელა იუწყებიან, რომ ა/წ. 8 თებერვალს გარდაიცვალა მათთვის მუდამ დაუვიწყარი

პეტრე უფლისას ძე ნიორაძე

დაკრძალვა სამშაბათს, დღეს, 10 თებერვალს 5 ს. დაბა ძირულაში.
2—2 1003

ღრმად დამწუხრებულნი ძმისწულები: ოლია ნიორაძე, ანეტა და კალიკა ნიორაძეები დედდარიანებისა, სიძეები: სიმონ და რაჟდენ დევდარიანები, შვილებით: თინა, ლეო, ქეთო და რუსიკო იუწყებიან, რომ 8 თებერვალს, გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი ბიძა

პეტრე უფლისას-ძე ნიორაძე

დაკრძალვა 10 თებერვალს, დ. ძირულაში, სოფ. ეპარაში 1005

...ეთუშა ნიორაძის ასული და პეტრე სოხაძე ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნაცნობ-მეგობართ მათი ძვირფასი და დაუვიწყარი მამის

პეტრე უფლისას-ძე ნიორაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 10 თებერვალს, 5 საათზე, დაბა ძირულაში. 1005

...სახლვრო მწუხარებაში მყოფნი: და თამარა ქმრით პარმენ წულუკიძე, ნადია და დათიკო მეტრეველები იუწყებიან მათთვის საყვარელი დის

მარო მეტრეველი-ჯაფარიძის

და სიძის

კაკო ჯაფარიძის

უდროოთ დაკარგვას. 1060

უახლოესი მეგობრები: სიმონ ივანეს ძე, სიმონ მიხეილის-ძე, დავით ბენიამინის-ძე ჯაფარიძეები, ბიძინა მეტრეველი, ბიძინა მიხდელი, ბოჭა გამყრელიძე და დავით წერეთელი აუწყებენ ნაცნობ მეგობრებს, რომ ტრაგიკულად გარდაიცვალა მათთვის საყვარელი ამხანაგი ქ. ონის პედ-ტეხნიკუმის გამგე

კაკო კონსტანტინეს-ძე ჯაფარიძე

დაკრძალვა ქ. ონში. 1044

ონის განათლების მუშაკთა კავშირი ღრმა მწუხარებით აუწყებს ნაცნობებს ამავე კავშირის წევრის

აკაკი (კაკო) კონსტანტინეს-ძე ჯაფარიძის

ტრაგიკულად გარდაცვალებას. ნ. 318

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ნინუცა, ძმა ემანუელი, რევეკა, სეთოია, ოლკეკა, ლოლა, პაშა ყორღი, გიგლა აუწყებენ ნათესავთ

ნესტორ ბესარიონის-ძე ბიბინეიშვილის

უეცრად გარდაცვალებას დაკრძალვა დღეს ქუთაისში. ნ. 310

საჭილაოს ხე-ტყის სახერხი ქარხნის მუშა-მოსამსახურეები ღრმა მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას, რომ 6 თებერვალს, ტრაგიკულად გარდაიცვალა მათი ამხანაგი ენერგიით სავსე დაუღალავი ახალგაზრდა მუშა

შალვა ეგნატეს-ძე ძიძიგური

დასაფლავება დღეს, 5 საათზე. ნ. 332

ღრმათ დამწუხრებული მეუღლე კონსტანტინე, შვილები: ნიკოლოზ, გრიგოლ და მიხეილი, რძლები: მარო და ვალენტინა (გოგოლა), შვილისშვილები: ვახტანგი და ლამარა დარასელიები აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი საყვარელი

ლიზა დარასელია

გასვენება 11 თებერვალს, ქ. ზუგდიდში ნაშუადღ. 3 საათზე, სენაკის ქ. № 23. 1047

დამწუხრებული მამა ალექსანდრე ჯაფარიძე ცოლით, ძმა ნიკოლოზი ცოლით ნადია და შვილით პატარა ირინათი, და მარო ქმრით ალექსანდრე შვილებით ნუნუ და ხათო ბაქრაძეები, მამიდა დესპინე ქმრით აფრასიონი ჯაფარიძე და სიძე სერგო გოციოიძე იუწყებიან მათთვის დაუვიწყარ

მიშა ჯაფარიძის

გარდაცვალებას. დასაფლავება 10 თებერვალს, ქ. ონში. 1058

ლავრენტი და სერგო გოციოიძეები, შალიკო ჯაფარიძე, სიმონ ბაქრაძე დასტირიან ძვირფას მეგობარს

მიშა ჯაფარიძის

უდროოდ დაკარგვას. დაკრძალვა სამშაბათს, 10 თებერვალს, ქალ. ონში. 1057

გულდამწვარი მეუღლე ნუცა ძაგანია წერეთლისა, ძმები: გრიშა, იოსები, ვაალი წერეთლები, რძლები: თამარა, ხიუტა, ლიზა წერეთლებისა, დაი ქეთევანა, სიძე კოლია და დისშვილები ჩარკვიანები იუწყებიან, რომ სამოქალაქო პანაშვიდი დაუვიწყარ

კონსტანტინე ალექსანდრეს-ძე წერეთლის

ხსოვნის აღსანიშნავად დანიშნულია ვერის ახალ სასაფლაოზე დღეს, 10 თებერვალს, 5 საათზე. 2—2 1036

ხონის 10 წლიანი შრომის სკოლის მეათე ჯგუფის მოწაფეები ულრმეს მწუხარებას გამოთქვამენ ენერგიულ მასწავლებლის, იშვიათი ადამიანის

ევგენი კაჭახიძის

ტრაგიკულად გარდაცვალების გამო. ნ. 320

ხონის ათწლედის მე-9 ჯგუფის მოწაფეები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ საყვარელი მასწავლებლის

ევგენი ილარიონის-ძე კაჭახიძის

ტრაგიკულად დაღუპვის გამო. ნ. 320

დამწუხრებული მამა ბარნაბი და დედა ფედოსი ასათიანები იუწყებიან, რომ უდროოდ დაკარგული და დაუვიწყარი ქალთა მეორე შრომის სკოლის მოწაფე

თინა ბარნაბის ასული ასათიანის

ხსოვნის აღსანიშნავად დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი ხუთშაბათს, 12 თებერვალს, დ. შორაპანში. 105

დამწუხრებული ქმარი პავლე შვილებით, დედამთილი მაშო იუწყებიან, რომ ძვირფას

ქენია ერასტოს ასულ ჩაჩავას

ხსოვნის აღსანიშნავად ორშაბათს, 15 თებერვალს, 4 საათზე, კუკიის სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი 1066

დამწუხრებული მშობლები: დედა ლეოლინა, მამა ერასტო, ძმები: გრიშა, ვარლამი და კლიმენტი დები: აგრაფინა და თინიკო რუბენიები იუწყებიან, რომ ძვირფასი

ქენია ერასტოს ასულ ჩაჩავას

ხსოვნის აღსანიშნავად ორშაბათს, 15 თებერვალს, 4 საათზე, კუკიის სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი. 1066

გულმოკლულნი დედა ელენე, მამა შალვა, ბებია ევდოკია, დები: ასმათი და გაიანე, ძმები: ილამაზი და რევაზი ალიანები აუწყებენ ნაცნობ-ნათესავებს, მათთვის საყვარელი პატარა

თამაზის

გარდაცვალებას. დაკრძალვა ქუთაისში, დღეს, 5 საათზე. ნ. 321

ბიძა ნიკოლოზი და ნესტორი ბებია მართა, ბიცოლა კალენიკა და ფედოსი, მამიდა ციოუ. დედა ტასო ბიძაშვილები: ხუტუ. ტოლიკ, ოთარი, ლეო, შალვა, ვერა, ოლია, ვალერიანე, ლეონიდი და ლუბა ლასარეიშვილები იუწყებიან მათთვის უსაყვარლეს, კოლმეურნის სკოლის მე 6 ჯგუფის მოწაფის

ნინა თედორეს ას. ლასარეიშვილის

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა, 11 თებერვალს ს. ბულვანში. ნ. 331

დამწუხრებული ძმები: შალიკო, დათიკო, ვასიკო და მარუსა ქმრით, რძლები: ელიჩკა, თამარა, ნინა, ძმისშვილები: ვერა, ოლია ქმრით კოტიკო, ნელი, გივი იუწყებიან

მართა ვლადიმერის ასული ბახტაძის

გარდაცვალებას. გამოსვენება 5 საათ. ყოფ. არამიანცის საავადმყოფოდან. დაკრძალვა დღეს, კუკიის სასაფლაოზე. 104

დამწუხრებული მეუღლე მინადორა, დედა სადიკო, ძმები: სერგო, იოსები და თომა, შვილები: პროკოფი, შალვა, ვერა, ვენერა. რძლები: შურა და თამარი, სიძე გიორგი, შვილიშვილები, სიდედრი და ცოლისძმები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

ტატო (თედორე) გიგოს-ძე ბერძენიშვილი

დასაფლავება ქ. ხაშურში, 12 თებერვალს. 104

ვანის კოოპერატივის თანამშრომლები: კ. რუხაძე, ვ. გოგოძე, გ. გამყრელიძე, გ. მაღლაძე დ. გოგიბერიძე, ფ. მაღლაკელიძე, ს. სამანდელიძე, დ. კალანდაძე, გ. მაჭავარიანი, ვ შენგელია, გ. გაბუნია, შ. ლუტია, ვ. ქავთარაძე, ა. სანადირაძე, ვ. გოგოლიშვილი, შ. კოტრიკაძე, ი. შერაშენიძე, ი. თეთრაძულაშვილი, გ. ადეიშვილი, კ. გიორგაძე, გ. წვინტაძე და ი. ჩიქოვანი მწუხარებით იუწყებიან

ივანე (ვანიჩკა) კლიმენტის-ძე ერისთავის

გარდაცვალებას. დაკრძალვა, დღეს, ს. ზეინდარში, ვანის რაიონი.

თეკლე კლიმენტის ასული და ზარია კონსტანტინეს-ძე ხუროძეები, შვილებით ბუჭუტი და ლილით ღრმა მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას საყვარელი

ვანიჩკა (ივანე) კლიმენტის-ძე ერისთავის

უდროოდ გარდაცვალებას. დასაფლავება 10 თებერვალს სოფ. ზეინდარში. 1067

ბაბულია, ქრისტინე და აგრაფინა თავის ქმარშვილით მეთოდე და ვარლამ ერისთავები, თავიანთ ცოლშვილით ღრმა მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას საყვარელი ბიძაშვილის

ვანიჩკა კლიმენტის-ძე ერისთავის

უდროოდ გარდაცვალებას 1067

მწუხარებაში მყოფნი დედა ელეონორა, ძმები: გელა, ჯუჯუ, ჯონჯი ოჯახობით, დები: მარიამი, ნინო და თამარ, რძალი მუჩუ, დეიდა პაშა, ბიცოლა ალათი, მამიდა გომა, ბიძა პეტრე დადიანები აუწყებენ საზოგადოებას დაუვიწყარ

დავით (ქუქური) გრიგოლის-ძე დადიანის

უდროოდ გარდაცვალებას 1063

პაუსია და ჯუჯუ დადიანები შვილებით აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ ძვირფასი და დაუვიწყარ

ქუქურია დადიანის

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა სოფ. თეკლათში. 1063

ულრმეს მწუხარებაში მყოფნი ალექსანდრე, მისი მეუღლე ხადიჯა და შვილი თამარა თურქიები იუწყებიან აღმზრდელი ბიძიას

იასონ გიორგის-ძე ნადარეიშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა დღეს, სოფ. ონტოფოში. 1053

ღრმად დამწუხრებული და კატო შვილებით: მარგარიტა, ქეთო და შურა ქავთარაძეები. ძმისშვილები: სერგო მეუღლე ნინოთი, ვენერა და ვახტანგ ჩიქვაიძეები აუწყებენ ნაცნობებს და ნათესავებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა უსაყვარლესი ადამიანი

ელპიდა ანტონის ასული ჩიქვაიძე

დაკრძალვა ორშაბათს, 10 თებერვალს, ს. სამთისში 105

რაჭის ქალები ვალოდია მანჯგალაძე, კეტო ძიძიგური, ძიშა დიასამიძე, პეტრე დიასამიძე და ბორის კობახიძე აუწყებენ საზოგადოებას მათი უახლოესი ამხანაგის გიორგი ბულაშვილის მამის

სპირიდონ ბულაშვილის

გარდაცვალებას ქ. ბათუმში. 1043

გულმოკლულნი: დედა ვასილო, მამა კონსტანტინე, ძმა გიორგი, ბებია ქრისტინე, ბაბუა იაგორ, ბიძია ძამანტი, ბიცოლა ლიდია შვილებით იუწყებიან, რომ დღეს 4 საათზე, ლანჩხუთში, დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი გზათა მიმოსვლის საინჟინერო ინსტიტუტის მე 2 კურსის სტუდენტ

მიხეილ (მიშიკო) კონსტანტინეს-ძე მენაღარიშვილის

ხსოვნის აღსანიშნავათ. 1050

დამწუხრებულნი მამო და იოსები შავიძეები, შვილებით ქეთო, გრიშა, დათიკო, თამარი მეუღლე დავით მდინარაძით აუწყებენ საზოგადოებას, რომ დღეს, 4 საათზე, ქ. ლანჩხუთში, დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი ა.-კ. გზათა მიმოსვლის საინჟინერო ინსტიტუტის მე-2 კურსის სტუდენტ დაუვიწყარ

მიხეილ (მიშიკო) კონსტანტინეს-ძე მენაღარიშვილის

ხსოვნის აღსანიშნავათ. 1048

ღრმად დამწუხრებულნი: დედა ფათე, მეუღლე თებრო, ძმები: სოლომონი მეუღლით, ნესტორი, დები: დარია, სეფინე, სიძე გიორგი, ძმისშვილები: თამარა, ქორა, ვალოდია, მიშა, სამიკო. დისშვილები: ძანია, გრიშა, ტატიანა იუწყებიან მათთვის საყვარელი

რაჟდენ ივანეს-ძე ესაკიას

გარდაცვალებას. დასაფლავება 1 თებერვალს, აბაშაში. 1054

სამუდამოდ გულმოკლულნი მშობლები მარიამ და ივანე, ძმები: გოგი და ალექსანდრე, ბებო ოლღა, ბაბუა ნიკოლოზი და მამიდა კეკო თარხნიშვილები დასტირიან უდროოდ დაკარგულ პატარა

მაყვალას

გამოსვენება დღეს 3 საათზე. ყოფ. არამიანცის ბავშვთა საავადმყოფოდან. დაკრძალვა სოფ. წითელ-ქალაქში. 1052

დამწუხრებულნი მეუღლე ალექსანდრე ილიას ძე ხერხეულიძე, დედა ნინო, ძმები გიგა და ლეონ მიხეილის-ძე აბაშიძეები ოჯახობით და ლოლა ანდრონიკაშვილისა სიძე ვალო ანტონია ოჯახობით იუწყებიან, რომ 10 თებერვალს, 4 საათზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი დაუვიწყარ

ანეტა ხერხეულიძის

ხსოვნის აღსანიშნავად კუკიის სასაფლაოზე. 109